

ნათელა როსტიაშვილი

# ინგილოური ლექსიკონი

41-(83)  
499.962.1.0-3  
~~4-849~~

ინგილოური ლექსიკონი დიალექტურია. მოიცავს 5400-მდე სალექსიკონო ერთეულს. ლექსიკონში შესულია ისეთი სიტყვები, ტერმინები და იდიომატური თქმები, რომლებიც სხვა დიალექტურ ლექსიკონებში არაა შესული ან იშვიათად გვხვდება და არსებითად განსხვავებული მნიშვნელობით იხმარება. დამოწმებული ფრაზეოლოგია გარკვეულ წარმოდგენას იძლევა ინგილოური კილოს ფონეტიკურ-გრამატიკულ თავისებურებებზე.

რედაქტორი არ. მარტიროსოვი

70109  
6  $\frac{70109}{M 607 (06)-78}$  83-77

© გამომცემლობა „მეცნიერება“, 1978

## რადიკალიზაცია

ქ.  
ბ.

ინგილოური ქართული ენის მეტად თავისებური და საინტერესო დიალექტია. იგი ყურადღებას იქცევს როგორც არქაიზმებით, ისე ნეოლოგიზმებით. მასში განსაკუთრებით ხელშესახებია უცხო ენის ძლიერი გავლენა. ისტორიულად მოექცა რა უცხო ენობრივ გარემოცვაში, იგი არსებითად მოსწყდა სალიტერატურო ქართული ენის გავლენას და, ფერეიდნულის მსგავსად, თავისებური გზით განვითარდა. ქართული ენის სხვა კილოებთან ფერეიდნულის მიმართების დადგენისას არნ. ჩიქობავა შენიშნავდა: „ყველაზე ახლო ფერეიდნული დგას ინგილოურთან, რომელიც წარმოშობით ქიზიყურის ლეიქლი ძმა უნდა იყოს; ინგილოური გაცილებით უფრო, ვინემ ქიზიყური, დაშორდა ქართულს; ამას ჰქონდა თავისი მიზეზები: ინგილოურიც, ფერეიდნულის მსგავსად, თითქმის მოწყვეტილია ქართულ კილოებს და არც სამწერლობო ქართულის გავლენას განიცდის ისე, როგორც სხვა ქართული კილოები (თუნდაც იგივე ქიზიყური); თუ ფერეიდნული სპარსული მეტყველების რკალშია, ინგილოურზე თათრული (აზერბაიჯანული) ახდენს გავლენას“<sup>1</sup>.

ინგილოებით დასახლებული კუთხე ამჟამად აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში შედის. იგი ადმინისტრაციულად კახის, ზაქათლისა და ბელაქნის რაიონების თხუთმეტოდე სოფელს მოიცავს. ესენია: კაკი (ანუ კახ-ინგილო), ალათემური, მუშაბაში, ქოთუქლუ, თასმალლუ, ზაგანი, ყორალანი, ყიმურრუ, ქეშხუთანი, ხარაბთალა, ბახთალა, ალიაბათი, მოსულუ, ენგიანი და ითითალა.

ინგილოურისა და ინგილოთა ყოფა-ცხოვრების საუკეთესო მცოდნე იყო ცნობილი მკვლევარი და საზოგადო მოღვაწე მოსე ჭანაშვილი, წარმოშობით ინგილო, რომლის წიგნში „ფარსადან გორგიჯანიძე და მისნი შრომანი“ (ტფილისი, 1896) პირველადაა წარმოდგენილი ამ კუთხის მეტყველების დახასიათება. აქ ყურადღებას იქცევს „დამატება: კაკ-ელისენში შეკრებილი სიტყვები, რომელთაგან ზოგი აღარ მოიპოვება ქართულის ლექსიკონში და ზოგი გადასხვაფერებით იხმარება“ (ახსნილია 800-მდე სიტყვა). მას ერთვის შესავალი „ქართველები და ქართული ენა“, რომელიც ცალკე წერილად დაიბეჭდა „ივე-

<sup>1</sup> ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, VII, ტფილისი, 1927, გვ. 221.

რიაში“ 1895 წ. ინგილოურის ვრცელი მიმოხილვა მოცემულია ამავე ავტორის ცნობილ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ და ლინგვისტურ გამოკვლევაში: „საინგილო“<sup>2</sup>. მ. ჯანაშვილის ამ ნაშრომის შესახებ 1915 წ. გამოქვეყნდა ა. შანიძის ვრცელი რეცენზია<sup>3</sup>. ნაშრომის შეფასებასთან ერთად აქ მოცემულია ინგილოურის ზოგადი დახასიათება და ლექსიკონი (400-მდე სიტყვა) იმ მასალის მიხედვით, რომელიც წარმოდგენილია „საინგილოში“ და მ. ჯანაშვილის ლექსიკონში კი შესული არ არის.

ინგილოური კილოს შესახებ დაიწერა ორი საკანდიდატო სადისერტაციო აშრომი რ. ლამბაშიძისა და გრ. იმნაიშვილისა.

ინგილოურზე გრ. იმნაიშვილის დაკვირვებები შეჯამებული სახით გამოქვეყნდა მონოგრაფიაში „ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი“ (1966), რომელსაც ერთვის ინგილოური ტექსტები ლექსიკონითურთ.

ინგილოურის ფონეტიკისა და მორფოლოგიის ცალკეულ საკითხებს მიეძღვნა რ. ლამბაშიძის რამდენიმე ნაშრომი: „სამაგიერო სიგარძე ინგილოურში“<sup>4</sup>, „მყოფადის წრის მწკრივთა წარმოება ინგილოურში“<sup>5</sup>. 1947 წ. დაიბეჭდა ამავე ავტორის „ინგილოური ტექსტები“<sup>6</sup>.

ინგილოურის მოკლე მიმოხილვა და ტექსტები ლექსიკონითურთ წარმოდგენილია წიგნში: ივ. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ივ. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, 1961, გვ. 612—627.

ხმოვნების წინ ზ-ს განვითარების შემთხვევებს განიხილავს სტ. მენტეშაშვილის სტატია „ჰაემეტობა ინგილოურში“<sup>7</sup>.

ინგილოურის ცალკეულ მოვლენათა შესახებ საინტერესო მოსაზრებებია გამოთქმული ა. შანიძის, არნ. ჩიქობავას, ვ. თოფურიას, ქ. ლომთათიძისა და სხვა მკვლევართა ნაშრომებში.

ინგილოური კილოს მონაცემები დამოწმებულია რ. ერკერტის, გ. დეეტერსისა და პ. შუხარდტის ნაშრომებში.

ინგილოური მეტყველების სოფელ-სოფელ შესასწავლად ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა წინამძღვარე ლექსიკონის ავტორი ნ. როსტიაშვილი. იგი ჯერ კიდევ უნივერსიტეტის სტუდენტობის პერიოდში (1953 წ.) პროფ. ვ. თოფურიას დავალებით და ხელმძღვანელობით დაკვირვებებს აწარმოებდა და სათანადო მასალებს კრებდა ინგილოურის კაკური მეტყველების მიხედვით. შედე-

<sup>2</sup> კრებ. „ძველი საქართველო“, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, II, განყ. IV, ტფლისი, 1911—1913.

<sup>3</sup> А. Г. Шанидзе, М. Г. Джанашивили, «Самгило», ЗВО, т. XXII, вып. III—IV, Тифлис, 1915.

<sup>4</sup> საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XIV, № 2, 1953.

<sup>5</sup> თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 17, 1957.

<sup>6</sup> თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. XXX—XXXI, 1947.

<sup>7</sup> საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, X—B, თბილისი, 1940.

გები გამოქვეყნდა „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა შრომების კრებულში“ (№ 8, 1958)<sup>8</sup>, რომელშიც მოკლედ დახასიათებულია საინგილოში ქართველებით დასახლებული ყველაზე დიდი სოფლის მეტყველების ფონეტიკური და მორფოლოგიურ-სინტაქსური თავისებურებანი. 1959 წლიდან მოკიდებული ნ. როსტიაშვილმა ხელი მოჰკიდა ინგილოურის სისტემატურ შესწავლას. ამჟამად მის მიზანს შეადგენდა ინგილოურის ლექსიკური თვალსაზრისით შესწავლა. ძირითადად მუშაობას აწარმოებდა სოფ. კაქში. აქ მოპოვებული მასალა შემდეგ მან შეუღარა სხვა სოფლების მეტყველებას და ალიბათურ კილოვას. ამ პერიოდში ნ. როსტიაშვილმა შეკრიბა დიდძალი ლექსიკური მასალა, ტექსტები. შეკრებილი მასალის ერთი ნაწილი „ინგილოური სალექსიკონო მასალები“ დაიბეჭდა „ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხების“ III ტომში (1963 წ.). ერთი წლის შემდეგ ჟურნალ „მატნეში“ (№ 6, 1964) მან გამოაქვეყნა სტატია „-ზე სუფიქსისათვის ინგილოურში“, რომელშიც ავტორი ცდილობს, ამ სუფიქსის გენეზისი ეძიოს იბერიულ-კავკასიურ ენათა სამყაროში. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა სამეცნიერო კონფერენციაზე (1967 წ.) ნ. როსტიაშვილმა წაიკითხა მოხსენება „ინგილოურის სიტყვაწარმოებიდან“.

როგორც ზემოთ წარმოდგენილი ცნობებიდან ჩანს, საკმაო სისრულით არის გამოჩვეული ინგილოურის ბგერითი შედგენილობა, ფონეტიკური მოვლენები და მორფოლოგიურ-სინტაქსური თავისებურებანი, ლექსიკა კი, შეიძლება ითქვას, დღემდე სათანადოდ არ იყო შესწავლილი და დამუშავებული. ამ მხრივ უთუოდ წინ გადადგმული ნაბიჯია ნ. როსტიაშვილის „ინგილოური ლექსიკონი“, რომელიც ავტორის გულმოდგინე და თავდადებული მუშაობის ნაყოფია. ლექსიკონი არ არის სრული, მაგრამ მასში აღნუსხული და დახასიათებულია ინგილოურის ძირითადი სიტყობრივი მარაგი სინონიმებით, ომონიმებით, თავისებური და იდიომატური გამოთქმებით. იგი მოიცავს 5400 სალექსიკონო ერთეულს. სიტყვები დალაგებულია ორ სვეტად. სალექსიკონო ერთეულები აღებულია კაკური მეტყველებიდან, ხოლო მისგან განსხვავებული ალიბათური სიტყვები იქვეა მიწერილი.

ლექსიკონი დიალექტურია. მასში აღნუსხულია ისეთი სიტყვები, ტერმინები და იდიომატური გამოთქმები, რომლებიც:

1. სალიტერატურო ენაში და არსებულ დიალექტურ ლექსიკონებში ან არ არის წარმოდგენილი, ან კიდევ არის, მაგრამ ინგილოურში ნაწილობრივ ან არსებითად განსხვავებული მნიშვნელობით იხმარება;

2. გვხვდება სალიტერატურო ქართულსა და მის დიალექტებში, მაგრამ ფონეტიკურად სახეცვლილია. განმარტების გარეშე ხშირად ჰქირს მათი გაგება (ცუტქუღ „წისქვილი“, გორც „ახლოს“);

3. დიდი რაოდენობითაა შეტანილი უცხო ენებიდან შემოსული ლექსიკა, რომლის ერთი ნაწილი, როგორც ჩანს, ინგილოურში ადრეა დამკვიდრებული, მეორე რიგის სიტყვები კი შედარებით ახლად არის ნასესხები უშუალოდ აზერბაიჯანულიდან.

ლექსიკონში ცალ-ცალკეა განმარტებული სახელი, წარმოქმნილი სახელი, ზმნა, მიმღეობა, ზმნიზედა, კავშირი, შორისდებული. სახელები დამოწმებულია სახელობითი ბრუნვის ფორმით (თანხმოვანზე დაბოლოებულები ფუძით არის წარმოდგენილი). ზმნათაგან ლექსიკურ ერთეულებად აღებულია მასდარი (დაკუნზად „გაკვანძვა“), აწმყოს მესამე პირის ფორმა (ჰკუნზავს) ნამყო სრულის, თურმეობითისა და ნამყოს მიმღეობის ჩვენებით (დაკუნზა, დოკუნზი, დაკუნზულ). თურმეობითი და ნამყოს მიმღეობა ხშირად ფორმით ერთნაირია. ცალკე აღებულ სიტყვას თუ მნიშვნელობა არა აქვს, მოცემულია ფრაზაში (ივაწივა წავდა „ნამსხვრევებად იქცა, აქა-იქ დაიფანტა“; ზად იქნა „განადგურდა“).

ყურადღებას იქცევს ლექსიკონში შესული სოფლის მეურნეობის, შინამრეწველობა-ხელოსნობის, საოჯახო საქმიანობის, ნათესაური ურთიერთობის ამსახველი გამოთქმები და ტერმინები, შრომის იარაღების სახელწოდებანი, მცენარეთა სახელები, სასემელ-საქმლის, ჩაცმა-დახურვის, ჰრა-კერვის ტერმინები, სხვადასხვა ნაგებობათა და საზომ ერთეულთა სახელები, საწესო ჩვეულებათა და ოჯახის წევრთა უფლებრივი მდგომარეობის გამომხატველი გამოთქმები და სხვა, რაც მას ეთნოგრაფიული თვალსაზრისითაც საინტერესოს ხდის.

ლექსიკონს წინ ერთვის ავტორის „ინგილოურის ლექსიკური დახასიათება“.



„ინგილოური ლექსიკონის“ ავტორი ნათელა მირონის ასული როსტიაშვილი, წარმოშობით ინგილო, დაიბადა 1935 წელს კახის რაიონის სოფ. კაკში (აზერბაიჯანის სსრ). 1957 წ. მან დაასრულა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიურ ენათა განყოფილება. ორი წლის განმავლობაში მუშაობდა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად საინგილოს სკოლებში. 1959 წ. ჩაირიცხა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ასპირანტურაში ქართული ენის სპეციალობით. ასპირანტურის სრული კურსის დამთავრების შემდეგ დაინიშნა ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილებაში უმცროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე.

სტუდენტობის პერიოდში და შემდეგ ასპირანტურაში მას მზრუნველობასა და ხელმძღვანელობას უწევდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი პროფ. ვ. თოფურია, რომლის დავალებით მრავალგზის იყო მივლინებული საინგილოში ინგილოური კილოს შესასწავლად და საენათმეცნიერო მასალების შესაკრებად. წლების განმავლობაში ჩატარებული ნაყოფიერი მუშაობის შედეგად ნ. როსტიაშვილმა შეძლო გათვალისწინებულ ვადაში დაესრულებინა „ინგილოური ლექსიკონი“, მას დაურთო გამოკვლევები „ინგილოური ლექსიკონის მიმოხილვა“, „სიტყვაწარმოება ინგილოურში“ და მთლიანი სახით ნაშრომი წარმოადგინა ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. სამწუხაროდ, ავტორს არ დასცალდა დისერტაციის დაცვა, 1973 წ. ნ. როსტიაშვილი, პირველი ინგილო ქალი ენათმეცნიერი, უდროოდ გარდაიცვალა.

მე, როგორც რედაქტორს, დამევალა „ინგილოური ლექსიკონის“ სასტამბოდ გამზადება. რადგან იგი საწერ მანქანაზე მთლიანად გადაბეჭდილი იყო, ვერ მოხერხდა მასში არსებითი თუ ტექნიკური ხასიათის ყველა იმ შესწორების შეტანა, რაც ჩვენ საჭიროდ დავინახეთ. ამ სახითაც, ვფიქრობთ, იგი სათანადო აღვიღს დაიჭერს ქართული ენის დიალექტურ ლექსიკონთა შორის.

ლექსიკონის სარგებლობის თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს, რომ: 1. სახელობითი ბრუნვის ნიშანი ა(<ი) არ არის გამოყოფილი ფუძისაგან და ამიტომ იგი ანბანის რიგზე მოქმედებს. 2. სინტაგმებისა და ზოგჯერ რთული სიტყვების (კომპოზიტების) ანბანის რიგზე დალაგებისას ავტორი, ჩვეულებრივ, ანგარიშს უწევს სათანადო სალექსიკონო ერთეულის პირველ ნაწილს. ამ თვალსაზრისით საჭირო გახდა გაწყობილი მთელი სალექსიკონო მასალის გადახედვა, მითითებების შემოწმება და დამოწმებულ ლექსიკონებთან შეჯერება.

არ. მარტიროსოვი

5.II.1976

## ინგილოურის ლექსიკური დახასიათება

ინგილოური კილო განვითარების თვალსაზრისით მეტად თავისებური და საინტერესოა. მასში შეინიშნება სამგვარი ტენდენცია: არქაიზმები, ნეოლოგიზმები და უცხო ენის (აზერბაიჯანულის) ძლიერი გავლენა. ხვედრითი წონა ამ ტენდენციების ურთიერთმოქმედებისა განსხვავებულია.

ინგილოურში ცვლილებები ისე სწრაფი ტემპით ხდება, რომ ერთი თაობის მეტყველება მომდევნოსათვის ხშირად გაუგებარია. მაგალითად, თუ შევუდარებთ დღევანდელ ინგილოურ მეტყველებას მ. ჭანაშვილისდროინდელ ინგილოურს, დავინახავთ საკმაო ცვლილებებს. სხვაობა თვალში საცემია განსაკუთრებით ლექსიკაში. მ. ჭანაშვილის მიერ გამოქვეყნებული ტექსტებიდან ჩანს, რომ აღრე ინგილოურში ნასესხები ლექსიკა შედარებით ნაკლები ყოფილა. ცვლილებები განუტღვია თვით ქართული წარმოშობის სიტყვებსაც. აი, ზოგიერთი სხვაობანი ამ მხრივ:

მ. ჭ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს დ რ ო ი ნ -  
დ ე ლ ი ი ნ გ .

თ ა ნ ა მ ე დ რ ო ვ ე ი ნ გ .

გაფრანგდა  
დაწყობა  
ზემ-ზემ  
ნელად  
მოფეხაძ'

გაუყერდა 'გაჯაყერდა'  
დადოსტევეაძ 'დამეგობრება'  
ზმოთი 'ზემოდან'  
გუან მანაწევე 'გვიან დასამწიფებელი'  
მოწმენდაძ 'გამოდარება' და სხვ.

სხვაობანი ლექსიკაში შეიმჩნევა კილოკავების მიხედვითაც. მთელი რიგი სიტყვებისა დამახასიათებელია მხოლოდ ალიაბათური კილოკავისათვის ან კაკურისათვის.

კ ა კ უ რ ი  
დატრბაძ  
დაცოაძ  
კაბაძ

ა ლ ი ა ბ ა თ უ რ ი  
დაბეგა 'ცემა'  
დაშენა 'დარტყმა'  
პერანგი 'კაბა'

1 მ. ჭ ა ნ ა შ ვ ი ლ ი , ფარსადან გორგიჯანიძე და მისნი შრომანი. დამატები: კაკ-ელი-სენში შეკრებილი სიტყვები, რომელთაგან ზოგი აღარ მოიპოვება ქართულის ლექსიკონში და ზოგი ვადასხვაფერებით იხმარება. ტფილისი, 1896, გვ. 84—125.



ბოლო  
 ბუთუმ  
 გაზულუმევა  
 დაშრომა  
 წნელ  
 ყანწ  
 მოკუნტა  
 ჰაფტუფა

ჩიჩაქ  
 სალინ  
 თოფ  
 გულგაზ  
 ფურ  
 გადაგ  
 კულურ  
 გორც

მანაჰირევე პერანგ 'ბოლო კაბა'  
 სრუ 'ყველა, სულ'  
 მოხილება 'გაწვალება, ტანჯვა'  
 დალა 'დალა'  
 წიფხ 'წნელი'  
 სასაპნე 'საპნის ყანწი'  
 მოლუნკა 'მოლუნკა'  
 წუმწუმა 'ხელზე წყლის დასასხმელი'  
 სპილენძის ჭურჭელი, თუნგულასავით'  
 ყოილი 'ყვეილი'  
 საწოლი 'მეწველი'  
 ღირღიტა 'ბორბალი'  
 კატარი 'ცხვირსახოცი; თავსაფარი'  
 ზროხა 'ძროხა'  
 ზაქი 'ზაქი'  
 გოდა 'უკუდო'  
 ახლო 'ახლოს' და სხვ.

როგორც ამ ნიმუშებიდან ჩანს, ყველაზე მეტად ქართული ლექსიკა და-  
 ცულია ალიაბათურ კილოკავში, კაკაურში კი მეტია ნასესხები სიტყვები. ალი-  
 აბათურმა შედარებით უკეთ დაიცვა ქართული ლექსიკა იმიტომ, რომ იგი გა-  
 ნიციდის კახურ-ქიზიყურის გავლენას, კაკური კილოკავი კი მოწყვეტილია ამ-  
 გვარ გარემოს. მისგან ამ მხრივ გამოიყოფა სოფ. ალიბეგლოს მეტყველებაც.  
 სადაც დაახლოებით ისეთივე ვითარებაა ლექსიკის მხრივ, როგორც ალიაბა-  
 თურში: ნაკლებია ნასესხები ლექსიკა, უფრო მეტია არქაული და ქართული  
 წარმოშობის სიტყვები. ეს გამოწვეულია სოფ. ქედთან ენობრივი ურთიერ-  
 თობის შედეგად და აგრეთვე მის ტერიტორიაზე აზერბაიჯანელების დაუსახ-  
 ლებლობით.

ინგილოური კილოს შიგნით სხვაობები შეინიშნება აგრეთვე უბნების მი-  
 ზედეთაც, რაც უცხო ენის მეტ-ნაკლები გავლენით და დასახლების მეტ-ნაკლე-  
 ბი სიჭრელით აიხსნება. მაგალითად, სოფ. ალიაბათის ცენტრის მოსახლეობის  
 სასაუბრო ენა განსხვავებულია ცენტრიდან დაშორებულთა მეტყველებისაგან  
 უმლაუტიანი ხმოვნების მეტ-ნაკლები ხმარებით.

ცენტრის მოსახლ. მეტყვ.

ცენტრიდან დაშორებუ-  
 ლი მოსახლ. მეტყვ.

ლოლი  
 კორცხი  
 კუცქული  
 შუნდი

ლედი 'ლედი'  
 კერცხი 'კვერცხი'  
 ციცქილი 'წისქვილი'  
 შინდი 'შეინდი' და სხვ.

ინგილოურს დაუცავს არაერთი არქაული სიტყვა თუ გამოთქმა, რომელიც სალიტერატურო ქართულსა და მის დიალექტებში ან სულ არ გვხვდება, ან თანდათანობით გადის ხმარებიდან, ან კიდევ დასტურდება მხოლოდ მთის კილოებში (ხევსურულში, მთიულურში, მოხეურსა და თუშურში).

რამ შეუწყო ხელი, რა ფაქტორებმა განაპირობეს ინგილოურში არქაიზმების ასეთი ხელშესახები დაფენება?

არქაიზმების არსებობა ინგილოურში ძირითადად იმით უნდა აიხსნას, რომ ეს კილო მოსწყდა რა დედასამშობლოს, მოსწყდა აგრეთვე მშობლიური ენის კონტროლს, მის დიალექტებს, შეწყდა მათთან მჭიდრო ურთიერთობა. ქართული ენის ზოგ დიალექტთან ერთად ინგილოური ცნობილი ისტორიული პირობების გამო ასცდა თავისი განვითარების ბუნებრივ გზას, რამაც ერთგვარად განაპირობა ძველი ფორმების შემონახვა. ამას ხელი შეუწყო აგრეთვე იმ გარემოებამ, რომ ძველად ქალი უფლებრივად შეზღუდული იყო და საზოგადოებაში არ გამოდიოდა, ამიტომ მისმა ენამ არ განიცადა უცხოურის გავლენა, შემონახა არქაიზმები და თაობიდან თაობას გადასცა.

ინგილოურში ღღესაც ცოცხალია ისეთი ლექსიკური ერთეულები, რომლებიც სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონშია შეტანილი, მაგრამ სალიტერატურო ქართულ ენაში აღარ იხმარება. აი, რამდენიმე მაგალითი:

ნაღარ კვლებს შორის დარჩენილი მიწა (საბა: ნაღარი — ვნულთ შუა დარჩომილი კორდი).

ნასულედ საწყობში დაყრილი ხორბლეული. რომელიც უნდა განაწილდეს კოლმეურნეთა შრომადღებზე (საბა: სულადი — საზრდო).

კმაჲ-უყო დაუძახა (ძვ. ქართ. კმის-ყოფა).

ნეპერ ქაფი (საბა: ქაფი სხვათა ენაა, ქართულად პერი ჰქვიან).

კოჭოპ პატარა ქოთანი (საბა: კოჭობი).

კორთეჲ ფიცრის თარო (საბა: იკორთა).

ტოპკირ||ტუპკირ საწნეხელ ნავში სიგანეზე ჩასადები ჯოხი (საბა: ტუპკირი — საწნეხლის ლასტი).

წარაბაკანაჲ ღობემძვარალა (საბა: წრაბაკანი — ყოველთა სირთა უმცირესია).

წარაფ ვიწრო მონაკვეთი მიწისა ან ვიწრო ჩანახევი ნაჭრისა (საბა: წარაფი — წურილი მოგრძო ტყე)...

ლექსიკური არქაიზმების ნაწილი ხმარებიდან გადის და მივიწყებას ეძლევა. ასეთ სიტყვებს ინგილოები „ზოლ ყულაბეგ“-ს (ყულაბ — სიტყვა) უწოდებენ. ამგვარი სიტყვების დადასტურება ხერხდება მოხუცებთან საუბარში. სპეციალური გამოკითხვის შედეგად.

საინტერესოა არქაულობის თვალსაზრისით ქრისტიანულ წეს-ჩვევებთან დაკავშირებული ლექსიკა:

**სამარიევზე** გასულაჲ მკვდრის გახსენება საფლავზე საკმლის მიტანით.

**საკმელ ჩაყრაჲ** საკმეველის კმევა მკვდრის გახსენების დღეს.

**ტაბლოვაჲ** მკვდრის 40-ზე გადახდილი წესი.

**დაპირევაჲ** ღვთის სახელზე შეთქმული საკლავი.

ყურადღებას იქცევს ისეთი სიტყვებიც, რომლებიც საინგილოს შინამრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ყოფისა და ეთნოგრაფიის ამსახველია:

**ჟიუნაჟ** მკვანე ქლიავი დანაყილი მარილსა და ნიორში.

**ჩემოფხუტაჲ** პატარძლის პირისახის დამალვა გამკვირვალე აბრეშუმის ქსოვილით („ქალალით“) ქორწილის დღეს.

**ფეყსაბან** პატარძლისათვის ფეხის დაბანინების საღამო.

**შატირევაჲ** მკვდრის დატირება მოთქმით.

**საკუნჯულ** შამფურის წვერის დასადები, თიხისაა.

ინგილოური დიალექტური ლექსიკის მრავალფეროვნების ერთ-ერთი ძლიერი ფაქტორია მისი ფონეტიკური და გრამატიკული თავისებურებები. ამაზე აქ არ შევჩერდებით.

ხშირად თავისებური ფონეტიკური და მორფოლოგიური პროცესის შედეგად სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე სიტყვები ერთ ფორმაში მოექცევიან ხოლმე და ვლებულობთ ომონიმებს:

**ზალაჲ** 1. უფროს ქალს მიმართავენ.

2. ძალა, ღონე.

**ზილ** 1. ძილი.

2. წვრილი ხმა (საბა: ზილ „წულილი ცმისცემა“).

**პატაჲ** 1. პატარძალი, 'ბიცოლა, ახალმოყვანილი რძალი'.

2. პატარა, 'ცოტა, პატარა რაოდენობით'.

**ეკიდევს** 1. იწყებს.

2. უბრაზდება.

3. ეკიდება, ჩამოეკიდება...

ინგილოურ ლექსიკაზე დაკვირვებისას ჩვენ: ყურადღება მიიქცია ისეთმა ბუნებრივმა ფრაზებმა და იდიომატურმა გამოთქმებმა, როგორცაა, მაგალითად:

ფეჲ ჩგმოჰკიდა ხანგრძლივი, გადაუღებელი წვიმა დაიწყო.

ფეჲეჲეჲე მოყრილ ვისაც დიდი ფეხები აქვს.

ენაზე მოყრილ მკერამეტყველი, კარგი მოენე.

მისცა და მისცა ძალიან შეუტია; დიდი წვიმა წამოვიდა.

ცორ-ცორ გაადის შიშით კანკალებს.

თოლქო ომოსულაჲ მოწონება.

ტურაჲ იზრვ მზიან ამინდში წვიმის წამოსვლისას იტყვიან.

სულ დაყრაჲ||სულ აღევაჲ ნადირის ან სანადირო ძაღლის მიერ სუნის აღება.

სულ აღევაჲ მოკვლა, დატანჯვა...

ინგილოურში თითქმის ყველა დარგის ლექსიკას განუტდია უცხოურის გავლენა. ხელშეუხებელი დარჩენილა მხოლოდ ქრისტიანული წეს-ჩვევების გამომხატველი და მევენახეობის ლექსიკა კახის რაიონის ქართულ სოფლებში. გამაჰმადიანებულ ინგილოებში ამ მხრივ მეტად მძიმე სურათია: მევენახეობის მოსპობასთან ერთად ხმარებიდან გასულა სათანადო ლექსიკაც. გამქრალა ქრისტიანული წეს-ჩვევები ალიაბათ-მოსულ-ითითალაში და შესაბამისად განდევნილია მათი ამსახველი სიტყვებიც. სამაგიეროდ, აქ დამკვიდრებულა მაჰმადიანური წეს-ჩვევები და სათანადო ლექსიკა. აგრეთვე გამქრალია და შეცვლილი ქალის ინგილოური ტანსაცმელი და მისი გამომხატველი ლექსიკა. მოხუცებსდა ახსოვთ ისეთი ქართული სიტყვები, როგორიცაა: ლ ე ჩ ა ქ, ჯ ე მ ა ნ დ ი ლ, ქ ა თ ი ბ, ს ა ნ ა წ ნ ა ვ ო ჲ და სხვ.

ინგილოურში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საკმაო რაოდენობითაა ნასესხები სიტყვები როგორც აზერბაიჯანულიდან, ისე მისი მეშვეობით არაბული, სპარსული, თურქული, სომხური, ბერძნული ენებიდან. უცხო ლექსიკა ინგილოურში დამკვიდრებულია უმთავრესად ზეპირი გზით. შეიძლება გამოვყოთ ნასესხები სიტყვების ორი ჯგუფი:

1. ნასესხები ლექსიკა, რომელიც დასტურდება სალიტერატურო ქართულშიც. ასეთი სიტყვები, როგორც ჩანს, სალიტერატურო ქართულთან და მის დიალექტებთან ინგილოურის ჩამოცილებამდეა შემორჩენილი; მაგ.:

ქაფქირ ქაფქირი.

ზაფრა ყვითელი ფერის ამონარწყევი.

ხოჩნა მოგრძო ხის ჭურჭელი, იხზარებოდა პურისა და საკმლის დასაწყობად.

ყისმათ ყისმათი, ბელი.

2. ნასესხები ლექსიკა, რომელიც უცხო ენობრივ სისტემაში ინგილოურის მოქცევის შემდეგაა დამკვიდრებული. უმეტეს შემთხვევაში სიტყვის სესხება მომხდარა ქართული სიტყვის ხარჯზე. მაგალითად, კაკურ კილოკავში აზერბაიჯანულ სიტყვებს ნ ა ა რ ა მ ა მ ა მ, ს ა დ ი ნ, ტ ა ნ ა მ გამოუდევნია ქართული სიტყვები, რომლებიც სოფ. ალიბეგლოსა და სოფ. ალიაბათშილა იხმარება: ს ა დ ლ ო ბ ე ლ / ი, ს ა წ ო ლ / ი, წ ბ ო მ და სხვ.

ზმირია სახელის სესხება და მისგან ზმნის ფორმებისა და მასდარის წარმოება საკუთარი მაწარმოებლების დართვის:

**ზულუმ** ტანჯვა, წვალება. აქედან: გა-ზულუმ-ევ-ა-მ — გაწვალება, გა-ტანჯვა; ზულუმ-ოვ-ს — წვალობს; გა-ზულუმ-დ-ა — გაწვალდა; გაზულუმ-ევ-ულ — გაწვალებულა; გაწვალებული; გა-ნაზულუმ-ევ — გაწვალებული.

**ჟაფა** ძნელი. აქედან: შა-ჟაფ-ი-ევ-ა-მ (ეჟაფიევის, შეეჟაფიედა, შაჟაფიევი, შანაჟაფიევი) — დაზარება, ძნელად მოჩვენება.

**მათ**: გა-მათ-ევ-ა-მ (მატრევის—მათევის—მათღევის, გამათა, გამათეულ, განამათევი||გამათეულ) — გაოცება.

ნასესხები სიტყვა ჩვეულებრივ ექვემდებარება ინგილოურის სიტყვაწარმოებით წესებს:

**ბაჟალათ** დარდი. აქედან: სა-ბაჟალათ-ო-მ, ბაჟალათიან.

**ფაფაყ ქული**. აქედან ფაფაყ-იან, უ-ფაფაყ-ო-მ.

**აძაჰყაბ ფეხსაცმელი**. აქედან: აძაჰყაბ-იან.

**ყისმათ** ყისმათი, ბედი. აქედან: ყისმათ-იან, უ-ყისმათ-ო-მ.

**ტანა ხბო**. აქედან: მე-ტან-ე-მ, მე-ტან-ე-ოვა-მ და სხვ.

ინგილოური აზერბაიჯანული ენიდან სესხელობს წარმოქმნილ სიტყვებსაც:

**ჟან-სუზ უღონო, სუსტი**.

**ყისმათ-სუზ უყისმათო, უბედური**.

**ტანა-ჩი-მ მენხბორე**.

**სიღირ-ჩი-მ მენახირე**.

**ტაშ-ლულ ქვიანი**.

**ბაშიფაფაყ-ლუ-მ ქულიანი, მამაკაცი...**

ამ ტიპის მასალას იგი უქვემდებარებს საკუთარ სიტყვაწარმოებას: ჟან-სუზ-ოვა-მ „სისუსტე“; ყისმათ-სუზ-ოვა-მ „უბედობა“...

როგორც აღნიშნული მაგალითებიდან ჩანს, ინგილოურში უცხო ენის აფიქსები წარმოქმნილ სიტყვებთან ერთად შემოდის. ეს აფიქსები დამოუკიდებლად ახალ სიტყვებს ვერ აწარმოებენ, ორიოდ გამონაკლისის გარდა.

ყველა ნასესხები სიტყვა ისე შეჭგუებულია ინგილოურს, ისე მოუქცევია მას თავის ფონეტიკურ და გრამატიკულ სისტემაში, რომ ამჟამად მეტად რთულია ზოგი მათგანის ნამდვილი წარმომავლობის დადგენა.

-ა კითხვითი ნაწილაკი: შენ მიღიხარა? კაკურში იხმარება მაშინაც, როცა წინადადებაში კითხვითი სიტყვაა: როგო ხარა? რად გითხრაა? გამოვლინდება სხვათა სიტყვის ნიშნის წინაც: როგო ხართაჲ-თქო.

-ა ვითარებითი ბრუნვის ნიშანი: ლამაზა შეკერა კაბაჲ; დუდრუანა ჰკერაჲს.

-ა მხოლ. რიცხ. მესამე პირის სუბიექტის ნიშანი -ო-ს ნაცვლად: წაძლა, მაძლა, გაგა, ააგდა...

-ა მეშველი ზმნის შეკვეცილი სახე შედგენილ შემსამენელში: დედაჲ შინა, მამაჲც შინა.

ა შემოკლებული აჲ, წინ ერთვის ნაცვალსახელებს და ზმნისართებს: აჲს, აჲსენ, აჲმამ, აჲმე, აჲქ, აჲხლა.

ზოგჯერ ეს ა იმსგავსებს მომდევნო ე-ს.

ააგრ-იგრ 1. აქეთ-იქით: ა ა გ რ-ი გ რ ნუ იქრუტოვ; ა ა გ რ-ი გ რ ქნაჲ; 2. გადამაღვა: მე არ ვიც, ა ა გ რ-ი გ რ არ იქნეს ჩემწილ; 3. ცული სიტყვებით ლანძღვა-გინება.

აავ შორისდ. გაკვირვებისა, დამცინავი კილოსი (შდრ. ავ-აავ).

აარ არა.

ააქ-იქ აქა-იქ; სადმე, მეჩხერად, ალაგ-ალაგ, შიგადაშიგ (შდრ. თექ-ათქ).

ააქ-იქი აქიდან-იქიდან.

ააღველ ასაღები, ასატანი; გასესხებული: ოცმანით მაქ ა ა ლ ე ვ ე ლ.

აბაჟურ სტაფილო.

აბასევაჲ (აბასევეს, აბასა, ოუბასევი, ანაბასეე) წაქეზება, გაგულიანება, რომ წაეჩხუბოს: ყმაწულევეს ა ბ ა ს ე ვ ს ყ.

აბებრაჲ (იბებრევის, აბებრა, აბებრულ, ანაბებრ) კანის ზევით აწევა, აბურცება; რძის აღულებისას მისი ზედაპირის მალლა ამოწევა: ზეჲ ა ბ ე ბ რ ა.

აბედ მეტად მაგარი: აბელივი ყოლ მაგარი, გამშრალი ყველი.

აბიგოგ ღია ლურჯი.

აბრაჟუნ<sup>1</sup> აბრეშუმის ძაფი, რომელსაც პარკის ხელოვნურად დამუშავების შემდეგ ახვევენ მანქანაზე.

აბრაჟუნ<sup>2</sup> აბრეშუმის ქსოვილი.

აბრაჟუნ<sup>3</sup> ქალის თავსაბურავი, ოთხკუთხედი და ფუნჯებიანი, ძველად იხურავდნენ ახალგაზრდები.

აბუგარდან გრძელსახელურიანი სპილენძის დიდი საწვენე, იხმარება დიდი ქვაბიდან წვნიანის ამოსაღებად.

აბუნწაჲ (იბუნწევის, აბუნწა, აბუნწულ, ანაბუნწ, აბუნწულ) მობუზუვა სიცივისა და შიშის გამო: კუჭულ ი ბ უ ნ წ ე ვ ი ს.

აბუნწულ მობუზული; მობუზულა: კუჭულ სიცივით ა ბ უ ნ წ უ ლ

აბურ სირცხვილი: ა ბ უ რ არ აჟ.

აბურთუნევაჲ (ბურთუნოვს, აბურ-  
თუნდა, ბურთუნაედა, აბურთუნეულ,  
ანაბურთუნეე) აფეთქება; აალება; გა-  
დატ. უცბად გაბრაზება; თოფი წამალ  
ა ბ უ რ თ უ ნ დ ა; ისპიშკაჲ ა ბ უ რ თ უ-  
ნ ე უ ლ, სახლს მოოდოვი; ერ რამ  
თქმითაჲ ა ბ უ რ თ უ ნ ე ე ა მ ი ცის.

აბურთუნევაჲ იხ. აბურთუნევაჲ.

აბურიან ნამუსიანი.

აბუტევაჲ (აბუტვს, ააბუტა, ოუბუტევი,  
ანაბუტეე, აბუტულ) თმის, მატყლის გა-  
ჩეჩვა, გაწეწვა, გაპენტვა: მატყლ ა ა ბ უ-  
ვ ა; ა ბ უ რ უ ლ თ მა მ (იხ. ბუვიქელ-  
ლიან).

აბლატუნევაჲ (აბლატუნეს, აბლა-  
ტუნა, ოუბლატუნევი, ანაბლატუნეე) ხე-  
ლების მოხმარებით, გაჭირვებით ასვლა  
რამეზე: ა ა ბ ლ ა ტ უ ნ ა, გავდა ხეზე  
(შდრ. გაბლატუნევაჲ).

აგაჟი-აგაჟი აგაჟისავით: ა გ ა ჟ ი-  
ა გ ა ჟ ი ნ უ ე ტ არ ე ე!

აგაჟიჲ დახეულტანისამოსიანი.

აგე ისეთი: ა გ ე რამ თქუ, დაჲქე-  
რან! (შდრ. ეგე).

აგევაჲ (აგეეს, ააგა, ოუგი, ანაგეე)  
შესარვა ვენახისა, ბოსტნეულისა: მენაჲ  
ა გ ე ე ა მ.

აგეთ ისე, ისეთი: ა გ ე თ ი ცო, ჰფათ-  
რავდა (შდრ. ეგეთ).

აგრა<sup>1</sup> აქეთ: ა გ რ დაჟ!

აგრა<sup>2</sup> ისე: ა გ რ თქუთ...

აგრაჲც ბარემ, ბარემაც: ა გ რ ა ც  
თქონსა შემენახას.

აგრა-იგრა იხ. ააგრა-იგრა.

აგრა-იგრა გასულაში ჩააცმელ ტამს-  
მოჲ საგარეო ტანისამოსი.

აგრობან აქეთკენ: ა გ რ ო ბ ა ნ გ ო-  
მოყარ ღორეე.

ადათ ქნაჲ (ადათ ჩედის, ადათ ქნა,  
ადათ ჰუქნი, ადათ ნაქნარ) ადათის, ჩვე-  
ულების ჩატარება, მცირედ აღნიშვნა  
რაიმე წესისა ან გარკვეული დღისა:  
ერ ცოტა ა დ ა თ მ ი ქ ნ ი, ბოჯრ ხალღ  
არ დემეზახნა (შდრ. სახელ ქნაჲ).

ადაგილი<sup>1</sup> მიწა: ერ ცოტა ა დ გ ი ლ  
მაჟ, იქაც ხახ დამითესი.

ადაგილი<sup>2</sup> ფონი. ა დ გ ი ლ შ ა ე შ ი გ  
წითელ ჩიჩქევიან ფარჩაჲ იყიდა.

ადაგილი განადევ მთიბავი, რომე-  
ლიც დაინტერესებულა მოსათიბი ტე-  
რიტორიის რაც შეიძლება მალე მოთა-  
ვებით და დიდი ფართობის გათიბვით,  
რომლის მიხედვითაც იგი საზღაურს  
ღებულობს. ასეთი მთიბავი ყანის პატ-  
რონისათვის არახელსაყრელია, რადგან  
დანაკარგი ბევრია.

ადინა ვინმეს ან რაიმეს სახელთან  
დაკავშირებით საგანგებოდ რისამე გა-  
კეთება: დადაშა ა დ ი ნ ა მიყიდა ორთა-  
ლირიან ქევრ.

ადიჩუნ იგივეა, რაც ა დ ი ნ ა.

ადრ<sup>1</sup>ვაჲ (უდრვს, ოუდო, ოუდევი-  
ანადრ<sup>2</sup>) დატირთვა: ურემ ა დ რ ვ ა მ.

ადრ 1. ადრე. 2. სანამ შებინდღე-  
ბოდეს, სადამომღე, დაახლ. 4 საათით  
ადრე: ა დ რ მოჲ, ჰალა ადრი, ქათმეე  
შაჲქოდომელ დროჲ არ ქნილ. 3. დროზე  
ადრე, მალე: მე ხუთზე გითხარ, შენ  
ა დ რ მოხოლ.

აჲ ორი ელემენტისაგან შედგება:  
1) ემფატიკური - ან კიდევ შეკვეცილი  
მეშველი ზმნის -ა, რომელიც მომდევნო  
თანზმოვანთან აღდგება. 2) სხვათა სიტ-  
ყვის ან იგივეობის -გ ნაწილაკი.

აჲ-აჲ (ალიბ.) იხ. აჲ: ა ვ -ა ა ვ, რაჲ  
ებნება?



ავანგ თამბაქოს ხმელი ფოთლის ას-  
ხმულა, თოკზე რამდენიმე ერთად შეკ-  
რული და ჰერზე ჩამოკიდებული.

**ავანცრაი** (ივანცრევს, ავანცრა, ოუვანცრი, ანავანცრევ || ანავანცრ, ავანცრეულ) დასევა და აკლება, დატა-  
ცება შემოსეულთა მიერ: ლეკევემ ო გ ი-  
ვ ა ნ ც რ ე ს.

**ავანცრევაი** იხ. ავანცრაი.

**ავარაი** დედალი კამეჩი შვილის მო-  
გებამდე.

**ავგან წინა წელს** მიწაში მოუხნავად  
დათესილი და მერმე საქონლის ფეხით  
გათელილი მიწა. ეს ბრინჯის თესვის  
ერთ-ერთი წესია.

**ავგარდან** იხ. აბუგარდან.

**ავლაღ** ადგილი, მიდამო, სადაც ყო-  
ველთვის ნადირი გამოდის სასეირნოდ:  
მენადირევე ა ვ ლ ა ღ ზ ე უღვეიან.

**ავხარ ქნაი** (ავხარ ჩედის, ავხარ ქნა,  
ავხარ უქნი, ავხარ ნაქნარ) დაბლაგვე-  
ბული იარაღის ჩაქუჩით პირის ვათხე-  
ლება, რომ კარგად მოცელოს: ჩაღღუს  
ა ვ ხ ა რ ქ ნ ა ი უნდ, არ ჰკრის.

**აზარ** ავადმყოფობა, ჰირი, ეპიდე-  
მია; გაბრაზების დროს შეძახილი „ჰი-  
რიი“! **აზარ მოგხტრის!** წყევლა: ჰირი,  
განუქურნებელი ავადმყოფობა შეგხვ-  
დეს! **აზარში ჩავარდნაი** (აზარში ვარ-  
დების, აზარში ჩავარდა, აზარში ჩავარ-  
დნილ, აზარში ჩანავარდნ) განუქურნე-  
ბელი სენით დაავადება, ლოგინად ჩა-  
ვარდნა: ერ წელი ა ზ ა რ შ ი ჩ ა ვ ა რ-  
დ ნ ი ლ წვეს; გადატ. დაზარება საქმი-  
სა, უარის თქმა სამუშაოზე: ჩემ დავა-  
ზირევაში ა ზ ა რ შ ი ვ ა რ დ ე ვ ი ა ნ.

**აზარრუი** ავადმყოფი.

**აზერენაი** აზერბაიჯანული ენა.

**აზი** დაახლოებით: ა ზ ი ა თ კ ა ც არ  
იყო.

**აზიზ** 1. გენაცვალე, გეთაყვა, საყვა-  
რელო, ძვირფასო: მოი ა ზ ი ზ ჩემთან.  
2. სათუთი, საგომანებები: ინდავრი ბა-  
ჯალაღ დიად ა ზ ი ზ ი. **აზიზა შანანაი**  
(აზიზა ინახავს, აზიზა შანანახ, აზიზა  
შოუნახი, აზიზა შანანახ) გაფრთხილე-  
ბა, გათამამება, განებვირება, სათუთად  
შენახვა: ა ზ ი ზ ა შ ა ნ ა ნ ა ხ ყ მ ა წ უ ლ  
კ ა მ არ კ ე ჰ ტ ე ვ ა ყ.

**აზლაკ** ღობეზე ჩაქყლეტილი ადგი-  
ლი გადასასვლელ-გადმოსასვლელად:  
ა ზ ლ ა კ ზ ე ე კ ა ლ დაადევ, ზროხაი არ  
გოდმოვდეს.

**აზრახვეაი** (აზრახევს, ააზრახა, ოუზ-  
რახევი, ანაზრახევი) ხმის ამოღებინება,  
ალაპარაკება: ნუ ა ზ რ ა ხ ე ვ, იყოს, ჰე-  
მანდ უჩუმრა წვეს; დოხტურმა თქო,  
ავადმყოფ არ ა ა ზ რ ა ხ ო თ ა ე (იხ.  
ხევს., მთიულ. აძრახება—ალაპარაკება).

**აზლოტ** პერანგის ბოლოს გვერდებ-  
ში სივანის მისამატებლად ჩასაკერები  
ირიბი, ტოლფერდა სამკუთხედი ნაქე-  
რი, რომელსაც ჯერ სახელოზე მიაკე-  
რებდნენ, მერე სახელოს სივარძეზე გა-  
კერავდნენ, შემდეგ კი პერანგის ტანზე  
მიაკერებდნენ: უწინ ა ზ ლ ო ტ ე ვ ი ა ნ  
პერანგ ადათ იყო (იხ. საბა, ჩუბ. აზ-  
ლული).

**აზლუნ** ყველაფრით გამაძღარი, არა-  
ფერს რომ არ ნატრულობს.

**აზლუნოვაი** (აზლუნოვს) განაზება,  
დაწუნება.

**აზლუტ** იხ. აზლოტ.

**ათა** შვილი! მოფერებით მიმართა-  
ვენ პატარებს: რაი გინდა, ა თ ა ?

**ათა-ბაბაი** მამა-პაპა შვილებისა და  
შვილიშვილებისათვის; წინაპარი. **ათა-**

**ბაზაი დროი** ძველი დრო, წარსული: ათაბაბაი დროზე სახლევ ჩალიან იყო.

**ათაბაბინდელ** ძველის-ძველი, უწინდელი: ათაბაბინდელ ხაბრევ იცის დედამ.

**ათაბაბურ** მამა-პაპური, ძველებური: ათაბაბურ ფაყლიწონ გააქეთ!

**ათა-პაპაი** ის. ათა-ბაბაი.

**ათაპაპურ** ის. ათაბაბურ.

**ათართარევია** (ათართარევს) შეციება და კანკალი მთელი ტანით: ადას შააცივა, ერჟურ ათართარევდა, ვერ ვიჭერდით ლოგინში.

**ათადარ<sup>1</sup>** მაგარი ხეა, ბუჩქად იზრდება, ეკლები ასხია და წვრილი მრგვალი ფოთლები აქვს. მის ტოტებს კონებად შეკრავენ და ლობეებზე დასაწყობად ხმარობენ, ფიხად ძალიან კარგია, მისი ცეცხლი ბარაქიანია (ის. ჩუბ. ჯავი, მენთ. ჯავ-რცხილა).

**ათადარ<sup>2</sup>** ტყე, სადაც ბევრი ათადარია: ათადარში მივლით.

**ათელაი** (პთელავს, ათელა, უთელი, ანათელ, ათელულ) დახლართვა ძაფისა, დაწყობილ-დალაგებულის არევა, საქმეების ერთმანეთში არევა: გედ, ბაწარნუ აათელასავ, ჯიფს დედანას (ის.) ჰუქეთევენყ.

**ათელულ** დახლართული, არეულ-დარეული: ათელულ კედარ ვარგი.

**ათიევაი** (ათიევის, ათათევა||ათთიევა, ოუთთიევი, ანათიევი) შესრულება: ერურემ შიშაი აათიევა; ორ კურჩაი აათევა, მოვლა.

**ათქლჭაი** (ითქლჭფჭვის) ენის ხწრაფი მოძრაობით, დორბლების ცვენით გაცხარებული ლაპარაკი, რომლის დროსაც ჰირს სიტყვების გარჩევა.

**ათხუთმეტ** თხუთმეტოდე: ათხუთმეტ ვაშლ ჩგმაიდ!

**აკალაი** (ჰკალაეის, აკალა, ოუკალი, ანაკალ, აკალულ) მიწის პირის მოსუფთავება ბარით, ბალახების შეჭრა. ასე აკეთებენ კალს.

**აკალთაი** (კალთავს, აკალთა, ოუკალთი, ანაკალთ) კაბის, ჩოხის და მისთანათა ბოლოების აწევა, სუფრის აწევა, ძირს დაფენილის ნაპირების შიგნითკენ შეგროვება (ის. შაკალთაი): პოლ გარეცხაში კაბაი ააკალთ! სუფრაი წორევი აკალთ, მიწაზე არ მოხტოს (ის. მენთ. აკვალთა).

**აკანკლულ** ტოტებზევით აწეული.

**აკაფსაი** (კაფსავს, აკაფსა, ოუკაფსი, ანაკაფს, აკაფსულ) ხის ტოტების ასხეპა, პატარა ტოტებისაგან განთავისუფლება, აჭრა წალდით, ქვემოდან ზევით აქნევი; ხორცის ნაჭერ-ნაჭერ, ასოებად დაჭრა: ხეს კაფსავს; ყასაბჩიმ ერ წუთში აკაფსაცხორ.

**აკილოი** ბირკაი-ს (ის.) ტოტებიანი ღერო, რომელსაც კარგად გახმობის შემდეგ ტოტებს მოკლევ აჭრიან და დაახლოებით ნახევარი მეტრის სიგრძისას ინახვენ, წვერში უყრიან თოკს ჩამოსაკიდებლად. მის ჩამოსაკიდებლებზე ჰკიდებენ მტევნებს, იტევს დაახლოებით 7—8 კილოგრამამდე.

**აკლანზაი** (იკლანზავს, აკლანზა, ოუკლანზი, ანაკლანზ, აკლანზულ) სახელოების აწევა: ცომ მოხელაში საცლევ ააკლანზ!

**აკნჭ** არ ჩგმოვარდნილ ზალა ფიგურ. ჯერ კიდევ პატარაა.

**აკნჭ** ბად არტახებზე მობმული ზონარი, რომელიც დაწნული იყო ფერადი ბაწრებით.

აკნუ უოხ აკენის არტახებში გასაყარი ჯოხი, რომელიც ჭიმავეს არტახებს.

აკნუ ყალიბ აკვანში დასაფენი ლეიბი.

აკონაჲ აკონვა.

აკოფხლაჲ (აკოფხლავს, აკოფხლა ოუკოფხლი, ანაკოფხლ, აკოფხლულ) მტევანზე კოფხალ-ის (იხ.) აცლა: ტევანს ნუ ჰკენკავთ, აკოფხლით ჭამით! (იხ. საბა: მოკუფხლვა).

აკრაჲ<sup>1</sup> მოპარვა: თოლს წინაითი აჰკრა.

აკრაჲ<sup>2</sup> მალე, წუთში მოთავება საქმისა: ერ მინუტში აჰკრეს, ცოტად გილ იყო დაათოხელ.

აკრწხხბვაჲ (აკრწხხბვს, აკრწხხხა ოუკრწხხბვი, ანაკრწხხბვ, აკრწხხხბულ) მაკრატლით ზევიდან ოღნავ შეჰკრა თმისა ან სხვა რისამე.

აკრწცვვაჲ (აკრწცვს, აკრწცა, ოუკრწცვი, ანაკრწცვ, ნაკრწც) ჭსოვილზე მაკრატლით ოღნავ შეჰკრა: ბოლო-ბოლოჲ კაბის ააკრწც, გასწორდეს (შდრ. ჩუბ. აკვეცა).

აკუწა (აკუწავს, აკუწა, ოუკუწი, ანაკუწ, აკუწულ) დანით დაჰკრა: აგუწავ, დაგაგდევ!

აკუჭაჲ<sup>1</sup> (იკუჭევის, აკუჭა, აკუჭულ, ანაკუჭ, აკუჭულ) მობუზვა.

აკუჭაჲ<sup>2</sup> (აკუჭავს, აკუჭა, ოუკუჭი, ანაკუჭ, აკუჭულ) დაჰმუჭნა, დანაოჰკრა: კაბაჲ აკუჭა.

აკუბატევაჲ (იკუბატევის, აკუბატა, ოუკუბატნი, ანაკუბატე, აკუბატულ) ვისიმე დაეინებით, ჩაციებით, მასხარად, აბუჩად აგდება, მოძულეობა: ყმაწულევი აუჩიტელ აკუბატეს.

ალაბაბათ ოღნავ, საშუალოდ: ალაბაბათ თბილ წყალში გაბანა. ალაბაბათ ა სწავლობს.

ალაბულაჲ ჭრელი (შდრ. საბა, ჩუბ., მთიულ. ალაბულა).

ალაგევაჲ (ალაგევის, ალაგა, ოულაგევი, ანალაგევი, ალაგეულ) დალაგება სახლისა: სახლ აალაგა; დატაცება, არც ერთის არ დატოვება: წინაითი ყმაწულევი ბუთუმ ვაშლ აალაგეს; რაიმე დაწყობილის სათითაოდ ალება: თიპითოთ აალაგა ნაყრომ ქუევი.

ალაგმევაჲ (ალაგმევის, ალაგმა, ოულაგმევი, ანალაგმევი, ალაგმეულ) ის. ალაგმევაჲ.

ალამფურევაჲ (ალამფურევის, ალაამფურა, ოულამფურევი, ანალამფურევი, ლამფურ, ალამფურეულ) ატალახება, დიდი ლაფის დაყენება: უწუმნი, ზროხას ოწომა, ოულამფურევი.

ალაჲ სარეველა. ალაჲ ქნაჲ (ალაჲ ჰჩედის, ალაჲ ქნა, ალაჲ უქნი, ალაჲ ნაქნარ) გამარგელა: პური ალას ჰჩედის.

ალარაჲ (ლარავს, ალარა, ოულარი, ანალარ, ალარულ) დალაამბვა.

ალატ გრძელი სწორი ჯოხი, ლატანი, ოღნავ მოქნილი. იხმარება კაკლის დასაბერტყად და ხიდან ხილის ჩამოსაყრელად. სხვადასხვა ზომისაჲ; ყველაზე გრძელი ალატები სახლის სახურავზე ჰორიზონტალურად დასამაგრებელი ხეებია, რომლებზედაც კრამიტი იხურება (იხ. დაალატევაჲ): ალატით დახრა კაკალ; სახლს ალატს ჰკრავს (შდრ. საბა, ჩუბ. ალატა, მენთ. ალატი).

ალაულაჲ სარეველები, ბალახ-ბუ-  
ლახი; მხალეული; გადატ. მწვანილეუ-  
ლი.

ალაფ საქონლის საკვები ბალახი:  
ა ლ ა ფ ს ჳ ა მ ს კ ა მ მ რ ი. ალაფ ჩაყრაჲ  
(ალაფ უყრის, ალაფ ჩოუყრა, ალაფ  
ჩოუყრი, ჩანაყარ ალაფ) ძროხისთვის  
ალაფის მიცემა, ნავში ჩაყრა: ალაფ  
ფურს ა ლ ა ფ უ ყ რ ი ს. ალაფ შაყრაჲ  
(ალაფ აყრის, ალაფ შაყრა, ალაფ შო-  
უყრი, შანაყარ ალაფ) ალაფის შენახვა  
აყარზე (იხ.): კაჲ გორა ა ლ ა ფ შ ა ა ყ-  
რ ა. ალაფ შაგრუევაჲ (ალაფ აგრუევეს,  
ალაფ შააგრუევა, ალაფ შოუგრუეწვი,  
შანაგრუევე ალაფ) საქონლისათვის ალა-  
ფის მომარაგება: ა ლ ა ფ შ ა მ ი გ რ უ-  
წ ვ ი.

ალაფაჲ თავსახური ქალისა, ძალიან  
გამკვირვალე, სხვადასხვა ფერისა (შდრ.  
მენტ. ალაფა).

ალაქაშ მარგილი, სარეველა ბალა-  
ხის ამოსაღები იარაღი, პატარა ნამგ-  
ლისებრი პირი აქვს, მჭრელია მისი გა-  
რეთა ნაპირი, ხის სახელური უკეთია.

ალაყანადაჲ ჩიტის სახეა. ფრთებ-  
ქრელაჲ, ზამთრობით მოფრინდება ზო-  
ლმე.

ალაყურთიჲ ჭეჭიმის სახეა.

ალევაჲ (ლევს, ალივა, ოულევი, ანა-  
ლევ) ხეზე ხილის ან სხვა მოსავლის  
აღება, გათავება: თხილ ა ლ ე ვ ა ი ა რ  
კ ე პ ტ ე ვ.

ალთიაჲჟღ ჳერლია შენობა, სადაც  
ჩვეულებრივ თონეა. ოთხ ბომჳეა დაშე-  
ნებული, ერთი მხრიდან არტყია კედე-  
ლი, სახურავი ორი მხრიდან ახურავს,  
თავი და ბოლო მხარე სახურავისა ღიაა;  
ასეთივე შენობა საქონლის შესანახავად  
ზაფხულში ან სხვადასხვა დიდი მოწყო-

ბილობის დასადებად, რომ წვიმა არ  
მოხვდეს; გამოყენებული იყო ძველად.  
ალინგაჲ (ლინგავს, ალინგა, ოჟლინ-  
გი, ანალინგ, ალინგულ) აწევა ერთი  
მხრიდან: ნავ ა ლ ი ნ გ, ქ ო შ ხ ე ა ო მ ო უ-  
ყ უ ლ.

ალლუ უთიმ ჭეჭიმის სახეა.

ალოკმაჲ (ილოკმევის, აალოკმა,  
ოულოკმი, ანალოკმ) საჩქაროდ ერთი-  
ორი ლუკმის შეჭმა, წახემსება: დილ-  
ლაზე ა ნ ა ლ ო კ მ ვ ა რ თ.

ალოკმიევაჲ იხ. ალოკმაჲ.

ალომფურევაჲ (ალომფურევეს, აალო-  
მფურა, ოჟლომფურევი, ანალომფურევე,  
ლომფურ) იხ. ალომფურევაჲ.

ალოპრიანევაჲ (ალოპრიანევეს, აალო-  
პრიანა, ოულოპრიანევი, ანალოპრიან-  
ნევე, ლოპრიან) რისამე ძალიან გატუქ-  
ყიანება: ა ა ლ ო პ რ ი ა ნ ა, დაავდა,  
ვერ გარეცხა.

ალორწყიანევაჲ (ლორწყიანდევ,  
ალორწყიანდა, ალორწყიანეჟულ, ანა-  
ლორწყიანევე) იხ. ალოწრიანევაჲ.

ალოწრიანევაჲ (ლოწრიანდევის,  
ალოწრიანდა, ალოწრიანეჟულ, ანალოწ-  
რიანევე, ლოწრიან) რისამე ლორწოი-  
ანად ქტევა: ცივ წყალში ყოლ მალე  
ლ ო წ რ ი ა ნ დ ე ვ ი ს, ფუჩდევის.

აღლუჲ ალოო, ხერხი, ინტუიცია.

ალყიზმარ დიდი სიცხე, პაპანაქება  
(შდრ. ზეყიზმარ, ორთან).

ალხამ-ჩალხამ ნამსხვრევები, ნამცე-  
ცები: ა ლ ხ ა მ-ჩ ა ლ ხ ა მ ი ქ ნ ა, ხის  
წორი ჩამნავარდნ.

ალხანაჲ მლაშე წვენი, გუდის ნავ-  
ლები, მწყემსები შიგ პურს ალბობენ  
და ჳამენ, ან რაიმე საკმელს ამზადებენ  
მისგან.

**ამადინგელო წყევლაა:** ძირფესვიანად მოსასპობო!

**ამაავარდნელო წყევლაა:** მოსასპობო!

**ამააზურკელო წყევლაა:** დედაბუღიანად გასაქრობო!

**ამაან შორისდ.** ვამე, შენი ჰირიმე: ამ ან, ეს რადას? ამ ან, ჩონც მოცევა წყალ!

**ამა-იმა ვილაყეებს, სხვას:** ამ ა-ი მ ა აპყო; ამ ა-ი მ ი ჟულაბს დოუქერა.

**ამამქუთელ დედაყაცი, რომელიც დაქსელვისას ზევით ამოიღებდა შამფურს (იხ.)** — უკან დარჩენილ ბაწარს (შდრ. ამამშოვნელ).

**ამამშოვნელ იხ. ამამქუთელ.**

**ამან! ძალა, გამძლეობა:** ამ ან გაპწყობტი.

**ამან<sup>2</sup> შენი ჰირიმე:** ამ ან გააკეთო.

**ამ დუნუა** სააქაო: ამ დუნუ ამ ყონაღე ვართ ინსეგ.

**ამდღუევა** (ამდღუეეს. აამდღოვა, ოუმდღუევი, ანამდღუეე, დღუეა || დღოვეამ) ამღრევა: ძევაშა ჩაასხ ღუნეა, არ ამ დ ღ ო ვ დ ე ს.

**ამდღუჭვა** იხ. ამდღუევა.

**ამდღუჭულ** იხ. ანამდღუეე.

**ამელა** (იმელევის, ამელა, ამელულ, ანამელ, ამელულ) საკმელს კვამლის გემო რომ მიეცემა; ქვაბის ძირში საკმელი რომ აიწვება: ცეცხლ ბევრ არ ჰქნო, ა მ ე ლ ე ე ვ შიკმელ.

**ამელულ შებოლილი, კვამლისგემოიანი:** ამ ე ლ უ ლ შიკმელ ჭამა, არწყევა.

**ამზორევა** (მზორდების, ამზორდა, ამზორეულ, ანამზორეე, ამზორეულ) აყროლება, გაფუჭება, მძორის სუნის

ამგება: ლემ ამ ზ ო რ ე უ ლ გდოუყარი.

**ამთავი** სალამოს მომდევნო დრო შუალამედე: ჯერ პირსალმო, მერე კი ამ თ ა ე ი მ.

**ამიან** აქეთ: ამ ი ა ნ ჩონ ვიეთ, იმიან ისენ.

**ამიანა** აქეთა, აქეთ მყოფი: ამ ი ა ნ ა მ ჩემი.

**ამიან-იმიან** აქეთ-იქით (მხარე): გზი პირში ამ ი ა ნ-ი მ ი ა ნ ხეეე ჩოუყრი (შდრ. ესიან-ისიან).

**ამიან-იმიანი** აქეთ-იქიდან, ორივე მხრიდან: ნერგის ამ ი ა ნ-ი მ ი ა ნ ი ჟ ო ხეეე ჰსმენყ.

**ამმა** მაგრამ, ხოლო, ოღონდ.

**ამნათხარ** 1. ამოთხრილი. 2. ამომთხრილი. 3. ამოსათხრელი: სამარე ამ ნ ა თ ხ ა რ. ამ ნ ა თ ხ ა რ მიწას ამ ნ ა თ ხ ა რ ბარით შიგავ ჰყრისყ.

**ამნარჩეე** ამორჩეული; ამომრჩეველი: ამ ნ ა რ ჩ ე ე თუთამ გააკმო (შდრ. ანმარჩეე).

**ამნასულ** ამოსული; რომელიც ამოდის (შდრ. ანმასულ).

**ამნაყარ** ამოყრილი; ამოდარული: ეჩოთი ამ ნ ა ყ ა რ ვარცლ.

**ამნაწან** ამოწნული; ამომწვნელი: ამ ნ ა წ ა ნ ღობეა ჩაჰყლიტა.

**ამნაჯრატ** ამოხვერტილი; ამოსახვერტი; ამომხვერტი.

**ამჟიევა** 1. ჟადების, ამჟადა, ამჟიეულ, ანამჟიეე, ამჟიეულ) დამჟავება თავისით, გაფუჭება, ცომის ძალზე აფუება. ასეთი ცომი ძნელი გასაჩერებელია თონზე. 2. (ამჟიეეს, დამჟავა, დოჟმჟიეევი, დანამჟიეე) დამჟავება განგებ: დ ა ნ ა მ ჟ ი ე ე ვ ო ღ გემრიალი.

ამჟიელ ამჟავებული, ძალზე აფუ-  
ებული (ცომი).

ამსისხლიანვეელ ნადირს ვინც პირ-  
ველად ესროლა და დაქრა ან მოკლა,  
მას ხორცის განაწილებისას ზედმეტად  
აძლევენ „ნაყელაჲ“-ს (იხ.).

ანაგვე 1. აგებული, ასხმული მწვა-  
ლი შამფურზე, ძაფი — ნემსზე; 2. შე-  
სარული; შემსარავი: ან ა გ ე ვ კ ი ტ რ,  
ან ა გ ე ვ მ ე ნ ა ჯ .

ანადგომ 1. ამდგარი; 2. რომელიც  
დგება.

ანადუღევ ადუღებული, მდულარე.

ანავსოვ 1. ასავსები; 2. ამვსები; 3.  
ავსებული.

ანალოკმ ცოტათი დანაყრებული:  
დილაზე ან ა ლ ო კ მ ვ არ (მდრ. ანა-  
ლოკმევ).

ანალოკმევ იხ. ანალოკმ.

ანამდღუვე მღვრიე, ამღვრეული  
(მდრ. ამდღუოულ).

ანამელ იხ. ამელულ.

ანამჟიევ ამჟავებული.

ანამჩორევ დაობებული, ობის სუ-  
ნიანი (ხორცი).

ანამ დედა (ალიბეგ.); ქირიმე.

ანასუყ მსუყე: ღორი კორც მალე  
ან ა ს უ ყ რ ა მ ი მ .

ანატკრეც ამწვარი, წამოწითლებუ-  
ლი ძლიერ ცეცხლთან. ანატკრეც პურ  
გარედან ამწვარი, შიგნით ცომი პური:  
ან ა ტ კ რ ე ც პ უ რ ნ ა ც ა რ ჰ ყ რ ი ა ნ ყ .

ანატროყ იხ. ატროყულ.

ანატყლოპ იხ. ატყლოპულ.

ანაფაყრ წამოწეული, წამობურცუ-  
ლი: ან ა ფ ა ყ რ ღ რ ო ზ ე ღ ო რ ს ე ს რ ო ვ -  
ნ ა (მდრ. აფაყრულ).

ანაფუხე იხ. აფუხულ.

ანაყროვლევე აყროვლებული: ან ა ყ -  
რ ო ვ ლ ე ვ ე კ ო რ ც გ გ დ ა ყ რ ; გა და ტ .  
ვინც მალე ბრაზდება: მალე ან ა ყ რ ო -  
ვ ლ ე ვ ხ ა ს ი ა თ ა ქ (მდრ. აყროვლეულ).

ანაწკლუნტა თესლ ქინძის ან აბრე-  
შუმის ქიის თესლი ყველაზე დაბალი ხა-  
რისხისა. ქინძის ასეთი თესლი მიიღება  
ტაბაკ-ით (იხ.) გასუფთავებისას. თეს-  
ვისას მეჩხრად ამოღის.

ანღუჴ სარეველაა, დიდი ფოთლები  
აქვს.

ანკაროხ ხელით საჭერი აკენის სწო-  
რი ხე, სახელური.

ანმათხარ იხ. ამნათხარ.

ანმარჩევ იხ. ამნარჩევ.

ანმასულ იხ. ამნასულ.

ანჴახ 1. მაგრამ, ხოლო; 2. ძლივს,  
ძლივძლივობით: წავალ, ან ჴ ა ხ არ გა-  
ქეთდევი; საღმომდინ ან ჴ ა ხ გოვწევს.

ანსამ იხ. თინჴაფ.

ამ<sup>1</sup> აი ის, ის: ა მ კ ა ც შ ი ნ ა ა ?

ამ<sup>2</sup> აი: ა მ რ ა მ თ ქ უ ა ? !

ამ<sup>3</sup> შორისდ. მიმართვისა: ა, აუ, აი,  
აბა: ა მ დ ა ს ა მ ა რ ხ ე ლ !

ამაჴი ძლიერი სიცივე, ღამის ყინვა  
ზამთარში, როცა ცა მოწმენდილია: წუ-  
ხელი ა მ ა ზ ი ყ ო , გ უ გ რ ე ვ გ ე ე ყ რ ი ა .

ამაჴ<sup>2</sup> მოწმენდილი. ცა ღამით. საღა-  
მო ჟამს დასავლეთის მხარეს გახედა-  
ვენ, თუ ცა მოწმენდილია, იტყვიან:  
„ამ ა ზ ი , არ საწუმელი“, ანდა: „ამ ა -  
ზ ი , წყალ გააყინელი, არ სათოვლეელი“.   
გადატ. მელოტი. ასეთ კაცს ზედმეტ  
სახელად უწოდებენ. ამაჴ დაკრაჴ (ამაჴ  
ჰკრაეს, ამაჴმა დაჰკრა, ამაჴს დოუკრაჴ,  
ამაჴ დანაკარ) ყინვიან ღამეში ხილუ-  
ლის გაყინვა: ა მ ა ზ დ ა ნ ა კ ა რ , ვ ა მ ლ  
მალე ლჰვეისყ. ამაჴიან ყინვიანი (ღამე).  
ამანდა-სამანდა! წინდის სახე.

აჲანდა-საჲანდა<sup>2</sup> ხანდახან.

აჲაჲყაბ ფეხსაცმელი.

აჲგრ ისე, აი ისე; იქითყენ: აჲგრ არ იქმენყ; აჲგრ გააქეთ! აჲგრ არ წახუდეთ!

აჲგრაჲ ისევე, აი ეგრევე: აჲგრ აჲვ მისცა, არ აწონა.

აჲმ იმ, აი იმ: აჲმ კაცს მისცა.

აჲმაგრ (<აი მაგრე) აი მაგნაირად: აჲმ აჲგრ არ უთხრო შენც.

აჲმაჲინ (<აი მაჲინ) მაჲინ, იმ დროს აჲმ აჲინ თქუ შენ მისც, აჲმ აჲინ მეც მიაკემეგარ.

აჲნაბენდ შუშაბანდი, შუშაინი ღერეფანი.

აჲნაჲ მინა; შუშა: აჲნაჲ გაქეჩა; ფეყში აჲნაჲ შეერკო.

აჲს აჲ ის.

აჲსიგ-აჲს ისევ ის, იგივე: აჲსიგ-აჲსი არ გომოცლულ; ღუნოჲ აჲსიგ-აჲსი.

აჲქ (<აი იქ) იქ.

აჲქაჲ იქვე, ერთ ადგილას, ერთსა და იმავე ადგილას.

აჲქში (<აი ქიში) კაცო, ადამიანო: აჲქში, რაჲ გინდა?

აჲშაბაშ ის. შაბაშ.

აჲაჲაჲა შორისდ. (კატეგორიული) უარყოფისა, სრულებით არა: აჲაჲაჲაჲა, კელ არ მახლო!

აჲარან გაწყობტაჲ (აჲარან უწყობტაჲს, აჲარან გოუწყობტა, აჲარან გასწყდომი || გასწყობტი, აჲარან განაწყობტი) უცბად, მოულოდნელად რისამე გათავება, ბარაქის გამოლევა (შდრ. ბარაქათ გაწყობტაჲ).

აჲენკარ არკაკელი, მხალი, გაზაფხულზე ამოდის მთაში, ნიგვზით ამზა-

ღებენ: აჲენკარი ჟეკლევა, ქალსა გული ჰუკდოვა.

არა არ არის.

არაბეჲ მეაქლემეები, რომლებიც აქლემებით ნავთს ან მარილს ეზიდებოდნენ გასაყიდად.

არაბოღლიჲ ვისაც აქლემი დაჲყავს, ღადის და ყიდის ნავთსა და მარილს.

არადეგრაჲ ოჯახის მოწყობილობა, ნიეთები: ღამაშ არ ადეგრაჲ აქონდა, ალაგეულ იყო. გადატ. ხატ. თქმაჲ — არ ადეგრაჲ უჩანდა.

არამერაჲ ის. არადეგრაჲ.

არან ცხელი ადგილი, ასეთად ითვლება: ალიბეგლო, ალათემური და სხვა ქვედა სოფლები (შდრ. ყარასაჲ). არანი ქარ ქარი, მოდენილი ცხელი ადგილებიდან, დასავლეთიდან ქრის, მას მოჲყვება წვიმა: არანი ქარზე წუშაჲ მოდისყ.

არაყ მობრუნევაჲ (არაყ აბრუნევეს, არაყ მააბრუნა, არაყ მოუბრუნევი, მანაბრუნეჲ არაყ) ერთხელ გამოხდილი არყის, რომელსაც დაბალი გრადუსიანობა აქვს, ხელმეორედ გამოხდა: თუთაჲ არაყ თუთანაც მამიბრუნევი.

არ გავარდა (ალიბეგ.) ფიგურ. როცა ტყუილში გამოიქერენ, მაშინ ეტყვიან.

არდ სარეველა ბალახი, ყანაში იცის, მაღალი იზრდება.

არდევაჲ ზღაპრული ცხოველი (ბაყ-ბაყდევი).

არღუნ წისკვილის ქვის გარშემო ნაპირებზე შემოყრილი ფქვილი, ძალიან წმინდაა.

არვა კითხვითი სიტყვაა, არა ხომ? ხომ? ვაშლ მოწვეულ არვა? (შდრ. არუა).

არვარგ უევარგისი, ცუდი: არ ვ ა რ გ პამილორ არ მაილო. იხ. ჭანაქი.

ართმა (ართომს, ართო, ოჭრთომ, ანართომ) სუფრის, ხონჩის აღება ჭამის შემდეგ (შდრ. მორთმა): უწინ კაცევს ზლეე არ ართმიდნენ.

არუა იხ. არვა.

არუმ არ უნდა: შენ არუმ წასუ-ლიყავ.

არუხ გამხდარი, ნაზი.

არუხამ ზედმეტი სახელი სუსტი, გამხდარი ადამიანისა.

არშანამბავ იხ. ხამ ულაყ.

არჩან გამძლე მაღალი ხე, სწორად იზრდება, კარგია მასალად.

არხაუ რამდენიმე დღით ცხვრის ფარის ნადგომი მიწა. ასეთი მიწა ნოყიერია. ზოგი ხალისით აჩერებს თავის მიწაზე ცხვარს.

არხაუ გაქეთვეინევა (არხაუ აქეთვეინევს, არხაუ გააქეთვეინა, არხაუ გოუქეთვეინევი, არხაუ განაქეთვეინევი) ცხვრის ფარის რამდენიმე დღე-ღამით შენახვა მიწაზე, რომ გაანოყიეროს: ზოგ არხაუ აქეთვეინევს თავი მიწაში.

არხლოდ მამაკაცისა და ქალის ზედა ჩასაცმელი, ახალუხი. ქალისას სახელოები იდაყვამდე წვდება, ვიწროა, მისი ზედა ნაწილი შემოჭერილი უნდა იყოს, ქვედა ნაწილი კი—ხალიან დანაოქებული. მამაკაცისას ბოლო ტანი ფართო აქვს. ახლა ქაცევს თითქმის აღარ აცვიათ, ხოლო ქალები ჭერ კიდევ ატარებენ (შდრ. არხოლოდ).

არხლოდ იხ. არხლოდ.

ასალ კოკლი.

ასალოვა (ასალოეს, იასალა, უასა-ლნი, ასალ || ასსალ, აღსალ || ნასალ) კოკლობა: დედა ასალ ქნაშიავ, შულიც სააღსაღნელი (შდრ. აპსალოვა, აღსა-ლოვა).

ასვენა (ესევის, ეესივა, აპსენი, ანასენ) ჭიის, მკბენარის დახვევა, დასევა: ჭუჭულს ტილ აპსეენი, დაა-ჯოცელი.

ასეულოვა გადამდები სენივით, მუდმივი უბედურება: „ე რა ასეუ-ლოვა მსა“, — იტყვიან, როცა რაიმე გაჭირვება ან უბედურება აწევთ და ვერ იშორებენ თავიდან.

ასკარ ჯარი, არმია: ასკარ ში მიპ-ყონენ ჩემ შუღს.

ასკარხანი ქალის ბაშმაყ-ი (იხ.), დაბალქუსლიანი რკალისებრი ნალით. ეკვთ 70 წლის წინ.

ასლოყინევა (ასლოყინევს, აასლო-ყინა, ოუსლოყინევი, ანასლოყინევი) სლოკინი.

ასმა 1. მოგრძო, გამოშვერილი, ფართო ბუხრის ტიპი. 2. უხარისხო, ფუყე, მოყვითალო ან მოთეთრო ფერის ხანვი, რომლის შრეები არაა მკიდროდ განლაგებული, ფორმით გრძელია, ტკბილია. ასმა დახურა (ასმა ხურავს, ასმა დაპხურა, ასმა დოჭხური, ასმა დანახური) ჩალის სახურავის დახურვის ერთ-ერთი ხერხი.

ასლა-ასლა ნაჭრებად, ნაგლეჯებად, ნაფლეთებად: მავი შარვალ ასლა-ასლა, ლოკმა-ლოკმა ქნელ.

ასპაბ უნაგირი მოწყობილობით: უასპაბო ცხენზე არ შაყდე, ჩაგმაგ-დევს (შდრ. ასპაბ, ასპავ).

ასპავ იხ. ასპაბ.



ასპაბ იხ. ასპაბ.

ასხად იხ. ასად.

ასხეა მამაკაცთა ცეცვის დროს შე-  
ძახილი.

ასტა-ასტა ადგილგამოშვებით, ერ-  
თის გამოტოვებით, შიგდაშიგ: სმინდში  
ასტა-ასტა ფაყლამ ჩაყრა.

ასტენაჲ (ასტენავს|ასტენს, აასტინა,  
ოუსტენი, ანასტენ). 1. შეცდენა, მოტ-  
ყუება: მაგას ვერ აასტენენ; 2.  
ერთის გამოტოვება, ერთის გამოშვება:  
ჭიას ერთ ოსტენავდი, უყრიდი.

ასტომაჲ (სტევის, ასტა, ამსტარ,  
ანასტომ) შეცდომა, შეცდომის დაშვე-  
ბა: ერთხელ ასტა; ასტომაჲ არ მა-  
გივდეს (შდრ. შასტომაჲ).

ასწევამ 1. (სწევს, ასწივა, ოუსწე-  
ვი, ანასწევი) სიმძიმის აწევა: დიდ ქობ  
არ ასწოვო! 2. (უსწევს, ოუსწევი,  
ოუსწევი, ანასწევი) მოთმენა სხვისი  
საქციელისა: მე მაგას ვერ ოუსწევი,  
რასაც მეტყუეს, მეც ვბრტყუ. 3. ცხედ-  
რის გატანა სახლიდან: კდარ ასწი-  
ვეს.

ასხეჲაჲ ხის ტოტების აკრა წალ-  
დით.

ატანაჲ (აპტანს, აატანა, ოუტანი,  
ანატან) ხელში აღება.

ატანტალეჲაჲ (ტანტალდევის, ატან-  
ტალდა, ატანტალეულ, ანატანტალეჲ)  
ცარიელი ხელით ვინმესთან მისვლა;  
საღაზღანდაროდ, უსაქმოდ მისვლა:  
ცარიალ ატანტალეულ მოსულ,  
რამ დაპჩომია? (იხ. ჩუბ. ტანტალი).

ატხეჲეჲაჲ (ეტხევის, ეეტხეა, აპტე-  
ხევი, ანატხეჲე) გაღიზიანება, გაბრაზე-  
ბა, გამოწვევა სამოქმედოდ; ნუ ეტე-  
ხევე მაგას! (შდრ. აყოლეჲაჲ).

ატლინკეჲაჲ (ტლინკოჲს, ატლინკდა,  
ატლინკეჲულ, ანატლინკეჲე) ატროკება,  
შეკუნტრუშება ცხოველთა: კამმერ ატ-  
ლინკდა, გგღამზორწა; გახარებულის  
გაქცევა საქმეზე: ატლინკდა, წავდა  
ყმაწულ (შდრ. დატლინკეჲაჲ).

ატმი ყოვილ ატმის ყვაილი. გადატ.  
გაზაფხული: ატმი ყოვილში მა-  
ასლოვართ.

ატოლიეჲაჲ (იტოლიეჲს, აიტოლია-  
ჲა, ოუტოლიეჲვი, ანატოლიეჲ) სითხის  
ჭურჭლიდან ჭურჭელში გადასხმის  
დროს ნაპირებზე გადმოქცევა: წაპრი-  
თი ჩაასხ არაჲ, იტოლიეჲს.

ატრაყეჲაჲ 1. არეულობა, ალიაქო-  
თი, აურხაური; დაულაგებელი, მიყ-  
რილ-მოყრილი: ერა ატრაყეჲაჲსა,  
რამსა? 2. გადატ. ჭანჭალი, მოუწესრი-  
გებელი ადამიანი.

ატრრყაჲ (პტრრყავს, ატრრყა, ოჲტ-  
რრყუ, ანატრრყ, ატრრყულ) აქოთება,  
არეჲა, მიყრა-მოყრა: გუგო, ზლივ ამი-  
ლაგევი სახ-კარ, არ აპტრრყო!

ატრრყულ აქოთქოთებული, მიყ-  
რილ-მოყრილი: მაგი შინამ ჰამმეჲა ატ-  
რრყული.

ატრუჩაჲ (იტრუჩევის, აატრუჩა, ატ-  
რუჩულ, ანატრუჩ) რისამე დაწუნების  
ნიშნად ტუჩის მიღმა აწევა, ამრეზა:  
ყოლილ წაყუნაში მაგი დეკაც იტრუ-  
ჩევისჲს. ჩემ რამ ყილუაში, მაგამ  
ჰამმეჲა აატრუჩა.

ატყარტყარეჲაჲ (ტყარტყარდევის,  
ატყარტყარდა, ატყარტყარეჲულ, ანატ-  
ყარტყარეჲე, ატყარტყარეჲულ) კანის დას-  
კდომა სიღამწერის (მზის) გამო, გადატ-  
ყაგება; ასიგება კინჭრის შეხების დროს:  
ბეჭევე ეღზან ატყარტყარეჲულ.

**ატყლობა** (იტყლუპბჳვის, ატყლუ-  
პა, ატყლობულ, ანატყლობ, ატყლობ-  
პულ) გადახარშვის შემდეგ აზელვა, გა-  
ფუქება ფლავისა ან სხვა რამისა: ბზგრ  
არ მოჰხარშო, ფლავ აატყლობო-  
ლი.

ატყლობულ გადახარშული და ცო-  
მივით აზელილი: ატყლობულ  
ფლავ რამზე ვარგია?

**ატყლუშა** (იტყლუშევის, ატყლუ-  
შა, ატყლუშულ, ანატყლუშ, ატყლუ-  
შულ) ალის მოკიდება და სწრაფად,  
ტკაცუნით რისამე გადაწვა: ჩალიან  
სახლ ერ წუთში ატყლუშა.

აუგარდან იხ. აბუგარდან.

**აფაყრა** (იფაყრევის, აფაყრა, აფა-  
ყრულ, ანაფაყრ, აფაყრულ) კანის აბუ-  
რცება: მევეშ-მევეშ იფაყრევის.

აფაყრულ იხ. ანაფაყრ.

**აფიჩხა** (ფიჩხავს, აფიჩხა, ოუფიჩ-  
ხი, ანაფიჩხ, აფიჩხულ) ფიჩხის ჩარგვა  
ბოსტნეულის ძირში, რომ არ წაიქცეს:  
კიტრს ფიჩხავს (შდრ. შაფიჩხა).

**აფტუა** პატარა ორპირიანი თუნგი  
სპილენძისა, ხელების დაბანისას ამით  
სტუმარს და ოჯახის წევრებსაც წყალს  
დაუსხამენ ხოლმე.

აფტუა იხ. აფტუა.

**აფუნკა** (ფუნკავს, აფუნკა, ოუფუნ-  
კი, აფუნკულ, ანაფუნკ) აქოთქოთება,  
აშლა, აყრა: სახლს ფუნკენ ყმაწუ-  
ლევ (იხ. საბა: აფუნჩვა, ჩუბ. აფუტკ-  
ნვა).

აფუნკულ უწესრიგოდ აქოთქოთე-  
ბული, აყრილი (შდრ. ანაფუნკ).

აფშრუკულ იხ. გემოსურსნულ.

აქ აქეს, ჰყავს. ერთადერთ შემთხვე-  
ვაში იხმარება „ჰყავს“ ზმნა სულიერ-  
თან: ყმაწულ ჰყავ. ჩვეულებრივ არაა

გარჩეული სულიერი და უსულო (შდრ.  
აქო).

აქათყენ აქეთ, აქეთყენ (შდრ. აქატ-  
ყენ).

აქათყენ-იქითყენ აქეთ-იქით, აქათ-  
ყენ-იქითყენ (შდრ. აქატყენ-იქიტყენ).

აქამ აქედან (შდრ. აქამთი, აქამ-  
თით).

აქამთი იხ. აქამ.

აქამთი-იქიმთი იხ. აქამ-იქი.

აქამთით იხ. აქამ.

აქამ-იქი აქედან-იქიდან (შდრ. აქამ-  
თი-იქიმთი).

აქატყენ იხ. აქათყენ.

აქატყენ-იქიტყენ იხ. აქათყენ-იქით-  
ყენ.

აქთონ ამდენი.

აქიხს აქედან, ეს ადგილი: აქიხს  
აძლო, კამ ადგილ არ იქნევ.

აქ-იქ იხ. ააქ-იქ.

აქ-იქი იხ. ააქ-იქი.

კაჭრთ-კურთ იხ. კართ-კურთ.

კბილ გაჩხრეკინევაჲ გადატ. დაწე-რილებით, ჰედმიწეგნით გაგება სხვისი ამბისა, სხვისი შესწავლა ყველა მხრით (იხ. მენთ. კბილის გამოჩხრეკვა). „კბილ გამაჲდას“ ამბობენ, როცა აბრეშუმის ჰიას აჰმევენ დღეში ორჰერ ჰალის (იხ. ჰალაჲ) ფურცელს: კ ბ ი ჲ გ ა მ ა ჲ დ ა ს ა ვ ჰიას ორ დღე წყჰლ ფურცელ აჰმევენ.

კლარ თმაჲ იხ. თეთრ ბრწ.

კლომ-კლომ არ უნდა და ისე, ან არ შეუძლია და ისე საქმეზე წასვლა, რისამე გაკეთება: საქმეზე წასულაში ცოტა მონდომევით წაჲ, კ ღ ო მ ი-კ ღ ო მ ი ნუ მიიღ.

კელ აბრეშუმის ჰიის პარკისაგან გაკეთებული ძაფი: ღომფალ-ს (იხ.), პუჰა-ს (იხ.), ყაჰ-ს (იხ.) გამოხარშავენ საპონში, ძაფებად ამოახვევენ, მერმე ტარზე დაართავენ, დამახავენ, დახვეწავენ და სახმარად გამაზადებენ: კ ე დ არის ღომფალ, ყაჰ, პუჰათი დანასტავ.

კელე მერმე. შემდეგ: კ ე ლ ე რ ა ჲ გ ინდ ჩემგნი? შდრ. კიდე.

კელემ ისევ, მეორეჰერ.

კელდემ იხ. კელემ.

კელი ვერღან კელი შალისა. პირიანი ვერღანი (იხ.). კელი შალ კელით მოჰსოვილი სასაბნე ან საშარვლე ჰსოვილი: გასათხოვარ ჰალს მზითვისათვის სასაბნე უნდა მოექსოვა არანაკლებ ორისა. კელი გორგალ კელი-ის გორგალი. კელი თახტაჲ კელის გადასახვევი ბრტყელი და მოგრძო ფიცარი. დართვის შემდეგ მასზე გადაახვედნენ ძაფს, მერე იქიდან გორგალს ამოახვედნენ.

კევრ: კევრ შაყენევაჲ კევრის საღეწად გამართვა: კალოჲ ჩაგდევას შემდეგ კ ე ვ რ ს ა ყ ე ნ ე ვ ე ნ, მიჰალენ ერ წყჰლს აგრ, ერ წყჰლს აგრ. კევრ განალღევ იხ. მეკევრეჲ. კევრევიან ტურაჲ საშიში ცხოველი, როგორია არ იციან, ამ სახელით ბავშვებს აშინებენ ხოლმე. კევრი კერდ კევრის წინა, აწეული მხარე, რომელიც საჰიროა იმისათვის, რომ საღეწი არ დააგროვოს. როცა გაცვდება, გამოუცვლიან, სხვას გაუკეთებენ. კევრი დრწ იხ. კევრი კერდ. კევრი თავ რაზეც კევრის კორაჲ (იხ.) არის. კევრი კორაჲ კევრის ნაწილი, რაშიც გაყრილია გამწევი ნაწილი ხისა ან ვახისა, ან კიდეჲ საბელი, რომელიც უღელთან საუღლე-თია დამაგრებული. კევრი ჰუაჲ საკევრე ჰეა, კევრის ჰეაჲ. სამუშაო ნაწილის მოსაჰევი ჰეა, მაგარია, ხახუნს უძლებს (იხ. ცუცჰჰულჰ ჰუაჲ, დინგი ჰუაჲ). კევრი ტუჩ იხ. კევრი კერდ.

კეკრუხ თავზე იარების გამოყრის შედეგად თმებგაცვენილი, მელოტი.

კერცხველაჲ იხ. კარცხრვლაჲ.

**კეტნა** კარგი ნაჭერი ხორცისა: კაე  
ეტნე ვ ნაჭამნი ჰევენ.

**კეტოვ-კეტოვ** ჭოხის ტარებით, კოჭ-  
ლობით: კეტო ვ-კეტო ვ მოვდა.

**კეცუშლა** (ალაბ.) ტაფაზე გამომ-  
ცხვარი გოგრის გულიანი პური.

**კეხ 1.** უნაგირის ხის ზედა მწვერ-  
ვალი წინ და უკან: კეხ ზე დაკიდ  
ხურყინ; **2.** აქლემის კუზი.

**კეჭველა** (ალაბ. ალიბეგ.) გრძელ-  
ტარიანი სასოფლო-სამეურნეო იარაღი,  
რომელსაც ქვემოთ აქვს მიწის „სავარ-  
ცხნი“ დიდი კბილები.

**კეჭპა** მწვერვალის ყველაფრისა,  
სულ მაღლა.

**კიბლანჩა** მეჩხერკბილებიანი ან  
წინ ორი-სამი კბილი რომ არა აქვს.

**კიდბანა ჭრედ** ჭეჭიმის სახე, რომელ-  
შიც კიდობნის ფიგურებია ჩაქსოვილი.

**კიდე** იხ. კედე.

**კიდემ** იხ. კედემ.

**კიდდემ** იხ. კედდემ.

**კიკო** დედოფალა.

**კილ** ხორბლეულის მარცვლის ბუ-  
დე (იხ. საბა, ჩუბ., კირ., ჭავახ. 1,280,  
მენტ. კილი).

**კილან** ფაიფურის ან თიხის პატარა  
მრგვალი თასი.

**კინაკუნა** ჭართი.

**კინკილო** თხილისა და კაკლის ყვა-  
ვილი.

**კინკირო** (ალაბ.) მურყნის ყვაეი-  
ლი.

**კირა** გატენილი ქვევრის დასაწე-  
ბებელი ნივთიერება. ამზადებენ კვერ-  
ცხით, კირითა და ბამბით.

**კირკალ** ვაზით ან წნელით დაგრე-  
ხილი რგოლი, საჭიროა წირწარის (იხ.)

დასამაგრებლად ულლის კორა-სთან  
(იხ.) ან სხვა დანიშნულებიანათვის.

**კირკილ** იხ. ჩირჩილ.

**კირკიტ 1.** მაგარი; **2.** ძუნწი ადამი-  
ანი. **კირკიტ** კაკალ კაკალი, რომელსაც  
ლებნები ძნელად სცილდება.

**კირხაუწ** იხ. კირა.

**კისრი** ღილ კისრის ის ნაწილი, სა-  
დაც თავდება თავის ქალა. მეტად სა-  
თუთი ადგილია.

**კიწა** კამეჩის მოხარშული ფეხის  
ქონი, თოფზე წასასმელად ხმარობენ  
მონადირეები.

**კიწია** ქალის ლაყაბი სახელი.

**კიწიპა** ღვინის სასმისი თიხისა,  
პარაწი-ს (იხ.) ჰგავს, ოდნავ ვიწრო ყე-  
ლი აქვს.

**კიჭ** იხ. ნუგრი კიჭ.

**კიჭ-კიჭა დახურა** ჩალის სახურავის  
დახურვის ერთ-ერთი სახე. ჩალას ბო-  
ლოებზევითკენ აწყობენ, ზედაპირი  
კბილანაა, ტკეპნა არ სჭირდება. **კიჭ-  
კიჭა** ბალ ორი წითელი ფერისა და ორიც-  
ლურჯი ფერის ძაფით დაწნული ზონა-  
რი. **კიჭ-კიჭა ნემსი** წორ სხვადასხვაფე-  
რის ძაფეებით რამდენიმე რიგად ნემსით  
წმინდად ნაკერი, ზედ კბილანა ზოლები  
აჩნია. ასე აკეთებდნენ ლექლარ-ის  
(იხ.) გარშემო. **კიჭ-კიჭა** ჭეჭიმის სახე,  
კბილანა ზოლებიანი.

**კლა** მკლავი; მაჯა. **კლავი** კოჭანა  
მკლავის იდაყვი.

**კლახ** უსახო აბრეშუმის ქსოვილი.  
ძველად ამით შეიკერავდნენ ხოლმე  
მაიზარ-ს (იხ.), პერანგს.

**კლერტ** ნახნავ მიწაში ჩარჩენილი  
ფესვები, ბალახ-ბულახის ძირები (იხ.  
ომოკლერტა, შდრ. საბა, ჩუბ., ერისთ.,

ვაჟა, IV, ჭავჭავ. II; 303, მენტ. კლერ-ტი).

**კლერტოა** იხ. კლერტ.

**კლიევ** 1. მკლავები; 2. ხელნები (იხ. ურში კლიევ).

**კნეპი-კნები** ტუჩების ცმაცუნით, ნელ-ნელა, უგემურად ჭამა: კნეპი-კნეპი ჭამს (იხ. კნეპუა).

**კნეპია** კნეპი-კნები (იხ.) ნელა და უგემურად ვინც ჭამს.

**კნეპუა** (იკნეპევის, —, კნეპია) ნელა, უგემურად ჭამა: ნუ იკნიპევ. **კნწლ** კუნელი.

**კნუტ** კენიტი. მარილი **კნუტ** მარილის პატარა ნატეხი. შაქრი **კნუტ** შაქრის ოთხკუთხა ნატეხის მეოთხედი ნაწილი: ორ **კნუტ** შაქართან ერ ესტაპან ჩეა დალევია კეპტევის.

**კოდოლა** იხ. კოსალა.

**კოკო-კოკო** წინდის სახე, რომელშიც ჩაქსოვილია მრგვალი რგოლები.

**კოკოლა** იხ. კოკოა.

**კოკოა** მრგვალი პატარა პური, ბავშვებისთვის აცხობენ. მას ჩააკრავენ ხოლმე, თუ თონის კედელზე ცარიელი ადგილი დარჩა.

**კოკრიჭანა** კოპწია, რომელსაც ყველაფერი უხდება: კოკრიჭანა რაამი.

**კოკრუჭანა** იხ. კოკრიჭანა.

**კოლ დაზენებნა** იხ. კოლ მაღევია.

**კოლ**: **კოლ დაცემა** (კოლ ჰეცე).

კოლ დასცა, კოლ დოჰტი, კოლ დანაცემ) მიწის გაკვალვა, ოდნავ მოხვნა კელების გატარებით: ერ კოლ დაჰც ბესი; **კოლ გატანა** (კოლ გაჰტანს, კოლ გაატანა, კოლ გოჰტანი, კოლ განატან) სახნავი მიწის აჩიჩით (იხ.) ან გუთნით ერთხელ შემოვლა, ერთი კვლის გაკვა-  
8. ნ. როსტიაშვილი

ლვა, რომლის შემდეგ ცოტას შეისვენებენ (შდრ. მენტ. კვალის გატანა). **კოლ გაღევია** დაჭრილი ნადირის ნაფეხურების ან ჩამოდენილი სისხლის წვეთების კვალის მიხედვით მიგნება: ანა-სისხლიანევ, გაღნახორწნ ნადირს **კოლ გაღევით** ჰპოვოვდნენ.

**კოლა** მაგიერ, ნაცვლად: ჩემ კოლა შენ წაა!

**კოლა** მაგიერი.

**კოლი** მეხრეებისა და გუთნის დედის შეიახილი ხენის დროს. ეს იმის ნიშანია, რომ სწორად წავიდეს საქონელი და კვალს არ გადაუხვიოს: „კოლი, კოლი, კოლსუკან, ჩიტმა მოყნო კოლსუკან“.

**კოლისა** 1. გუთნის დიდი ბორბალი, რომელიც კვალში გორავს (იხ. მენტ. კვალის ღირღიტა); 2. ხარი ან კამეჩი (იშვიათად), რომელიც ხენის დროს კვლის მხარესაა შემბული (იხ. მენტ. კვალის ჯარი).

**კოლსუკან** იხ. კოლი.

**კოლსუკან წახულა** იხ. კოლ გაღევია.

**კომკორაწ** იხ. კოხე კორაწ.

**კომლ** ნაჟეკ ადგილ ადგილი, სადაც ბუღამ კვამლი ეცემა.

**კონწა** მრგვალი მსხლის ჯიში, მომწვანო ფერისა, წყლიანი, კრეფენ შემოდგომასზე.

**კონწიოდლი** იხ. კონწა.

**კომა** დაბალი და მრგვალი (აღამიანი).

**კოპ** ქალამნის ის ნაწილი, რომელიც ღრდი-საგანაა (იხ.) გაკეთებული ქალმიბალ-ის (იხ.) ამოსასხმელად. ასეთი ქალამანს სამი აქვს: ორი ფეხის გვერ-

დით, ერთი უკან ქუსლთან. ნახევარ-კრკალური ფორმისაა (შდრ. საბა, ჩუბ., მენტ. კობი).

კოპზ ბრინჯის დასათესად გამზადებული ფართობის დანაყოფი ნაკვეთი, უჯრა.

კოპაა ბალახი, რიყეზე ამოდის, წამალს აკეთებენ მისგან, გაკრილზე აყრიან.

კორაა ხის ჭურჭელზე, ხელსაწყოზე ან იარაღის ნაწილზე გამოთლილი ბორცვი სხვადასხვა დანიშნულებისა. იხ. კვერი კორაა (შდრ. საბა, მენტ. კორა).

კორაწ ძალიან მკვებზე ამბობენ (შდრ. მენტ. კორაწი).

კორბაკ 1. მაგარი მიწის გუნდა ბორტო-ზე (იხ.) დიდი: ოდევე, ემ კორბაკს ქოჩორში გთხლემავ; 2. გადატ. მსუქანი, მრგვალი და დაბალი ადამიანი.

კორეა იხ. კორაა.

კორთეა ჯამ-ჭურჭლის დასაწყობი თარო, სახლის აღმოსავლეთ მხარეს არსებულ კედელშია მოწყობილი. დაახლოებით ორი მეტრი სიგანისა და ორი მეტრი სიგრძისა. ერთმანეთის ქვემოთ თხი ან ხუთი თაროა. შუა ორ თაროზე აწყობენ ჯამებს, ლანგრებს მექმაილს (იხ.), კოვზებს, სულ ქვემოთა თაროზე — ქვაბებსა და ხის ჭურჭლებს; ქოთნებს და ყველა სახმარ ნივთს. სულ ზევითა თაროზე ინახავენ იშვიათად სახმარ ნივთს. თითოეული თაროს წინა მხარე ორნამენტიანია, ზედ დახატულია ჩონგური, ქალამანი და სხვა. სადაც კორთეა არის, განსაკუთრებული სისუფთავეა საჭირო, მეტად პატივსაცემი ადგილია. აქ აჩერებდნენ პირველ დღეს პირბადიან პატარძალს. საკმლის ქვაბს ცე-

ცხლიდან რომ გადმოდგამენ, დადებენ კორთეა-ს წინ ძირს, სადაც სათითაოდ ნაწილდება საკმელი. „კორთეში კი არ ჰყუდევე“ — იტყვიან ხოლმე ისეთ ქალზე ან ნივთზე, რომელიც მხოლოდ ლამაზია და გამოუყენებელი.

კორკალ 1. კურკლი: ცხრუ კორკალ, თავი კორკალ. 2. გადატ. წვრილი უხარისხო ხილი; 3. გადატ. პატარა და დაბალ ბავშვზეც იტყვიან ხოლმე: აა კორკალ!

კორკორაა ბარად ამობურცული გორაკი, ბორცვი.

კორკოტოვაა ქრისტიანული დღესასწაული, დიდმარხვის შემოსვლიდან ოცდამეოთხე დღეს, ე. ი. დაახლ. 25 აპრილს მოდის. ამ დღეს აკეთებდნენ კორკოტს. ამ თვეში მოფრინავენ ყოყოტები (იხ.).

კოსალაა 1. კოდლა, ხეკაყუნა: კოსალაა „იწუმ-იწუმ“ ამბოვს; 2. პატარა და მრგვალი, ფსკერ-ვიწრო და პირფართო თასი დასადგმელით. ძველად თიხისა ყოფილა, ახლა ფაიფურისა და სპილენძისაა. მას ხშირად სხვა ჯამებისაგან განსასხვავებლად კოსალა უამ-საც უწოდებენ.

კოსოლაა იხ. კოსალაა.

კოტაა საჯდომი ბავშვის ენაზე.

კოტია კოტიოვაა-ს (იხ.) მონაწილე, წევრი.

კოტიოვან თამაშის სახეა.

კოტიოვაა ლაზარობის მსგავსი დღესასწაულია. ავღარში, გაზაფხულის ხანს, კრუხ-წიწილების გამოჩეკის დროს, იწყებენ ამის თამაშს: შეიკრიბებიან სოფლის ბავშვები, გააკეთებენ კიკო-ს (იხ.). კარდაკარ დადიან და მზის ამოსვლას, გამოდარებას პირდებიან. თუ რომელი-



მე ოჯახმა მათ რაიმე არ მისცა, ამ კი-  
კო-ს ჭიშკართან ან ეზოში გააგორებენ,  
რაც იმის ნიშანია, რომ წელს ეს ოჯა-  
ხი „დათარსულია“, მოსავალიც არ ექ-  
ნებათ კარგი და კრუხიც წიწილებს არ  
გამოჩქეს.

**კოტკოტელა** ხის ჭურჭლის გაკე-  
თებისას სახმარი იარაღი, რომელიც  
ამოსათლელად ვარგა.

**კოტმან** ხმელი ბლახის გროვა, გახ-  
მობის შემდეგ ათ ასეთს ერთ ურემზე  
დაუდებენ ხოლმე.

**კოტოშ** გოგრა. ორნაირია: ტრიან  
კოტოშ და უტრო კოტოშ. ტრიან  
კოტოშ-ს ტრიან გუგრა-ც ჰქვია. ის ხე-  
ზე აღის. გრძელი ტარი რომელსაც  
აქვს, მისგან აკეთებენ სხვადასხვა ჭურ-  
ჭელს. ტარის ბოლოს მოაჭრიან და მი-  
ლივითაა, ხოლო მის „თავის“ შუაზე  
ოთხკუთხედად ამოჭრიან დანით, შიგ  
ხელთ გამოასუფთავენ და ხმარობენ  
რისთვისაც უნდათ. რომელსაც გრძელი  
ტარი, მილი ექნება, ღვინის ამოსაღე-  
ბად ხმარობენ და მას ღუწუშ კოტოშ ან  
ღუწუშ თებუან ჰქვია, ხოლო მოკლე მი-  
ლიანს კი წყლის ამოსაღებად იყენებენ.  
მას ჰქვია წყლი კოტოშ ან წყლი თებ-  
უან. ყველაზე პატარატარიანი და მო-  
ცულობითაც პატარა კოტოშისაგან აკე-  
თებენ სასმისებს: შუაზე გაჭრიან და  
ორ სასმისს გააკეთებენ. ამით სვამენ  
დო-ს, რომელსაც დო კოტოშ ან დო  
თებუან ჰქვია. აკეთებენ აგრეთვე თუ-  
თის მოსაყრევე კოტოშ-ს, რომელსაც  
თუთა კოტოშ ეწოდება (შდრ. საბა,  
ჩუბ., მენტ. კოტოში, იხ. საბა: კოში).

**კოტოშა** 1. გადატ. თავი, ქალა:  
კოტოშაში მოხტო ქუვამ; 2. გადატ.  
უტოლინარი, უტვინო.

**კოფხალ** მტეენის რტო ორი-სამი  
კიმპალით (იხ. გლ.).

**კოშთიქა** პატარა ნაჭრების ბოხჩა  
მაგრად გამოკვანძილი ოთხკუთხა ნა-  
ჭერში: საკერევე კოშთიქაში  
გომოჰკარ, არ დამიკარგო.

**კოწაწ** დაბალი, პატარა ტანის მქო-  
ნე ადამიანის მეტსახელია.

**კოჭანა** 1. იდაყვი; 2. მუხლი, მუხ-  
ლის კოჭი, მუხლის თავი. კოჭანაზე და-  
დგომა დაჩოქება, მუხლებზე დადგომა.

**კოჭოპ** 1. კოჭობი; 2. გადატ. წელში  
შემოჭერილქამრიანი (სარტყლიან ხა-  
ლათზეც იტყვიან).

**კოჭოპა** სარეველა, ამოდის ყანაში.  
ნაყოფი გორგველას მიუგავს, ხოლო  
ყვავილი კოჭოპ-ის (იხ.) მოყვანილო-  
ბისაა.

**კოჭპე** დაყრა გაციებულის ზურგ-  
ზე კოტოშის (იხ.) მოკიდება.

**კოხე კორაწ** ძალიან მკვანე, დაუმ-  
წიფებელი ხილი, ჭერ კიდევ მწვანე და  
მაგარი, პირს შაბავს (შდრ. კომკორაწ,  
კაწახ, კორაწ).

**კოხე შუღა** გადატ. დაუფიქრებელი  
სიტყვა.

**კორ** 1. ფართობიანი ჭურჭელში  
მრგვლად გაყინული თხის ქონი ან სან-  
თელი, რომელსაც ხელის მოსაკიდებ-  
ლად ჩატანებული აქვს ნაწიბური. ასე-  
ვე შაქრის ფხვნილს მოადუღებენ, ფა-  
რთობიერიან ბრტყელ ჭურჭელში დაას-  
ხამენ და გაციებულს გამოაცლიან;  
მრგვალი პურივითაა (იხ. საბა: კუერი,  
ჩუბ., მენტ. კვერეული); 2. მრგვალი  
პური, რომელსაც აცხობენ განსაკუთ-  
რებულ შემთხვევაში (იხ. საფისკორ,  
საბა: კუერი, ჩუბ. კვერი); 3. წინდაში

მრგვლად, რგოლებად ნაქსოვი სახეე-  
ბი. 4. მუხლის კოჭი.

**კორ-კორ წინდა** წინდის სახე, რო-  
მელშიაც პატარ-პატარა რგოლებია ჩაქ-  
სოვილი. ასეთი წინდა ადვილი მოსაქ-  
სოვია, ბავშვებს უქსოვენ.

**კორცხ:** **კორცხ დაგორევია** წითელი  
კვერცხებით კოჭობანას თამაში აღდ-  
გომა ღღეს. **კორცხ ჩაყრა** დაახლოე-  
ბით 12—18 კვერცხს ნახშირით დანაზა-  
ვენ და კრუხს ბუდეში წიწილების გა-  
მოსაჩეკად ჩაუწყობენ. კვერცხები ბეწ-  
ვიანი ქუდით მიაქვთ ბუდეში, რომ ამ  
ქუდივით გაწეწილი წიწილები გამოჩე-  
კოსო. **კორცხ დანადრვ დედალ** კვერ-  
ცხის მდებელი დედალი.

**კორცხა** კვერცხის ფორმისა და  
ზომის ქლიავი, საჭმელად არ ვარგა  
(შდრ. ბზყრყურა: ალიაბ.).

**კორცხევილა** იხ. **კორცხრვილა**.

**კორცხეშლა** იხ. **კორცხრვილა**.

**კორცხი გუვრა** გოგრისაგან გაკე-  
თებული კვერცხის ჩასაწყობი ჭურჭე-  
ლი.

**კორცხრვილა** ერბო-კვერცხი. აკე-  
თებენ შემდეგნაირად: ღრმა ჯამში ჩა-  
ტეხენ კვერცხს, ჩაყრიან ცოტა ფქვილს,  
მარილს, ქინძს ჩააჭრიან და გათქვეფენ,  
მერმერ ერბოიან ტაფაზე დაასხამენ, ორი-  
ვე მხარეს შეწითლებამდე მოწვავენ  
(შდრ. **კორცხევილა**, **კორცხეშლა**).  
**კორცხრვილი** ფლავ მკედრის სახსე-  
ნებელ ღღეს ფლავს აკეთებენ უხორ-  
ცოდ, ხორცის მაგიერ ფლავში თეფშზე  
ერბოკვერცხის ნაჭრებს აწყობენ და  
ფლავთან ერთად ჭამენ.

**კრამეტ კრამიტი.**

**კრანტ კრინტი**, ხმის დაძვრა (შდრ.  
კრინტ). **კრანტ გაწყრტა** გაკმენდა, ვე-  
რაფრის თქმა: **კ რ ა ნ ტ გ ო უ წ ყ დ ა**,  
ერ რამ ვერ თქო.

**კრაწუნ** (კრაწუნოვს, იკრაწუნა, უკ-  
რაწუნნი, ნაკრაწუნ) ხრამუნი, კბილებს  
შორის ხმელი რისამე მტვრევის ხმა:  
ფლავ ჭმამი ქუევა **კ რ ა წ უ ნ ო ვ დ ა**  
ყბამი.

**კრინტ იხ. კრანტ.**

**კრუ-კრუ კურკურა**—ს (იხ.) ძახი-  
ლი.

**კუდ 1.** კუდი; **2.** ნაბოლოვარი, არ-  
ყის გამოხდისას სულ ბოლოს ჩამონა-  
დენი, მუავე გემოს მქონე არაყი, რო-  
მელსაც ხელმეორედ ხდიან. მას **ნამ-  
კუდ-საც** ეძახიან და **კუდ არაყ-საც**; **3.**  
ხვავის ბოლოს დაგროვილი მარცვალი,  
რომელსაც საჭმელად იღებენ; **4.** უკან  
მიმყოლი, რომელიც მუდამ თან დაჰყ-  
ვება: **ჩემ კუდ ხარა?**

**კუდბეწლა** გრძელი, მოწაბლის-  
ფრო ჭია, ორი გრძელი ბეწვის კუდი  
აქვს. დანახვისთანავე კლავენ, რადგან  
არის თქმულება, რომ ის ჩქარა იმიტომ  
მიდის, თითქოს ეჩქარება იმის დეიდის  
პანაშვიდზე, ვინც შეხვდაო.

**კუდებ ახ. დესტაგვე.**

**კუდიანი შაცლულ ფიგურ.** ისე გამ-  
ხდარი, რომ მისი ცნობა ჭირს.

**კუდრუც** ღუმის კუდი, რომელიც  
ღუმის გადაღობის დროს შიგ უნდა იხ-  
რაკებოდეს.

**კუდრუცა** იხ. **კუდრუც.**

**კუდრუცანა** იხ. **კუდრუც.**

**კუდს ჰწყრტენ** გადატ. ამბობენ,  
როცა ხვავთან ახლოს მყოფ ბზეს მეო-  
რედ ანიავებენ გაყოლილი მარცვლის  
გასაცალკეებლად.

კუდურ უკუდო, კუდმოწყვეტილი ან კუდმოკრილი: კუდურ ზალდ ჩონ არა (შდრ. ჩუბ. კუდურ, ის. საბა).

კუჰ კუ.

კუიზაკანაა ის. კუე.

კუკუმათ ძალიან ბნელი ღამე.

კუკუნ (კუკუნოვს, —, —, უკუკუნ-ნი) ნელა მუშაობა: სახლში ცოტ-ცოტა კუკუნოვს (ის. მენთ. კუკუნი).

კუკუნ-კუკუნ ნელა-ნელა.

კუკუნაა ნელა-ნელა მომუშავე (აღამიანი): მაგი დეკაც კუკუნაა ს.

კუკურ კოკორი, კვირტი.

კული-კული ის. ტული-ტული.

კულუფა (ალაბ.) უჯრა, კოლოფი.

კუმბაკურიი კიტრის ჩიში, პატარა და ღამაზ კიტრებს ისხამს, წვრილი თესლი აქვს: კუმბაკური კიტრ.

კუმბრუცაა ტურფა, მოხდენილი პატარა ადამიანი: ერკუმბრუცა რაამი. ის. კოკრიჭანა.

კუმბუცაა ის. კუმბრუცაა.

კუმ-კუმაა პატარა ზომის ქვაბი (შდრ. საბა: კუმკუმა): კუმ-კუმაა ქობ.

კუნ ცეცხლთან დაბლა დასაჯლოში სკამი, რომელიც სხვადასხვანაირი ფორმისაა: 1. ერთი ფიცარი დაქედითაა ორ ფართო ფიცრის ფეხზე. 2. სამფეხა, რომელიც ხის კოტორისაგანაა გამოთლილი, ზედა სიბრტყე მრგვალია. ეს მეტად მძიმეა და ყველაზე ძველი „კუნია“. „კუნი“ ჰქვია მაღალ ოთხფეხიან დასაჯლოსაც.

კუნტაა 1. თონეში ჩავარდნილი და ნაკერჩხლებზე გუნდად გამოშვებული პური, რომელსაც ძალს აძლევენ იმევე დღეს (ის. მენთ. კუტი პური); 2. აბრეშუმის ჭია რომ დაიხოცება, იტყვიან:

„ჭიაა კუნტაა კეპტევის“. კუნტა პური ის. კუნტაა. კუნტა ბებერ წელში მოხრილი, მოკუნტული მოხუცა. კუნტა ზეარაა ბებერი ძერა, რომელსაც აღარაფერი შეუძლია: კუნტა ზეარამ ერკუქულ დაჰქირა, ისიც სიხარული გერეშო, წავდა.

კუნტულაა უხარისხო, უფორმო კიტრი. ის ან მრგვალია, ან მოგრებილი, ან გოგრის მოყვანილობისა (შდრ. თუშ. კუნტულა — პატარა დუმიანი ცხვარი).

კუნტულოვაა (კუნტულოვს, იკუნტულა, უკუნტულნი, ნაკუნტულ) კოტრიალი, თავით ყირაზე გადასვლა.

კუნჭულ-კუნჭულ ასხი ამბობენ, როცა ბალს ძალიან ბევრი ჭგუფ-ჭგუფად ასხია.

კუპაროს შაბიამანი.

კუპანა ხმის აღარ გაღება, ტურეების მოკუმვა, გაკმენდა: მეკუპმინი, აღარ საზრახნევარ (ის. საბა, ჩუბ. კუპვა).

კურიი კვიცი.

კურკურაა გვრიტი.

კურტ კრუხი (ის. საბა, ჩუბ. კრუხი, კრუტი). კურტა დაუდომაა (კურტა უდვის, კურტა დაუდა, კურტა დამედარ, კურტა ნაუდომ) 1. დაკრუხება, კრუხად დაჯლომა. 2. გადატ. სახლიდან გარეთ არ გამოსვლა: კურტა უიხარა შინ, რაბე არ გამოოლი ორღბეში.

კურტაბულაა მუღამ სახლში მჯლომარი.

კურტან ძველმანი (შდრ. საბა, ჩუბ. კურტანი).

კურტან-კურუშ ის. კურტან.

კუსკუს გულიანი სიცილი, ხითხითი: გიორგი ბიზაა კუსკუსოვდაუ-კუსკუსაა გულიანად მოცინარი.

კუტა! შეძახილი კრუნის გაგდები-  
სას.

კუტაჲ კრუხი ბავშვის ენაზე.

კუტი-კუტი! კრუნის მოსახმობი ძა-  
ხილი.

კუტიჲ იხ. კუტაჲ.

კუტყუტ იხ. მოკუტყუტევაჲ (შდრ.  
მენტ. კუტყუტი).

კუტუხაჲ კურტუმი: კუ ტ უ ხ ა შ ი  
გატყრო წიხლ.

კუნუშ-კუნუშ ნაჭერ-ნაჭერ დაჭრი-  
ლი, წვრილად დაჭრილი: კუ წ უ შ მ-კ უ-  
წ უ შ ქნეს ზალღევმა გელაოა.

კუჭ თირკმელი. „კ უ ქ ჰ ტკივის“, —  
ამბობენ, როცა ვინმეს ეზარება საქმის  
გაკეთება. „კ უ ქ ე ვ ყბაში ომოტდა“, —  
იტყვიან, როცა ძალიან დიდი ძალა და-  
ადგება.

კუჭულაჲ ღვინის ან წყლის თიხის  
კოკა დასადგმელითა და სახელურით,  
ყელი სხვადასხვა ზომისა აქვს, მასში  
ჩაასხამენ ღვინოს და სუფრაზე დადგა-  
მენ. აქედან მერმე ჩამოასხამენ დოჭებ-  
ში ან ჰარაწი-ში (იხ.) დასალევად: ერ  
კ უ ქ უ ლ ა ლუნეჲ მაღა, მოვდა. კუ-  
ჭულაჲ შუნდ შინდის ჭიშია, მოგრძო,  
ბოლოები წვეტიანი აქვს, ფორმით კუ-  
ჭულა-ს ჰგავს.

კუჭკუ დაგვეჩ შესახებენ კუჭკუჲ-ს  
(იხ.) დაძლევის მიზნით, თან პირში  
ლუკმა უნდა ჰქონდეთ.

კუჭკუ-კუჭკუ კუჭკუჲ-ს (იხ.) ძახი-  
ლი (იხ. საბა: კუჭკუ).

კუჭკუ ლამფაჲ თუნუქის პატარა  
ლამფა უშუშორდ, ნაჭრის ფითილი აქვს.  
ხმარობდნენ გარეთ სანათებლად.

კუჭკუჲ 1. გუგული; 2. პანგის სახე.  
კუჭკუჲ ჩიჩაქ ბალახია, იჭმება. „კუჭ-  
კუსებრა უის“ ამბობენ, როცა დილამ-  
დე ზის ვინმე და არ იძინებს.

კუნტუხ მწვერვალი ყველაურისა,  
გამოშვერილი წვერი (იხ. საბა, ჩუბ.,  
მენტ. კუნწუხი).

კურიჲჲ კვირა; კვირა დღე (შდრ.  
კურტაჲ).

კურისთავ ერთი კვირის შემდეგ.

კურიშტავ 1. კოჭი, რაზეც ძაფი ეხ-  
ვევა, ყარა ტარ-ზეა (იხ.); 2. თითის-  
ტარის ქვემოთ შემოსაცმელი მრგვალი  
ხე (იხ. საბა: კურისტავი); 3. ძუხლის კო-  
ჭი.

კურტ 1. მუცელზე განაკრეკი უვარ-  
გისი მოკლე მატყლი; მრგვლად დარჩე-  
ნილი უხარისხო, ცული მატყლი საჩე-  
ჩელზე. ამგვარ მატყლს მუთაქებში  
ყრიან, ზოგჯერ თითისტარზე ართავენ  
და წინდების გამოსაკერებლად ხმარო-  
ბენ (იხ. საბა: კურტი, მენტ. კვირტი); 2.  
იარის ძირი, შედედებული ბაყლი (იხ.),  
რომელიც გამოწურვისას გამოვარდება  
ხოლმე (იხ. მენტ. კვირტი).

კურტ-მურტ ბაწრად უვარგისი მო-  
კლე მატყლი (იხ. კურტ).

კურტუ გორგალ გადატ. იტყვიან  
მსუქან და მრგვალ ადამიანზე.

კურტაჲ იხ. კურიჲჲ.

კურტსთავ იხ. კურისთავ.

კურტუშტავ იხ. კურიშტავ.

კუც კვიცი (იხ. კურიჲ). კუცი კოლ  
გირც-ის (იხ.) გაკეთების ერთ-ერთი  
ფორმა. (შდრ. ჩუბ. კვიცა).

**ლაბადა** ქალის ზედა ტანსაცმელი. იცვამდნენ ყოველიან არხოლოლ-ზე (იხ.) ზევიდან. ხმარებაში შემოვიდა ჩაფკან-ის (იხ.) შემდეგ. ყველაზე უწინ ლექლარ-ი (იხ.) ეცათ, მერე—ჩაფკანი. მათ კერავდნენ შემდეგი ქსოვილებისაგან: ისტიფა, დიბა, მახმურ, ატლას, ზარბაბ. ჯერ მოზომავდნენ სიგრძე-სიგანეს, მერე დაჭრიდნენ: წინკალთას ბოლომდე შუაზე გასჭრიდნენ და გულისპირებიდან ოთხ-ოთხი თითის სიგანეზე ჩამოაჭრიდნენ და იმით ბაკლევ-ს (იხ.) მიაკერებდნენ წინკალთებს. ჩაბუე-ს (იხ.) ოთხ-ოთხს ჩაუყრიდნენ, ჩაბუე-ს ზევით კი — ხიშტაკევ-ს (იხ.). მერე ირგვლივ ზარ-იან (იხ.) ჰაშია-ს (იხ.), მის ქვემოთ სხვაფერი ზოლიანი ლანქა-ს (იხ.) ქობას შემოაველებდნენ. შემდეგ სარჩულსაც გამოსჭრიდნენ და შეკერავდნენ. ასეთი ტანსაცმელი ახლა არ აცვიათ, არცაა შემორჩენილი, მხოლოდ ზოგიერთ მოხუცს ახსოვს (იხ. მენტ. ლაბადა).

**ლაგაზა** სწორი და ძალიან მაღალი, უშველებელი ადამიანი: „ა ლ ა გ ა ზ ა:“ — იტყვიან ხოლმე ასეთზე.

**ლაგან** ორნაირია: თითბრის პატარა და გადაშლილი ტაშტი, ოქროსფერი. მას „ყუთელ ლ ა გ ა ნ“-ს უწოდებენ. შიგ ხელებს ჩააბანიებენ ხოლმე ჰაფტოფა-დან (იხ.) დასხმული წყლით. ამის გამო მას ჰელეფ დანაბამ ლაგან-საც უწოდებენ. მას აუცილებლად ატანენ მზითეფში; არის მეორე ლაგანი, რომელიც სპილენძისაა, ფსკერი მრგვალია და მისი გვერდები ოვალურად უერთდება ფსკერს, ნაპირები ოდნავ

გადაშლილია. მას უწოდებენ „აეზი ლაგანს“-ს (შდრ. ჩუბ. ლაგანი).

**ლაგანჰაფტოფა** ლაგან-ი (იხ.) და ჰაფტოფა (იხ.).

**ლაგლაგ ფრინ**. გრძელი კისერი აქვს (იხ. საბა: ლაკლაკი, იშხივარი). **ლაგლაგისკირიან** გრძელკისრიანი, მაღალი ყელი ვისაც აქვს (შდრ. დევაკისკირიან).

**ლაგაშ აჰამა ფიგურ**. სილა გააწნა, სილა ისე გაართყა სახეში, როგორც თონის კედელზე ლაგაშს შემოუქნევენ და ჩააქრავენ ხოლმე.

**ლაგწური** უშნო, გამხდარი ადამიანი, რომელზედაც ტანისამოსი ისეა ჩამოკიდებული, როგორც ჯოხზე: „ა ე ვ წ უ რ ი“ — იტყვიან ხოლმე ასეთ ადამიანზე.

**ლაჰიმ** საჭირო.

**ლაიმ** გახვრეტილი სპილენძის ჭურჭლის შესაკეთებელი ნივთიერება: ლ ა ი მ არ გადნეს, ქობს უწყლო ნუღამ ცეცხლზე (შდრ. ლაჰიმ).

**ლაქანა** ძალისთვის სალაფავის დასახმელი გადაშლილი ხის ჭურჭელი (იხ. საბა: ლაკანი); ქვევრის ან ქოთნის ნატეხი, რომელშიც სალაფავის დასხმა შეიძლება. მას „მენაა“-ც ჰქვია.

**ლაკლაკ** (ლაკლაკოვს, ილაკლაკა, ულაკლაკი, ნალაკლაკი): ფომფლე რისამე რყევა: მანაა ჯელი დაჭერაში ლ ა კ ლ ა კ ო ვ ს (შდრ. მენთ. ლაკლაკი, კაიშ. ალაკლაკებს).

**ლაღაშ** ბავშვის საძინებელი: თარვალქო ლ ა ლ უ ა ჩამაამბ, დააწუნ ყმა-წულ.

**ლამფურ** გაუვალი ტალახი (შდრ. ლომფურ, ლუმფურ).

ლანგარამ სოკოს ჭიში, იქმება. მისი „ქუდი“ ლანგარის მოყვანილობისაა: ლ ა ნ გ ა რ ა სოკოა.

ლანქა ბამბის ქსოვილი, ორნაირია: სქელი, ლურჯი ფერისა, რომლითაც მამაკაცების სარტყელს შეკერავენ და თხელი, ფერადზოლიანი, რომელსაც ქობისათვის (იხ.) ხმარობდნენ; მას „სრულევიან ლანქა-ც ეწოდებოდა.

ლამბ იხ. რამბ.

ლამს იხ. რამს.

ლაპორტ ფეხსაცმელზე აკრული ტალახის დიდი ნაჭერი (შდრ. მენტ. ლაპარტი).

ლაჟ მაგარი მიწა, რომელიც დიდო ხნის წყლის დინების გამო გამკვრივებულია, მისი ხვნაც ჭირს. ასეთ მიწაში მოსავალი არ მოდის, რადგან ფესვებს ისე მაგრად უჭერს ეს მიწა, რომ მცენარეს უჭირს ფესვებიდან ჰაერის და წყლის მიღება. ასეთ მიწას შემოდგომაზე მოხნავენ, ნაეკლს მოაყრიან და თოვლი მას გაათხვიერებს (შდრ. ლაჟ მიწა).

ლაჟ მიწა იხ. ლაჟ. ლაჟ დაყრა (ლაჟ ჰყრის, ლაჟ დაყრა, ლაჟ დოჭყარი, ლაჟ დანაყარი) ლაჟ-ი (იხ.) მიწის ხვნისას მკვრივი ბელტების, დაუშლელი მიწის გადმობრუნება: მიწა ლ ა ჟ ჰ ყ რ ი ს, ვარგ არა, ექ რამ არ დათესვის. ლაჟ გარევა (ლაჟ ჰურევს, ლაჟ გოურივა, ლაჟ გავრევი, ლაჟ განარევი) გადატ. ვინმეს საქმეში დამაბრკოლებლად მოქმედება: მაგამ ლ ა ჟ გ ა რ ი ვ ა. ლაჟ დაგევა (ლაჟ აგევს, ლაჟ დააგა, ლაჟ დოჭგი, ლაჟ დანაგევი) გადატ. გომურში ხის ზღავის დაგება: ლ ა ჟ დ ა ნ ა გ ე ბ ს ა ხ ლ შ ი ზ რ ო ხ ს ა ს ფ ე ბ უ ც ო რ დ ე ბ ო ლ ა, იფლიებებ უწყდებოდა.

ლარტა კაკლის ახალგაზრდა, ახლადმოყრილი სწორი ყლორტები, რომელსაც, სანამ კვირტებს გამოისხამდეს, დაჭრიან, ქერქს ვააცილიან, კონებად შეკრავენ და ახმობენ. საჭიროების შემთხვევაში ალბომენ წყალში და ისე ხმარობენ. ვაზის ან მისი ტორტების ჭიგოზე შესაკრავად, ჩაფარ-ის (იხ.) დასაწნავად და სხვ. საერთოდ თოკის დანიშნულებას ასრულებს (შდრ. საბა: ლარტკა).

ლასა თხელი, გამჭვირვალე, შუქგამდინარე პარკი, რომელშიც ჭიას ქოვა ბოლომდე ვერ მიუყვანია და მომკვდარა: თხელ პარკს ლ ა ს ა ს ეზახოდნენ, ყაჭიბე ინახიდნენ.

ლასტ 1. წნელით მჭიდროდ დაწნული ჩელტი, რაზედაც ხალავდნენ კაკლის ლებანს: დაყრიდნენ გარჩეულ ლებნებს, ჩამოკიდებდნენ გახურებულ თონეზე და ამოძრავებდნენ, თან მოურევდნენ. მასზე აგრეთვე ახმობდნენ ჩირს. ზამთრობით კი საკვამლე ხერელს დააფარებდნენ ჭერში, რომ ნაპერწყალი არ ასულიყო მალა. ყოველ წელიწადს ახალ-ახალს სწნავდნენ (იხ. საბა, ჩუბ., მენტ ლასტი); 2. დაჩერეტილი თუნუქი, რაც უფრო მეტად გამძლე იყო ცეცხლისა, ვიდრე წნელით დაწნული. 3. წნელით დაწნული ხიდი, მდინარეზე ცხვრის ფარის გადასაყვანი (იხ. ლასტი ფარცხ.). ლასტი ფარცხ წნელებით დაწნული ფარცხი.

ლაფ ძალიან; ძალიანაც. იხ. დია. ლაფ კაა ძალიან კარგი.

ლაფან თეთრი ხე, საჭრელად რბილი: დიდრონი ფოთლები აქვს, გაზაფხულზე ყველაზე ადრე გამოიღებს ხოლმე ფოთლებს. მასალად არ ვარგა,

მაგრამ ხის ქურჭლის გასაყეთებლად კარგია, კარგია საშეშედაც (იხ. საბა, დ. ჩუბ., მაყ. ლაფანი, შდრ. ნ. ჩუბ.).

**ლაფორჩინა** ლოკოინა (იხ. საბა, ჩუბ. ლოფორთინი, მენტ. ლოფორჩინა, ერისთ. ლოფორთინი). შდრ. ლოფორჩინა.

**ლაფრინ** (მრ. ლაფრინე) მამაკაცის ყელთან ფეხსაცმელი, მსუბუქია, ქუსლებზე ნალებით, ეცვათ უწინ, ადგილობრივ არ იცოდნენ მისი შეკვრვა.

**ლაფრინა** ბალახი, ბუჩქად ამოდის, რბილია და მიწაზე ისეა გაფენილი, რომ ქირს მისი მოთიბვა.

**ლაღლაღ** უსაქმობის გამო ბევრი ლაპარაკი, ლაქლაქი. იგივეა, რაც **ლაღლაღა** და **დატრპა**. **ლაღლაღა** უსაქმო და უზომო ლაპარაკი, საუბარი გიმგაზე (იხ.). **ლაღლაღა** და **დატრპა** (ლაღლაღა პტრპავს, ლაღლაღა დატრპა, ლაღლაღა დოტრპი, ლაღლაღა დანატრპ) გასართობად, უსაქმო საუბარი: ლაღლაღა დოტრპოთ, მოა ჩონსა (იხ. საბა: ლაღობა).

**ლაღო** 1. წვრილი, სწორი ტოტი ხისა (იხ. საბა, ჩუბ. ლაღოზა): ლაღოზა საყრდენი მოჭკერ; 2. თავისუფლად ტანაყრილი, სწორი ტანის მქონე: ავე ლამაზ ლაღოზა ინსანი.

**ლაყ** ლაყე; გადატ. ფუჭი: მაგი საქმეა ლაყი.

**ლაყაბ** 1. ცუდი სიტყვა: ლაყაბ ყულაბ (იხ. ჩუბ. ლაყაფი); 2. ზედმეტრ. მეორე სახელი. 3. ცუდი სიტყვების მთქმელი, ცუდმოუბარი, უზრდელი ადამიანი: ჰეგ დიად ლაყაბ ინსანი (იხ. საბა: ლაყაფი).

**ლაყინტარ** უსაქმო, მოხეტიალე ადამიანი. **ლაყინტარ-ლაყინტარა** უსაქმო:

**ლაყინტარ-ლაყინტარა** ნუ ეტარე.

**ლაშქარა** მოგრძო, ბრტყელი ბალახი, ბუსუსებიანი ფოთლები აქვს. ღია ცისფერი ან ღია ხორცისფერი ყვავილები იცის (იხ. საბა, ერისთ., დ. ჩუბ., ჭანაშვი., მაყ., მენტ. ლაშქარა).

**ლაჩინ** მიძინო.

**ლაჩინა** დიდი ტანის კამეჩის სახელია (იხ. მენტ. ლაჩინა).

**ლაჩინივი** გადატ. სწრაფად, ლაჩინის სისწრაფით: ჩემ ცხენ ლაჩინივი მიდის.

**ლახა ქალამ** გადაშლილი, თავდაუხვეველი კომბოსტო (შდრ. ჩუბ. ლახანა).

**ლახა** 1. თევზის ჭიში, რომელსაც დიდი პირი აქვს; 2. გადატ. იტყვიან ადამიანზედაც: „ლახაყბიან“ (იხ. ლოქო); 3. სახლს ლუმელი, იცოდნენ ძველად.

**ლახტ** შავად დაქნეული ნაცემი. ნაბეგვი ნიშანი კანზე. ძალიან ნაცემის. ნაბეგვის აღსანიშნავად ამბობენ „ლურჯ ლახტ“-ს: მაგი ბეჭევე ლურჯ ლახტი (შდრ. საბა. ჩუბ., მენტ. ლახტი).

**ლაჯ-ლაჯ** (ლაჯლაჯოვს, ილაჯლაჯა, ულაჯლაჯნი, ნალაჯნაჯ) ძალიან დუღილი, სითხის ხმით დუღილი დახურულ ქურჭელში: არაყი ქობ ლაჯლაჯოვს, გამოუქეთ ცეცხლს.

**ლაპიმ** იხ. ლაიმ.

**ლაპაპა**: 1. ძალიან მღვრიე, ლაფივით, ტალახიანი წყალი; 2. გადატ. ფურთხი, ამონახველი.

**ლეზარუნი** საზღაპრო, დიდი და გრძელი კეტი: ადლო ე ლეზარუნი, ქელ-ლაში დაადლო. მაარჩინო (იხ. საბა, ჩუბ., მენტ. ბარჯი).

ლებუა (ალაბ.) ლობიო (იხ. ფაყ-  
ლა: კაკ.). ლებუაჲან ფლავ იხ. ფაყ-  
ლიან ფლავ.

ლეკურ წინდევ ერთი ფერის ძაფით  
მოქსოვილი წინდები, ჩვეულებრივ თე-  
თრი ან შავი ფერისას ქსოვენ არაინგი-  
ლოები. ლეკურ ცხორ ბრტყელი და  
გრძელდუმიანი, გრძელკუდიანი ცხვა-  
რი. მისი მატყლი უხეშია. გავრცელე-  
ბულია დაღესტანში (ალაბ. ბაწარა  
ცხორ).

ლემბაა 1. ბევრი სარეველა ერთად  
მალა გაზრდილი; შდრ. ლოლო. ლემ-  
ბიან ადგილი, სადაც ბევრი სარეველაა.  
ლემბრიან იხ. ლემბიან. 2. გაღატ. მსუ-  
ქან და დიდი ტანის ქალზეც იტყვიან.

ლემბას დოჭცი იხ. ლოპლოს დოჭ-  
ცი).

ლემსაა კლიევ ჰორიზონტალურად  
მოძრავი, წყლი დინგ-ზე (იხ.) მიდგმუ-  
ლი დინგ-ის სანაყელები, ხელნები.

ლემსს ლაპარაკის შნო, კარგი მეტ-  
ყველება: მაგა ლაპარაკი ლემსს არ  
აქ ლემსიან მკვერმეტყველი.

ლემქ (ალბებ.) იგივეა, რაც თახტაჲ  
(კაკ.), სათესი მიწის, განსაკუთრებით  
კი ხახვის, წიწაკის, თამბაქოს ჩითილის  
და ბრინჯის სათესი უჯრა, დანაყოფი.

ლემქლარ ქალის ძველებური მოდის  
ზედა ტანსაცმელი, რომლის ფორმა  
დღეს ბევრს აღარ ახსოვს. წელში შე-  
მოკერილი, კოჭებამდე სიგრძისა ყო-  
ფილა. ქვედა კალთა ექვსი ნაჭრისაგან  
შედგებოდა. მის სახელოებზე სხვადა-  
სხვა ფერის ძაფით 4—6 ზოლად კიჭ-  
კიჭა ნემსისწვერს (იხ.) აკეთებდნენ,  
ყოშევ-ზე (იხ.), ისევე როგორც ყოშე-  
ვიან არხლოლ-ზე (იხ.), შემოავლებდნენ  
სარმა დუგმას (იხ.), საყროლ-ს (იხ.),

კიდევებში ბალ-ს (იხ.), გულისპირის ნა-  
პირებზე კი ხუთშაურიანებს ჯაჭვით ჩა-  
მოკიდებდნენ. მის კალთებს წელზე  
შაურიანი ღილით შეაბნევდნენ. მას არ-  
ხლოლ-ს (იხ.) ზევიდან იცვამდნენ. ეს  
ჩასაცმელი ჩაფქან-სა (იხ.) და ლაბა-  
და-ს (იხ.) უსწრებს.

ლემშერ სანახევროდ, საზიაროდ  
სხვის მიწაზე მომუშავე, რომელსაც  
მოსავლის ნახევარი ეკუთვნოდა.

ლემშაროვაჲ (ლემშაროვს, ილემშრა,  
ულემშარნი, ლემშაროვაჲ ნაქნარ) მიწაზე  
ან სხვა საქმეზე ნაშრომის სანახევროდ  
შესრულება: ნახევარი გამკეთებელს  
ედლევა, ნახევარი — პატრონს.

ლემჩაქ გათხოვილი ქალის თავსაბუ-  
რავი. დღიდან გათხოვებისა მას ატა-  
რებდნენ მუდმივად, ეხურათ სახლშიცა  
და საგარეოდაც. იხურავდნენ შიშველ  
თავზე, რომლის ზევიდან ქუნაჲ (იხ.)  
იყო მოხვეული, მის ზევიდან — ჯელ-  
მანდილი, ხოლო სულ ზევიდან კი ბაშ-  
ქინეირ-ს შემოიხვევდნენ. ახლა აღარაა  
მოღაში. დაახლოებით 70 წლის წინ უხ-  
მარიათ. მას „ზოლოზურ, ჰენგილაურ“  
ტანისამოსზე ხმარობდნენ. ასეთი ფორ-  
მისა ყოფილა: ქსოვილის ნაჭრით ქუდი-  
ვით შეკერილი, ყურებთან ჰქონდა ყოჩ-  
ბოანუხვე-ი (იხ.), წინ შუბლთან  
თეთრ-ს (იხ.) შემოავლებდნენ, ჩამოჰ-  
კიდებდნენ, მის კიდევებზე შემოავლებ-  
დნენ მრგვალ მძივისებრ სამკაულს —  
ბაშ დუგმა-ს (იხ.). დედაკაცს ზაფხულ-  
შიაც კი ეხურა, მიუხედავად სიცხისა,  
მის ზევიდან მხოლოდ ქუნა-ს (იხ.) მო-  
იხურავდა.

ლილიჲ კბილებს შორის გამოსუ-  
ლი ჰაერის საშუალებით შესრულებუ-  
ლი სისინა ჰანგი. ქალებისათვის ხმაჲ-



ლალი სიმღერა დანაშაულები არ იყო, ისინი მხოლოდ ამით ირთობდნენ თავს: დედა ლილია უკრავს.

**ლიმა** ერთხელ დაცეხილი ჩალთუქი (ის.), რომელსაც ნახევარზე მეტად გაცლილი აქვს ქატო: თხლა ჩალთუქი დარჩომაში იქნევ ლიმა.

**ლიმონ** ვაშლ ვაშლის ჭიში, ტკბილია, მრგვალი, ჟანგისფერი გადაპკრავს.

**ლიმონ** სხალ მსხლის ჭიში, ზაფხულში მწიფდება, ლიმნის ფერისა და მოყვანილობისა, ძალიან გემრიელია.

**ლინგ** 1. ბერკეტი, აზარმაცი: ნავლინგევით ასწივით, ჯელი ასწევამ არ იქნევ (შდრ. საბა, ჩუბ. ლინგი); 2. გადატ. ზანტ, უსიცოცხლო ადამიანზეც ამბობენ. **ლინგივი** გაუნძრევლად, ზანტად: ლინგივი ვი. 3. გადატ. გამოუმცხვარი პური: პურ ქმა არ კეპტევი, ლინგი. ლინგივი პურევი იქნა, ვარგ არა (ის. დატყირპულ პურ).

**ლინკ** ცივ წვეინზე ან ჩაიზე იტყვიან: ჩემა ლინკი, ხოლო უფრო მეტად თუა გაციებული, ცივ ლინკს იტყვიან.

**ლიპლიპ** (ლიპლიპოვს, ილიპლიპა, ულიპლიპნი, ნალიპლიპ) ლივლივი წყლისა, ოდნავ ღელვა: ოზონში წყალლიპლიპოვს, დგას (შდრ. საბა, ჩუბ., მენტ. ლიპი).

**ლიყიწ** ცომ ცომი ცუდი ხარისხის ფქვილისა, რომელიც წებოსავითაა, მისი პურიც ცუდი გამოდის. **ლიყიწ** პურ ცომი პური, ასეთივეა „დატყირპულ პურ“ (ის.).

**ლობბა** მასხარა. ხუშარა ადამიანი.

**ლოგინი** ჯიღვე ლოგინის ფეხების დასამაგრებელი თლილი ოთხი ხე.

**ლოლია-ლოლია** ორი-სამი წლის ბავშვის გასართობი თამაში: ბავშვის ხელს დაიპყრენ მარცხენა ხელში, ხელის გულს გაუშლიან, ვინც ათამაშებს, ის თავისი მარჯვენა ხელის სალოკი თითის ბავშვის ხელის გულზე მოსმით ამბობს: „ლოლია-ლოლია“... მერმე ნეკითოს მოუტყეცავს და ეტყვის „ემამ მამპარა“, მერე რიგრიგობით თითებს ეცავს და ეუბნება: „ემამ დაკლა“, „ემამ გაყლუფა“, „ემამ მოხარა“, „ემამ ქამა“. შემდეგ მკლავზე ხელის დადებით ამბობს: „ეე ბეკეკა, ეე ქიაა“, „ეე ბეკეკა, ეე ქიაა“ და ყელთან რომ მიალწევს მისი თითი, დაუწყებს ლიტინს „ლიტ-ლიტ-ლიტ“-ის თქმით, ბავშვიც იცინის და ერთობა (ის. მენტ. ლოლია-ლოლია).

**ლოლო** თითის სიგრძისა და ოდნავ ბრტყელი პური თონეში გამოამცხვარი, ძალზე ახმობენ, რომ ბავშვს შეეძლოს მისი მხოლოდ ლოლნა. ამით ბავშვი ერთდროულად ერთობა და არ ტირის (ის. საბა: ლოლუა).

**ლომპურ** ის. ლამფურ (შდრ. ლომფურ, ლუმფურ, ლამპურ).

**ლომფურ** ის. ლამფურ.

**ლომო** კაკლის ქერქი მრგვლად.

**ლოპ** 1. ლორწო (ის. საბა, მენტ. ლოპრი); 2 წებოვანი, სქლად დადებული ქუქყი, რომელიც ცივ წყალში გარეცხვისას ხელში ცურავს (სლიპინებს) და უფრო მეტად ლორწოვანი ხდება (ის. კაიშ. ლეპრო). **ლოპრი** ან ლორწოვანი: ქლე ჯორც ლოპრიან კეპტევაყ (შდრ. ლორწიანი).

**ლორწყიან** ის. ლოპრიან: ლორწყიან ჯორც არ იყიდო.



და თან ხორც ძაფებად შლიან და ნელა  
კამენ.

მავლწვრლ გასაწყობი (მაგ., კაბი-  
სა); მისაკერებელი, მისაქსოვი.

მავლწლ მისახელი, მოსაველელი;  
მოსანახულელებელი (შდრ. მისავლწლ).

მავწელელ მოსახელი (შდრ. მისახე-  
ლელ).

მააკითხელ შესაკითხავი (შდრ. მა-  
საკითხელ).

მააკლწლ მოსაკლავი (შდრ. მისაკ-  
ლწლ).

მააპარელი მოსაპარავი (შდრ. მისა-  
პარელი).

მააჟუნ წამალია, ამზადებენ შემდეგ-  
ნაირად: თოფალად-ის (იხ.) ფოთოლს,  
მიხაკს და თხილს დანაყავენ, თაფლში  
აურევენ და ღლეში სამჭერ ჩაის კოვზით  
აქმევენ გამხდარს.

მარჩინა 1. დაამთავრა, დაასრულა:  
2. მოკლა.

მარწყვლ მოსარწყავი (შდრ. მისა-  
რწყვლ).

მასლწლ მოსასვლელი (შდრ. მისა-  
სლწლ).

მასლწლი მოვა (შდრ. მისასლწ-  
ლი).

მასწვეელ იხ. მნასწევ.

მაქომს მოაქეს.

მაქონს (აღ.) იხ. მაქომს.

მაქს (კაკ.) იხ. მაქომს.

მაქყე მოაქეს (შდრ. მაქყწ, მაახ-  
ყე, მაახყწ, მააყე, მააყყწ).

მაქყწ იხ. მაქყე.

მააღებელ იხ. მააღეველ.

მააღეველ მოსაღანი (შდრ. მააღე-  
ბელ, მისაღებელ, მისაღეველ).

მააღეველი მოიღანს (შდრ. მისაღე-  
ველი).

მააჟონელ მოსაჟვანი (შდრ. მისაჟო-  
ნელ, მააჟუნელ, მისაჟუნელ).

მააჟონელი მოიჟვანს (შდრ. მისაჟო-  
ნელი, მააჟუნელი, მისაჟუნელი).

მააჟუნელ იხ. მააჟონელ.

მააჟუნელი იხ. მააჟონელი.

მააჟნომელ მოსაჟნელი, შესაფერი-  
სი, საკადრისი: ბებრიბე მ ა ა შ ნ ო მ ე ლ  
კაბაა ჩააღც! (შდრ. მააშტო, დააშნო-  
მელ).

მააშტო (აღიაბ.) იხ. მააშნომელ.

მააცემელ მოსაცემი; ვალი: მაგას  
ჩემბე მ ა ა ც ე მ ე ლ აჭ (შდრ. მისაცე-  
მელ).

მააცემელი მოიციმა (შდრ. მისაცე-  
მელი).

მაახყე იხ. მააქყე (შდრ. მაახყო, მა-  
აჟყე, მააჟყწ).

მაახყწ იხ. მააქყე, მაახყე.

მააჟყე იხ. მააქყე, მაახყე.

მააჟყწ იხ. მააქყე, მაახყე.

მაგალ ადგილი, სადაც საქონელი  
დაეყრება შუადღის სიცხეში დასასვე-  
ნებლად (შდრ. მაგალაა).

მაგალაა იხ. მაგალ.

მაგაშ ხაჟო, მიღებული ყველის გა-  
მოყვანის შემდეგ დარჩენილი შრატისა-  
გან. ტუბილია, როცა ახალია.

მაგარ 1. გადატ. ძუნწი; 2. კარგი,  
ძალიან კარგი: მ ა გ ა რ ო შ ა გ აჭ კ ო მ ს.

მაგარნაჟუჭიან კაკალ იხ. კირკიტ  
კაკალ.

მაგიბე მაგისთვის.

მაგიგნი მაგისგან; მაგაზე: მ ა გ ი გ -  
ნი ღიღი.

მაგიჯგნი იხ. მაგიგნი.

მაგრიან სადაც ჭირს გასვლა: მ ა გ -  
რი ა ნ შ ი ნ უ ზ რ ო ვ.

მაგროვამ (მაგროეს,—, მაგარ) ძუნწობა: მაგროვამთი რამ არ გამოვ, თეთრ გოუგზავნ.

მადიან ქაკი ცხენი.

მავ (ალაბ.) აბრეშ. ქსოვილი, მოვი, შემოჰქონდათ. საპერანგველ ხმარობდნენ ქალები. გარდამავალი ფერები ჰქონდა: მუქი-მოლურჯო-მომწვანო (მდრ. საბა, ჩუბ. მავი, მენტ., გრიშ. მოვი).

მათ გაკვირვებული, განცვიფრებული.

მაიგნი ის. მაიგნი.

მაიზარ წინსაფარი, ფართუყი.

მალაბ ქაფჩა.

მალაღელ 1. სოფ. მალაღის მცხოვრები. ისინი ხეზე თავისუფლად დადიან. ხშირად ინგილოებს კაკალს უბერტყავენ. 2. გადატ. კაკლის დამბერტყავი; 3. გადატ. მაღალი ადამიანი, მაღალლი ალატ 1. ძალიან გრძელი ალატი, რომლითაც კაკალს ბერტყავენ მალაღელი; 2. გადატ. მაღალი, უშველებელი სიმაღლის და წერილი ტანის ადამიანი (იხ. ალატ).

მაღეთავ ადრევე, წინასწარ: მარილ მაღეთავ ჩაყრა ქობში.

მაღივი მალულად, დამალულად. მაღივი-ფარივი მალულ-ფარულად: მაღივი-ფარივი ქამს ზალ.

მაღმა სწრაფად, ჩქარ-ჩქარა, ხშირად: წერილ მაღმა გამოგზავნ, შენც მაღმა მოა.

მაღმა ის. მაღმა.

მაღუაათ დალა.

მამ მომეცი: მე მამ!

მამამთი მამით: მამამთი ერთ, დეამთი ცალკ.

მამამთი ღამ ერთი მამის და.

მამამთი ზეშამ მამით ღვიძლი ძმა.

მამხალ 1. მომხალა, დარბილებული; 2. გადატ. ჭიუტი ხასიათი შეუტყულია, მოტენილა; 3. მაკე; ორსული (იშვითად იტყვიან ადამიანზეც).

მამიქონს (ალაბ.) მომიტანს.

მამკუპრეღევ ტიკის მკეთებელნი. მისი პირის მომკუპრავი ხელოსნები. რომლებიც საქართველოდან ჩამოდიოდნენ საინგილოში. ისინი სპეციალური ხელსაწყოთი ანაოკებდნენ ტიკის პირს (იხ. მენტ. მკუპრავი).

მამღევთან წინდა წინდის სახე, რომელშიც მამღების სახეებია ჩაქსოვილი. ახალგაზრდებს უქსოვდნენ ასეთ წინდებს. მამღევთან ბაშლულ თეთრი ფერის კისერზე მოსახვევი, რომელსაც ახატია წითელი ძაფით მამღები.

მამმარტო სულ მარტოდ, მარტოდ-მარტო (აღებულია მარტო სიტყვის პირველი მარცვალი მა, რომელსაც დერთის -მ- თანხმოვანი. ასეთ წარმოებას მიმართავენ ინგილოური, როცა ხაზგასმით უნდა რაიმეზე მითითება (წიმწითელ, ყუმყუმთელ, წომწორ).

მამსულ მომსვლელი, სტუმარი: ბეერ მამსულ, წამსულ აქოყ (იხ. მანასულ).

მამულ-ყოფამ ახლო ბალ-ბოსტანი, სადაც თესია ხახვი, მწვანილი: მოა, ჩემ მამულ-ყოფამ ნახ.

მამღზორ 1. ცუდად გარეცხილი, რომელშიც ქუჭყია ჩამჯდარი; დამხრზვალი, მეტი სიცხის გამო სულშეხეთული; ასე ემართება წიწილას ან სხვა სულიერ არსებას თავის ჩანასახში (იხ. საბა: დაღრძობა).

მანადგომ მომდგარი, მოყენებული (იხ. ზედ მანადგომ, ყბაზე მანადგომ).

**მანადრვ** 1. ანთებული, მოკიდებული; 2. ანთებული, მოკიდებული; 3. მოსაკიდებელი, ასანთები: ლამფაჲ მანადრვ რამჲს სადაა?

**მანაზელ** 1. მზელავი; 2. მოზელილი; 3. მოსაზელი (ჭურჭელი და მასალა). ახ. მაზელელ.

**მანაზოვნ** 1. რაც ძოვს. 2. მოსაძოვებელი (საქონელი ან ბალახი).

**მანაზუფვ** 1. ვინც აძოვებს. 2. საქონელი, რომელსაც აძოვებენ; 3. გადატ. ვინც ვადის გაგრძელებით, დაიმედების გზით ატყუებს.

**მანაზუზვ** იხ. მანაზუფვ.

**მანათჟოლ** 1. გამსერელი; გამჭუჭყიანებული; 2. გასვრილი, მოსვრილი, გაჭუჭყიანებული (იხ. მოთქლულ).

**მანათხოვნ** 1. მათხოვარი; მთხოვნელი, მსურველი, ვისაც უნდა; 2. მოთხოველი; 3. ნათხოვარი.

**მანაკალ<sup>1</sup>** 1. მოკლული; 2. მკვლელი (იხ. მკლრლ); 3. მოსაკლავი იარაღი: ჩიტ მანაკალ.

**მანაკალ<sup>2</sup>** 1. მოკალული, კალა გადასმული: მანაკალ ქობ; 2. მკალავი, ვინც ქვაბებს, ჯამებს კალავს: ქობეე მანაკალ კაც მოსულ; 3. კალა, რითაც კალავენ: ქობ მანაკალ რამე.

**მანაკდომ** 1. მკედარი; 2. მომაკედავი.

**მანაკიდევ** იხ. მანაყოლევ.

**მანანდომ** 1. მსურველი, მნდომი; 2. სასურველი; საყვარელი (იხ. საყურა).

**მანანდომევ** იხ. მანანდომ.

**მანაჲ** მსხვილი სარი, საშუალო კაცის სიმაღლისა, ზმარობენ ლობისათვის (იხ. საბა, ჩუბ., ჯანაშვი., მენთ. მანა).

**მანაჟამევ** ოდნავ მომწიფებაში შესული, ფერს რომ იცვლის ხილი. ქლი-

ავზე იტყვიან, როცა ჯამა შეიძლება. ამ დროს მისგან აკეთებენ ყუჩაყ-ს (იხ.).

**მანარევ** 1. ვინც ან რაც ურევს, მოსარევი (იხ. მაარეველ); 2. რომელსაც ურევს; 3. რასაც ურევს.

**მანასულ** 1. მომავალი, ვინც მოდის (იხ. მამსულ); 2. მოსული, ვინც მოვიდა; სტუმარი; 3. მომავალი (წელი): მანასულიბე დაასხმელი ე ვაშლ (იხ. მამსულ).

**მანასწევ** 1. მწეველი; ჰაპრუს მანასწევ კაც არა; 2. ნამწევი ჰაპროსისა: მანასწევ ჰაპრუს ცეცხლზე ჩააგდ, ყმაწულმა ყბაში არ ჩაადროს; 3. მოსაწევი (იხ. მასწეველ); 4. მომზიდველი, მომხრელი; 5. მოზიდული, მოხრილი; 6. მოსაზიდი, მოსახრელი.

**მანასწროვ** მოწიფული, ასაკოვანი, დასრულებული. მანასწროვ ქალ მოწიფული, გასათხოვარი გოგო, დაქალიშვილებული, რომელსაც ყველაფრის გაკეთება უკვე შეუძლია. მანასწროვ გადა დასაქორწინებელი ვაჟი, მოწიფული. მანასწროვ ხეჲ ხე, რომელიც უკვე ნაყოფს ისხამს.

**მანატან** იხ. მანაღევ.

**მანაქსოვნ** 1. მქსოველი: ყიფიმ მანაქსოვნ დეაკეე ეხლააც არიან; 2. მოქსოვილი: მანაქსოვნ შალ; 3. საქსოვი (დაზგა): ყიფიმი შალ მანაქსოვნ რამ ზოგს აქ ეხლააც; 4. საქსოვი (მასალა): შალ მანაქსოვნ ბაწარ არ დამისტავ.

**მანაღევ** 1. მომტანი, ვისაც მოაქვს: საფქოე მანაღევ კაც არა; 2. მოღებული, მოტანილი: დილლაზე მანაღევ, აქ დგას (შდრ. მანატან).

**მანაღვოვ** იხ. მამღვორ.

**მანაყოლე** 1. დაწყები; 2. დაწყებული (იხ. მანაკიდე).

**მანაყონ** მომყვანი; მოყვანილი (შდრ. მანაყუნ).

**მანაყონ** მომძვრალი, მონატეხი.

**მანაყუნ** იხ. მანაყონ.

**მანაშნომ** 1. მოსახდენი; 2. მოხდენილი, შესაფერისი (იხ. დანაშნომ, მოშნოვილ, მანაშნომელ).

**მანაცალე** მოცილილი, თავისუფალი. **მანაცალე** დროა თავისუფალი დრო.

**მანაწადე** რაც ძალიან გინდა, გწაღია, გსურს; ჩემ მანაწადე რამ შეგქმევარ; მოწადინებული.

**მანაწე** მწიფე, მომწიფებული. **მანაწე** ჭიაა პარკის საქსოვად ზრდადამთავრებული აბრეშუმის ჭია: მანაწეე ჭიაა ცახზე გადის, პარკს ქნის. **მანაწე** კიტრ (აღიბეგ.) ზრდადასრულებული კიტრი, მოწითალო ფერისა, კანი დამსკდარი აქვს.

**მანაწევნ** 1. რომელიც ეწევა წინასანდა დაეწია; 2. წილად რგებული, რაც წილად ხვდა: დღეზე მანაწევნ ხორბალ.

**მანაწმენდ** 1. მოსახოცი. სახოცი, 2. ვინც იხოცავს; 3. მოწმენდილი (ცა).

**მანაწნეხ** 1. მოწნეხილი, მოგრეხილი; 2. ვინც გრეხს, წნეხს.

**მანაწოლ** 1. მეწველი; 2. მწველავი; 3. მოწველილი; 4. ჭურჭელი, რაშიც წველიან: ზეა მანაწოლ ვედრაა.

**მანაწყობტ** 1. მოწყვეტილი; რაიმეზე ოდნავ მოგლეკილი; შეწყვეტილი; 2. ვინც მოწყვიტა, მოგლეკა ან შეწყვიტა.

**მანაწყურე** მოწყურებული.

**მანაჰერ** 1. მოჰრილი; 2. მომჰრელი.

**მანაჰერ** მოჰერილი, შემოჰერილი (შდრ. მანაჰირე).

**მანაჰირე** იხ. მანაჰერ; მომჰერა, ვინც უჰერს.

**მანაჰყანტურე** 1. ყელში შემოჰყერილი, ხელით წაჰყერილი დასახარობად; 2. ყელში მომჰყერი; 3. ყელში მოსაჰყერი. **მანაჰყანტურე** პარკ პარკი, რომელსაც შუაზე შევიწროებული აქვს, ყველაზე კარგი ხარისხისაა. **მანაჰყანტურე** ესტაჰან ჭიქა, რომელსაც შუა ნაწილი შევიწროებული აქვს.

**მანახარ** 1. მოხარშული; 2. მოხარშავი; 3. რაშიც უნდა მოიხარშოს; 4. მოსახარში.

**მანახე** 1. მონახევი, მოხეული; 2. ვინც მოახევეს.

**მანახე** 1. თავიანი, თავმოხვეული, თავბოლქვგაკეთებული; 2. მოხეული (თავზე); 3. მოსახევი; 4. შემოხვეული.

**მანაჯად** 1. მოხდილი; 2. მომხდელი.

**მანაჯალე** 1. მოხალული; მოხრაყული საქმელი, ტავამწვარი; 2. ვინც ხალავს.

**მანაჯან** 1. მხენელი; 2. მოხნული, ხნული.

**მანგანა** მჰედლის იარაღი, ქანჩი, მოსაჰერი. **მანგანაში** ჩავდევაა მუხრუქის მოჰერა; შევიწროება ადამიანისა, განსაცდელში ჩაყენება (იხ. ჩუბ., მენტ. მანგანა).

**მანწილა** ფაფაყ მალალი ფაფახი, შეეკრილი ბატკნის ტყავისაგან.

**მანყანი**ც აბრეშუმის ძაფსახევეი და სართავი მოწყობილობა. ახლა აღარ არის. ამჰამად ამ სამუშაოს ხელითა და ტარ-ით (იხ.) ასრულებენ (იხ. მენტ. მანჯანიკი).

**მანყანი**ც იხ. მანყანიკ.

მანუჩიურამ მსხლის ჯიში; იენისში მწიფდება, როცა დაიწყებენ მანუჩიუკის (იხ.) მოწყობილობის გამართვას და ამბრეშუმის ძაფის ამოხვევა-დართვას. ყვითელი ფერისაა. ძალიან რომ დამწიფდება, გული გაუშვდება ხოლმე.

მანუჩიურ აშკარა, საქვეყნო: ალამა მანუჩიურ ქნის; მანუჩიურ ტყუილ.

მაჰა 1. ბატკნის კუქის ერთი ნაწილისაგან გაკეთებული ცხვრის რძის შესაყენებელი; 2. საქონლის სანაყოფე თესლი: მაჰაჰა დაჰკირასავ მარლის, არ აჰმევენ საქონელს.

მაჰზარ ქალის წინსაფარი. მას ძვირფასი ნაჭრისაგან იკერავდნენ. მისი შემადგენელი ნაწილებია: მაჰზარი გულ, რომელიც გულმკერდს ფარავდა, ოთხკუთხედი ფორმისა; მაჰზარი კალთაჰ, წელს ქვემოთა ნაწილი, რომელიც კოჭებამდე სწვდებოდა, ოთხკუთხედი ფორმისა; მაჰზარი ქამარი; მაჰზარი ბად; რითაც კისერზე ჩამოკიდებდნენ მაჰზარი გულს. მაჰზარს ირგვლივ კიდებზე შემოაელებდნენ ტყელ ბალს (იხ.). მაჰზარი გული-ი და მაჰზარი ქამარი-ი ზოლებად იყო შეკერილი. კალთის ბოლო კიდზე მოვლებული იყო მუღახილი-ი (იხ.) და წრულ თეთრ-ი (იხ.) ვერცხლისა. ასეთ მაჰზარს „გულიან მაჰზარ“-ი ერქვა. გათხოვილი ქალები მუღმივად ატარებდნენ მას. არის ვადნაფარვე მაჰზარი-ი, რომელსაც იცეამენ შავი სამუშაოს შესრულების დროს. ფორმით სამედიცინო ხალათს ჰგავს.

მაჰჯარ მოაჯირი: მაჰჯარევიან ლოგინ.

მაჰზრტა გაიქვა, გაქრა.

მაჰჯარაჰ თოფის სახეობა, მსუბუქი იყო, ძველად ხმარობდნენ.

მაჰნიკ იხ. მანუჩიუკი.

მარაზ სარეცხის, ტანსაცმლის, ფარდის ჩამოსაფენი თოკი, რომელსაც გასათხოვარი ქალი მზითეუმი იშვადებდა. მას ფერადი ძაფებით წნავდა. მის ბოლოებში ფოჩებს გაუყებდნენ სილამაზისათვის. მავთულსაც, რომელზედაც სარეცხს ფენენ, „მარაზ“-ი ჰქვია: მარაზ გაამბ, ტამსომოზ დაჰტინ (იხ. საბა: მარაზი).

მარაქაჰ ლხინში, ქორწილში ან სხვა დროს დამსხლარ ადამიანთა რიგი: მარაქაჰში დაჰედუნ, აჰამ (მდრ. საბა, ჩუბ., მენტ. მარაქაჰ).

მარაღა ჩალთუქის (იხ. ჯიში, აგვისტოს 15-მდე მწიფდება: მარაღა ჩალთუქ პატარა მარხოში იწვეის.

მარიაჰმაჰ კიამაია. მას დაისევამენ ხელზე და ეტყვიან: „უჩ მარიაჰ, უჩ, წითელ კაბას შეგიკერავ, უჩ, უჩ!“ ისიც გაშლის ფრთებს და გაფრინდება.

მარიაჰმარხოჰ ყველაზე მოკლეადიანი (ორკვირიანი) მარხვა აგვისტოს 1-15-მდე.

მარილაჰ საკმელში მარილის მეტნაკლებობის გასინჯვა: მარილაჰ რათა აარია, ლაჰმეჰ ნუმ არა? მარილაჰ ნახუჰა (მარილაჰ ხედავს, მარილაჰ ნახა, მარილაჰ უნახი, მარილაჰ ნანახ) საკმელის მარილიანობის გასინჯვა: მარილაჰ ნახ, თუ აკლი, მარილ ჩაყარ! მარილ შემოვლოჰვაჰ (მარილს ავლოვს, მარილ შემავლო, მარილ შემოვულუ, მარილ შამანავლო) რელიგიური წესია ავი თვალისაგან დასაცავად: მუჰაჰში მარილს აიღებენ, ირგვლივ სამჯერ შემოატარებენ და ზურგიით ცეცხლისკენ დაიკუზებიან და მუხლებს შორის ხე-

ლის გაქნევით ცეცხლში ჩაყრიან. მარილი ტაკანს რომ დაიწყებს, იტყვიან „თოლ გატყრო“: მ ა რ ი ლ შ ა მ ა ა ვ ლ, ნოხო კაა იქნევა.

მარილწყალ დადრვაა მარილწყლის კომპრესის გაკეთება.

მარმარად თელინ თეთრი მიტკალი. მარმარადივი ძალიან თეთრი, სუფთა. მარმარადივი დარეცხაა სარეცხის გაკამება, სუფთად დარეცხვა.

მარხალ ზეავი, სახლის სახურავზე დადებული დიდი თოვლი, რომელიც ღნობის დროს მთლიანად მოსწყდება და დატურდება დიდი ძალით.

მარხოა ქრისტიანული დღესასწაული, მარხვა. მარხოა შანახა მარხულობა, მარხვის წესის დაცვა. მარხოა გატეხაა მარხვის წესის დარღვევა.

მარხულ 1. მარხვის, ხორცის უკმელობის პერიოდი: ეხლა მ ა რ ხ უ ლ ი; 2. მარხვის საკმელო, რაც შეიძლება ამ პერიოდში ჰამონ: ნუგზიან სოკოა მ ა რ ხ უ ლ ი, ქონში თუ მააჯალეს სხლინი; 3. რაც ამ პერიოდში არ ეკმებათ, ისიც მ ა რ ხ უ ლ-ია.

მასავლრვრლ იხ. მავლრვრლ.

მასავლრლ იხ. მავლრლ.

მასაზელელ იხ. მავზელელ.

მასაკითხელ იხ. მავაკითხელ.

მასაკლრლ იხ. მავაკლრლ.

მასალაა მაგალითი, ანდაზა.

მასაპარელი იხ. მავაპარელი.

მასარწყრლ იხ. მავარწყრლ.

მასასლრლ იხ. მავასლრლ.

მასასლრლი იხ. მავასლრლი.

მასაღებელ იხ. მავაღებელ.

მასაღეველ იხ. მავაღეველ.

მასაღეველი იხ. მავაღეველი.

მასაყონელი იხ. მავაყონელი.

მასაყონელი იხ. მავაყონელი.

მასაყუნელ იხ. მავაყუნელ.

მასაყუნელი იხ. მავაყუნელი.

მასაშნომელ იხ. მავაშნომელ.

მასაცემელ იხ. მავაცემელ.

მასაცემელი იხ. მავაცემელი.

მასევე (მხ. მას) კაცის უელიანი ფხსაცემელი, მთლიანი ქუსლი არა ჰქონდა, იცვამდნენ ქალამნებში. კარგი იყო კალოს ლეწვის დროს, რადგან ფხში ნაგავი არ ჩაუტვივდებოდათ. იცვამდნენ აგრეთვე სამკალში გველისაგან თავის დასაცავად.

მასკან (<მას უკან) მერმე, შემდეგ. მის შემდეგ (იხ. მეველან). მასკნი (იხ. მასკან. მასკნით (იხ. მასკან).

მასკულაა ვარსკვლავი.

მატატელაა ბალახი, ღეროზე მოგრძო ფოთლები აქვს, რომლის ძირში კიდევ ნორჩი ფოთლებიანი პატარა ღეროები იზრდება. ნორჩებს კრეფენ, კეპავენ, ფქვილში ან ცომში შეზელენ და ამით ინდაურის ჭუკებს კეპებავენ (იხ. საბა, ჩუბ., მენტ. მათიტელა).

მატიტელაა იხ. მატატელაა.

მაფრაც არაფასეული ლითონი (იხ. ჩუბ., მენტ. მაფრახი).

მაქთაბ (ალიამ.) სკოლა.

მაღაა მოლი (შდრ. მოლაა. მულაა. იხ. მოა).

მაღაათ ფხიზელი, მუყაითი. მაღაათ ქნაა (მაღაათ კეპტევის, მაღაათ იქნა, მაღაათ ქნილ, მაღაათ ნაქნარ) თვალყურის დევნება, ყურადღების მიქცევა: ჩემ ქათმევეზეც მაღაათ იქენ.

მაღარაა კოჭი; კოჭი ძაფიანად; კოჭის ძაფი.



მადმულ შებოკილი, უძლური ვინ-  
მეს გავლენის გამო: შენ კელში მალ-  
მულ ვარ (შდრ. მენტ. მალმური).

მაშა! აბა, მაშ!

მაშადი უშნო კაცზე ამბობენ.

მაშაყ ხიდან ხეზე მარდად მხტომი,  
მოძრავთვალეზიანი, გრძელბრჭყალეზა  
ცხოველი (იხ. მენტ. მაშაყი, ვარშაყი).

მაშკი იხ. მაშკიდა.

მაშკიდა რა თქმა უნდა.

მაშფარაა დაყრა (მაშფარაა ჰყრის,  
მაშფარაა დაყრა, მაშფარაა დოტყრი,  
მაშფარაა დანაყარ) დაგგმვა, რჩევა-  
დარიგების მიცემა: შენ მაშფარაა  
დაყარ, ჩონ გოვაქეთოთ. მაშფარაა  
დანაყარ მგეგმავი, მრჩეველი: მაშფა-  
რაა დანაყარ არ გოქ, თუ არ  
ჩონ გოვაქეთეთ.

მაჩიაროვაა საჩივარი (შდრ. მოჩივა-  
როვა).

მაჩკატელაა ლამურა (შდრ. მაჩქა-  
ტელა, იხ. საბა, ჩუბ. მაჩქათელა).

მაჩკატელაა იხ. მაჩკატელა.

მაჭაკალ მაჭანკალი, მაშვალ ქალის  
გარიგების საქმეში (შდრ. საბა: მაჭაკა-  
ლი).

მახ მთაში ვიწრო თავდაღმართიდან  
საურმე გზაზე შეშის ან ფიჩხის ხელით  
ჩამოსათრევი. მას სახელდახელოდ აკე-  
თებენ: მოჭირან მრავალტოტიან ჟაგ-ს  
(იხ.), მასზე დააწყობენ რაც ჩამოსაზი-  
დია და ზედ შეკრავენ, რომ გზაში არ  
გაიფანტოს, თრევით ეზიდებიან ქვე-  
მოთ: მახით ჩომოზიდ საურმეზე,  
მე ურმით მაგითანო შინ.

მახარაა თხელი, ერბოში გამომცხ-  
ვარი, ტაფის ზომის მრგვალი ნამცხვა-  
რი: წყალში გათქეფენ პურის ფქვილს,  
შეაზაგებენ მარილით, მიღებულ ნაერთს

დაასხამენ ცხიმთან ცხელ ტაფაზე, ორი-  
ვე მხარეს გამოაცხოებენ.

მახმურ ხავერდი (იხ. ჩუბ., მენტ.  
მახმური). მახმურ ჩიჩაქ ხავერდით  
ზედაპირიანი წითელი ფერის ყვავილი,  
მას თესავენ დილილიგ-ში (იხ.).

მაჭარამა მსხლის ჩიში ზაფხული-  
სა, ყვითელი და მოგრძო, წყლიანი და  
ტკბილი.

მაჭტევის უკვირს, განცვიფრებაში  
მოღის.

მეგუთნეა გუთანზე მომუშავე,  
მხენელ-მთესველი (იხ. მენტ. მეგუთნე).

მეგრეა მეორე, მეორეჯერ, მეორედ:  
მეგრე არ მითხრო.

მევლან მერმე, შემდეგ.

მევლანი მერმე, შემდეგში (შდრ.  
მევლნი, მემლანი, მემლნი; იხ. კიდე).

მევლანიდელ შემდეგდროინდელი,  
მერმინდელი, გვიანდელი, მეორეული  
(შდრ. მემლანიდელ, მევლნიდელ, მემ-  
ლნიდელ).

მევლნი იხ. მევლანი, კედე, კიდე.

მევლნიდელ იხ. მევლანიდელ.

მეზაა სიამოვნება: მეზაბე გა-  
ნაქეთვე სიჭმელ.

მეზორ იხ. მზორ.

მეკევრეა ვინც კევრის უღელში  
შებმულ საქონელს მიერეკება, მას მი-  
წის მოხვნის მერმე შინ მიიწვევდნენ.  
„მეკევრე“ ჰქვია კევრის მკეთებელ ხე-  
ლოსანსაც (იხ. მენტ. მეკევრე).

მეკურტნეა პატარძლის მზითევით  
ლატვირთულ ურემზე მჯდომი პატარა  
ბიჭი (7 ან 8 წლისა). მას ხელში უჭი-  
რავს ლავანი (იხ.), ჰაფტოფა (იხ.) და  
არ ჩამოღის მანამ, სანამ ვაჟის მხრიდან  
ფულს არ აიღებს.

მელაკუდა ვაზის ჭიში, მელიის კუ-  
დის მსგავს გრძელ მტევნებს იკეთებს.

მემანჟნიკე აბრეშუმის ძაფის ამო-  
ხვეველი, მანჟანიკა-ზე (იხ.) მომუშავე.  
ისინი ზაფხულობით ქ. ნუხიდან მოდი-  
ოდნენ პარკ დარჩევა-ში (იხ.) (იხ. ჩუბ.,  
ჯანაშვი., მენთ. მემანჯანიკე).

მემჟანაგეა ქორწილის ღამეს სასი-  
ძოს სახლში სადღეოდფლოს ოჯახიდან  
გამოგზავნილი კაცები, ქორწილის მახა-  
რობელნი, რომელთაც პატარა პურ-მა-  
რილს გაუმართავენ ვაყის ოჯახში. სანამ  
ფლავს არ გაუკეთებენ მათ, არ მოეშე-  
ვიან. მემჟანაგეა საღმთა ქორწილის  
წინა საღამოს ვახშამი, ლხინი, დროს-  
სულის სახსენებლად უმართავენ. რეც-  
ხავენ მის ტანისამოსს, ღარიბს აძლე-  
ვენ. ამზადებენ საკმელს — ფლავს,  
ლობიოს. ხორცის გარდა, ყველაფერი  
შეიძლება ჭამონ.

ტავარ იხ. დავარ.

ტაიჲ ბიძა, დედის ძმა.

ტალახაჲ ელენთა (შდრ. ტყირაჲ).

ტამაზლულ მოსაშენებელი საქონე-  
ლი: ტანაჲ არ ჰყულავ, ტ ა მ ა ზ ლ უ ლ ი-  
ბე უნახავ (იხ. საბა, ჩუბ. ტამაზლუხი).

ტამსმოზ ტანსაცმელი.

ტამსმუჲ იხ. ტამსმოზ.

ტამსმუს იხ. ტამსმოზ.

ტანაჲ ხბო (იხ. ჯანაშყ. ტანაჲ, მენტ.  
ტანა).

ტანაყირან სარეველა მცენარე, ამო-  
დის ყანაში, ფართო ფოთლები აქვს.

ტანაყირაჲ ბოსტნეულის მცენებელი  
ჭია მოწითალო ფერისა. ის ბოსტნეულს  
ძირშივე გადაღრღნის ხოლმე: ტ ა ნ ა-  
ყ ი რ ა მ ხ ა ზ გ ვ დ ა ს ჭ რ ა .

ტანაჩიჲ იხ. მეტანეჲ.

ტანკეტ (აღ.) იხ. ტანკიჲ.

ტანკიჲ ღვედკეციტ დაწნული კალა-  
თა, იხმარება წინდებისა და მისი საქ-  
სოვის მოსათავსებლად.

ტანსმოზ იხ. ტამსმოზ.

ტანსმუჲ იხ. ტამსმოზ.

ტანსმუს იხ. ტამსმოზ.

ტანსუმუჲ იხ. ტანსმოზ.

ტანში შანაკარ კუქში შეკრული.

ტაპანტიჲ ქნაჲ დაშლა, გაყრა ოჯა-  
ნისა: ტ ა პ ა ნ ტ ი ჲ ქ ნ ი ლ ა ნ ; ცხერის-  
ფარის აშლა, მწყემსების წასვლა-წა-  
მოსვლა, ანგარიშსწორება. ამას „ცხრუ  
ტაპანტიჲ“—ც ჰქვია.

ტაპარაჲ დანასობი. საბავშვო თამა-  
შობაა.

ტაპკირ ნავში, საწნახელში სიგანე-  
ზე ჩასაწყობი მოკლე ჯოხები, რომელ-  
თაც ზევიდან დააფენენ კარაზანა-ს  
(იხ.), რომ ჰუპა არ გააყვეს ტკიბლს  
(შდრ. საბა: ტუპკირი, მენტ. ტოპკირი).

ტაპტაჲაჲ ვირთხა.

ტარ თითისტარი.

ტარატ გროვა, ჭგუფი ხალხისა.

ტარა-ტარა ჭგუფ-ჭგუფად.

ტარბაკ 1. ფაშის ის ნაწილი, რო-  
მელიც ბურთივითაა. ამით აპოხტს აყე-  
თებენ. ასეთივეა შირდან-ი (იხ.); 2. გა-  
დატ. მრგვალ, დაბალ ადამიანზე იტყ-  
ვიან.

ტარბაკ ჩახხმაჲ ტარბაკ-ის (იხ.)  
აპოხტის გაკეთება, მასში შეზავებული  
ხორცის ჩაყრა.

ტარევაჲ (ეტარევის, დეეტარა, და-  
ტარეტლ, დანატარევი, ნატარ) ტარეზა,  
სიარული.

ტარ ილქინდიჲ საღამოს 7—8 საა-  
თი.

ტარტახევი 1. ძვლები, რომლებზე-  
დაც ხორცი სულ არაა: თამამ ტ ა რ ტ ა-  
ხ ე ვ დ არ ჩ ა , ზედ გემაახრულ რამ არ  
დარჩა; 2. შიშველი ფეხები: ტ ა რ ტ ა-  
ხ ე ვ ნ უ წ ა გ მ ი ყ რ ი , ჩულქევი ჩაღც!

ტარჩანად ქამანჩი, ცხენის ძუისა-  
გან აკეთებენ.

ტატაჲ 1. ხელი ბავშვის ენაზე: იმ

ტ ა ტ ა შ ი დაჰქირ: 2. ჯოხი: ერ ტ ა -  
ტ ა მ დაადო.

ტატაყუე შიშველი მუხლები.  
ტაღარ იხ. დაღარ.

ტაყაა დიდი ხისაგან მთლიანად  
მრგვლად გამოთლილი კურკელი, შიგ  
ინახავდნენ ფქვილს (ფქუტლუ ტაყაა)  
და ხორბალს (დიდ ტაყაა), ან ტანსაც-  
მელს აწყობდნენ.

ტაშალმაჲ წვრილი ვაშლის ჯიშია,  
მაგარი, წითელი და ტბილი. ინახება  
დიდხანს.

ტახტა-ტახტა იხ. თახტა-თახტა.  
ტაჰყა ფაფაყ იხ. დაჰყა ფაფაყ.

ტელაჲ წვნიანი საკმელი: პურის  
ფქვილით მოხელებს ცომს უმარილოდ,  
გაათხელებენ თხელ ფურცლებად და  
დაახლოებით 4 სმ. სიგრძეზე დაჭრიან,  
მდუღარე წყალში ჩაყრიან ამ ფურც-  
ლებს, მოხარშავენ, შეაზავენენ წიწა-  
კით. მარილით, ყევე-ს (იხ.) ჩაყრიან,  
ქინზი ტორ-საც უზამენ და კოვზით ჰა-  
მენ. რძეში მოხარშულს „ზიან ტელაჲ“  
ჰქვია, ერბოთი გაკეთებულს — „ქონიან  
ტელაჲ“, ყევე (იხ.) თუა ჩაყრილი —  
„ყევიან ტელაჲ“, თუ ძმარია დასხმუ-  
ლი — „ზმრიან ტელაჲ“.

ტიკიჲ ქათამი ბავშვის ენაზე.

ტიკ-ტიკ ქათმის დაძახება.

ტინკოჲ იხ. ბოლოკა შამბაჲ.

ტიპლაყ იხ. ტიტრლაჲ.

ტირატორაჲ იხ. თათრი მერცხალ.

ტირტირ იხ. ქარქარ.

ტირუაჲ 1. ტირილი ცრემლით; 2.  
მწუხარება; 3. სიზარმაცის გამო წუწუ-  
ნი.

ტირმანაჲ კასრის ზევიდან გადმო-

საცმელი სახურავი, რომელსაც წნავენ  
თხის ბეწვით. ხმარობენ მწყემსები.

ტიტიბ ბროწეულის ქერქი. „პირ-  
ჯანდელ ტ ი ტ ი ბ ს ებნევიან კმელ შუ-  
ნდში, თხლეში დატიტბას“. იხ. და-  
ტიტბაჲ (შღრ. საბა, ჩუბ., მენთ. ტი-  
ტიბი).

ტიტიჲ დაგლეჯილი, დაფლეთილი:  
ზედითი ლილიჲს, ქრშაითი ტ ი ტ ი მ.

ტიტრლაჲ ტიტველი.

ტიულინყოჩ იხ. ყიულინყოჩ.

ტიხაჲ ძაფზე ასხმულა.

ტიპილ ზილ ღრმა ძილი. ტ კ ბ ი ლ  
ზ ი ლ შ ი უყავ, ქურდმა ცხარზე რზრძ-  
თი გააყუნა.

ტიყვილ მტკაველი.

ტიკენი დახურაჲ ჩალიანი სახლის  
სახურავის დახურვის ერთი სახე, რომ-  
ლის დროსაც ოსტატი ტიკენის ჩალას  
რე მჭიდროდ, რომ ცეცხლი არ მოე-  
კიდოს. ასეთ დახურავს სჭირდება ბევ-  
რი ჩალა, დიდხანს სძლებს.

ტიციე 1. წმინდა, წვრილხვრელია-  
ნი, მჭიდრო ხვრელიანი (საცერი):  
ტ კ ი ც ე განაცერ საცერ კაჲს; 2. შე-  
მოკერილი, ზედმომდგარი: კასტუმ ზედ  
ტ კ ი ც ე დგას.

ტილინკოვაჲ (ტილინკოვს, იტილინკა,  
უტილინკი, ნატილინკ) კუნტრუში, ტლი-  
ნკების აყრა, ხტუნვა. ტლინკოვ-ტილინ-  
კოვ ხტუნვა-ხტუნვით, კუნტრუშით:  
ტ ლ ი ნ კ ო ვ - ტ ლ ი ნ კ ო ვ მაასლრლი.

ტლუნყ სათითე.

ტლუნყ ყანწში საპნის მოსარევი  
ჯოხი, რაზედაც დახვეულია ქსოვილის  
ნაჭერი. ამით უსვამენ საპნის ქაფს  
ურემს.

ტოკაკ ვისაც ხელზე ან ფეხზე თი-  
თები არა აქვს.

ტოლ 1. ერთი მეტრის სიგანეზე ძირს ზოლივით გაშლილი აბრეშუმის ქია (ის. ტოლ დაფენამ); 2. ქსოვილი. ტოლ დაფენამ აბრეშუმის ქიის ზოლივით, კვლებივით დაწყობა, დაშოლტვა: აყარზე ტოლ ჰფენენ. ტოლი ზირ ტოლ-ის ფსკერი, სადაც დაგროვებულია აბრეშუმის ქიის განავალი.

ტოლახ ფეხის კოჭებთან ტოტების ზევიდან შემოსახვევი ვალამ (ის.) კედლით (ის.) ნაქსოვი. მას ქალები იხვევენ მუქასარ-ის (ის.) ტოტებზე.

ტომაყ ის. ჩომაყ.

ტონ ტანისამისი: შავტონიან კაცყო.

ტოპალ ნერგ-ის (ის.) სათესლე ღერო, რომელზედაც გაკეთებულია თესლის პარკი.

ტოპკირ ის. ტაპკირ.

ტორახუტ კამა (შდრ. ტრახუტ).

ტორონჩოა რძის მოსაწველი სპილენძის ჭურჭელი მოგრძო ფორმისა.

ტოტ: ტოტ დაკრამ ქალების მუქასარ-ის (ის.) ფეხზე (კოჭთან) მკიდროდ შემოხვევა ტოლახ-ით (ის.). კაცები ტოლახ-ს არ ხმარობდნენ, შარვლის ტოტებს წინდის ყელში ჩაიტანდნენ: ტოტევი დაეკარ. ტოტევი პირ ტოტების ზედაპირი. ქალების მუქასარ-ს პკონდა როგორც პირი, ისე სარჩული. ტოტევი ასტარ მუქასარ-ის ტოტების ქვედა სარჩული. ტოტი ყბაა ტოტის ბოლო.

ტორ 1. მტვერი; 2. სუნელი: ქინზი ტორ; 3. ვაზის ავადმყოფობა. ტორ დაყრამ ვაზის ავადმყოფობაა. მტევანზე თეთრი ფერის მტვერივით დაყრება: ტორ დანაყარ ყურზენ არ იწევის, მაგარ ჩევის.

ტოლანად ის. დოლანად.

ტრანტიტიამ მუდამ მოხეტიალე ქალი: ჰეგ ყმაწულს უყურევსა, ტრანტიტიამ ცალი.

ტრაპ-ტრუპ წვიმის დიდი წვეთების დაცემის ხმაურს: ერ ტრაპ-ტრუპ ქნა, გვდავარა.

ტრაპუზან დიდი ხმაური, აურზაური, აყალმაყალი: ტრაპუზან ავარდა.

ტრაყ-ტრუყ ხარა-ხურა: ე ტრაყ-ტრუყ ადლ ექაფთი.

ტრახუტ ის. ტორახუტ.

ტრიალ ტრიალი რისამე ირგვლივ.

ტრიალ-ტრიალ ისევ, კიდევ: ტრიალ-ტრიალ მე გააქეთევარ.

ტრიან გუგრაამ გრძელტარიანი მწარე გოგრა, რომელსაც მომწიფების მერმე ხმარობენ ღვინისა და წყლის ამოსაღებ ჭურჭლად. ტრიან კოტოშ ის. ტრიან გუგრაამ.

ტრია უღუმო, ხუჭუქთმიანი, გრძელკუდიანი ცხვარი.

ტუგნამ ძაღლის ლეკვი: ზაღლი ტუგნამა.

ტულაშამ მუქი შავი: ტულაშამა ყოვ.

ტული-ტული შეძახილი ძაღლის მოხმობისას (შდრ. კული-კული).

ტულიამ ძაღლი ბავშვის ენაზე.

ტუმარამ თხის ბეწვისაგან მოქსოვილი ტომარა: ტუმარა, ტუმარა, ტუმ პეპელა, სახელს გეტყუ, ვერ გამაღცნოვ (ის. ჯანაშვი.) ტუმირი ყბაა ტომრის პირი.

ტუპკირ ის. ტაპკირ.

ტურ კოყრი კანზე ან ხეზე.

ტურ-ტურ კოყრიანი: კელევ ტურ-ტურ ქნილ (შდრ. მენთ. ტურტური).

ტურამ ცახ (ალბეგ.) ცახი მწვანე ფერისა, დაუდებენ აბრეშუმის ქიას ზედ პარკის მოსაქსოვად. ტურამ ბაშ-მაყ პარაზიტი, სოკოსავითაა, ამოდის ფუტუროზე, ღობის ძირში დამპალ ჯოხებზე, წითელი ფერისაა, გაზაფხულზე იცის. ტურამ დანაქროვ სხალ მსხლის ჯიში, ნაკლებწვნიანია, ქამის დროს ადამიანს ყელში ეჩხირება. ტურამ სახლ: ბავშვები ზაფხულში მოაგროვებენ სილას, სახურავივით გააკეთებენ, ზევიდან დაასხამენ წყალს, შუა გულიდან ბოლოებში ჯოხით გამოიღებენ მშრალ სილას. ტურამ იზრვის იტყვიან, როცა მზიან დარში ოდნავ შოწვიმს და მერმე ისევ გადაიღებს.

ტური გაკრტამ ღორის დინგის გახვრეტა და მავთულის გაყრა, რომ მიწა ვერ ამოთხაროს.

ტულუშ ქურკლის საკეთებელი თიხა. ტულუში უამ თიხის ქურქელი. ტულუში ზიხაძრამ თიხის ფართობირიანი ბადია.

ტუნჯ იხ. დუნჯ.

ტურლუტუნჯ მსუბუქი ქუის ადამიანზე იტყვიან: ამ ტურლუტუნჯ!

ტურულუმა იხ. სურტულია.

ტუფან აღმური: ქელლი ტუფან გამდის (შდრ. საბა: ტუფონი).

ტყვ გართხმაა გასახმობად ახალ-გატყავებული ტყავის მიწაზე გაუენა და გაკიმვა სართხამ-ზე (იხ. მენტ. ტყავის გართხმა).

ტყელ ბრტყელი. ტყელ ბად ბრტყელი კედ-ით (იხ.) დაწნული ზონარი, მოავლუბდნენ მას აბგის კიდებზე. ტყელ-ტყელ უულაბევ ფიგურ. უშვერი სიტყვები.

ტყიმალ ტყემალი (იხ. მენტ. ტყიმალი). ტყიმალა არ ღირს ფიგურ. უვარგისია, არაფრად არ ვარგა. ტყიმალა ქლიავ ქლიავის ჯიში, ტყემალსა ჰგავს. მისგან არაყს ზღიან. ტყიმალა იხ. ტყიმალა ქლიავ. ტყიმალი ლავაშ ტყემლის ტყლაპი.

ტყირბ ტყირბი (იხ. ტალახამ).

ტყიურაა გარეული. ტყიურა თხილ გარეული თხილი, მაგარი ნაჭუქი აქვს, ბალშიც უდგათ (შდრ. საბა: ტყიურა). ტყიურა ღორ გარეული ღორი.

ტყლაპ რბილი: ტყლაპ ცომ, ტყლაპ ქალმან.

ტყლაპევ ცუდი ხარისხის, თხელი ტყავის ქალამნები (შდრ. ჩუბ., მენტ. ტყლაპი).

ტყუა ტყვია (შდრ. ტყუმა).

ტყუმა იხ. ტყუა.

ტყურობერა ტყვიის სისწრაფით, ძალიან სწრაფად.

## უ

უბარაქათოა უბარაქო.

უგე აი ის. იხ. ოგე.

უგეის იხ. უგე

უგემ აი იმ.

უგემთონ აი იმდენი.

უგემიბე აი იმისთვის, იმიტომ: ფაყ-

ლას ნამ უყუარს, უგემიბე მალ-მალე ჰწყონ.

უგეს იხ. უგე, ოგეს.

უგი იხ. ოგი.

უგის იხ. ოგის.

უგმიბე იხ. უგემიბე.



უგონურ ჯერ კიდევ ბავშვი; მოსულელი.

უგოჭხუბთელ გაუმწვეტებელი, წვერწათლელი.

უგოჭირელ გაუჭრელი.

უდოჭრცხნელ დაურცხვენელი, უსირცხვილი.

უდოჭშლელ დაუშლელი.

უენო უთქმელი.

უზდან ტყეა თვალწუფდენელი ტყე. უზრახნელ უთქმელი, ჩუმი. უზრახნელა უთქმელად, უსიტყვოდ: უზრახნელა მუშუოვს.

უზუბურნიი თევზის ჯიშია.

უზუნდერაი მუსიკის ჰანგი.

უთკუნ დაქეჩაი წელის, ხერხემლის ტკივილის დროს მისი ტკაცუნი.

უქან შემდეგ, მერმე, ბოლოს. ერთვის მიც. და ნათ. ბრუნვის ფორმებს: მიცემას უქან უთხრა.

უქანაყ უქან, უქნისკენ.

უქანახან სულ ბოლოს, ბოლო ხანს: უქანახან სურჭლუბი წრან ჰხრატონ.

უქანახანდელ ბოლონდელი, სულ ბოლო დროინდელი, ნაბოლოვარი.

უქანახენ ის. უქანახან.

უქანგდევი წაკრეფაი უქანგდებით გაკერვა.

უქანი თან, უქან, ზურგიით, ფეხდაფეხ: უქანი ეტარევის.

უქანიან ზურგი; მომავალი: უქანიან მაგარ აქ; უქანიან თუ არ გაჰსენთ, უქანიან არ მამდევს ზურგი მაგარი არა მაქვს ეკონომიურად. უქანიან გაწჭტამ სულ გათავება: კარაქს უქანიან არ გოჭწყუტოთ.

უქანი მანაჟონ გერი, დედის მიერ მოყვანილი შვილი.

უჯანკალთევ ახალუხის უქანა ბოლო კალთები.

უჯუნდ უკუღმა. უკუნდ მოსულაი შობის დროს ბავშვის უკუღმა გამოსევლა.

ულამაი ის. წირწან.

ულაყ მუშა საქონელი, მამალი ცხენი (შდრ. საბა, ჩუბ., მენტ. ულაყი).

ულაყ ცხენ მამალი, დაკოდილი ცხენი.

ულა (ალიაბ.) ის. ბენდამ.

ულფე-ულფე ბავშვის მოფერება თავპირზე ხელის მოსმით.

უმ 1.ხომ; 2. რომ; 3. როცა; 4. უნდა, საქიროა: შენ უმ არ გინდოდა? მე უმ წავალ, შენც მომ! არ უმ თქოს (ის. ჰუმ, ნუმ, რუმ).

უმაი თეძო.

უმბილ უმარილოა სრულიად უმარილო.

უმდილ უმარილოა ის. უმბილ უმარილოა.

უმედ იმედი: უმედ მაქ.

უმზრახ უბარი, უბრად მყოფი; დამდურებული. ძველად პატარძალი უფროსებთან უბრად იყო, რაც პატრიისცემის ნიშნავდა: უწინ ზალ სახლში უმზრახ იყო, ენლა აზრახნიევენ; კაც-დეკაც უმზრახნი (ის. ჯანაშვი. უმძრახ. ჩუბ., მენტ. უმძრახი).

უმზრახოვაი ხუთშაბათ დღეს, აპრილის ბოლო რიცხვებში მამაკაცი დიდილაადრიანად წამოდგება, არავის ხმას არ გასცემს, აიღებს ცულს და მოჭრას დაუპირებს იმ ხეს, რომელიც ნაყოფს არ იხსამს ხოლმე. ამ დროს მას ეტყვიან: „არ დაჭკრო, არ დაჭკრო, დაახმელო“.

უმი ზოლ მენჯის ძვალი.

უმოვწონენელ რომელსაც ჯერ კიდევ არ უწოვია, ან რომელიც არაა მოწოვილი.

უნ (—უნდ—უნდა) უნდა, საჭიროა: წაღვეა უნ.

უნაწილოა ის. შერგულ.

უნდა ის. ჰუნდ.

უნიათოა უმიზნო ადამიანი, რომელსაც არავითარი ნიათ-ი (ის.) არა აქვს.

უნუნდ 1. წისქვილის ქვედა ქვის ნაპირი, სადაც ფქვილი საბოლოოდ წმინდად იფქვება; 2. საფქვილე, სადაც ცვივა ფქვილი.

უნუნაგოა უძარღვო (ცომი, აბრე-შუმის ძაფი): ურუნაგო პარკ.

უპირბანოა პირდაუბანელი.

ურმი კლიეე ურმის ხელნები, რაც აკეთებენ ულესა და ჩარდახ-ს (ის.). ურმი თოფ ურმის თვალი. აკეთებდნენ სახლში. ძველად ურმის ერთ თვალს ჰქონდა 8 სოლი და 4 ფერსო.

ურუს რუსი. ურუსი ქობ პატარა, ორი „ყური“ თხელი სპილენძის ქვაბი თავისივე სახურავით. ურუსი აბაჯ ერთი მისხალი: უწინ იტყოდნენ: ურუსი აბაჯ ერთ მისხალია. ურუსი არ-შუნ ქსოვილის საზომი. ადლზე მოკლეა, ახლანდელი მეტრის ტოლია.

ურცხუნარ უსირცხვილო.

ურწან (ალაბ.) 1. უშობელი, უზვი საქონელი (ის. საბა, ჯანაშვი., ჩუბ., შდრ. მენტ. ურწანი); 2. გადატ. ადამიანი, რომელსაც შეილი არ ყავს (კაციც და ქალიც).

უსტაა ოსტატი, ხელოსანი.

უსურ-ბუსურ წარა-მარა: უსურ-ბუსურ ნუ ჰკამთ.

უსურვაჯ გარეული ვაზი, მისი ტოტებისაგან გრეხენ თოკს (ის. საბა, ჩუბ. უსურვაზი).

უსულაშუნევეს ფიგურ. კოკისპირულად წვიმს, დიდი ხმაურით წვიმს.

უსეაო ურქო (ვაზი).

უსულურ-ჩულურ ოღრო-ჩოღრო: ჩონ შინ მიწა უღ ურ-ჩ უღ ურ ი.

უსეაწულაო უშვილო: უსეაწულაო დედაკაც არ მინდ.

უსეკოა ბურლი: უსეკოათი ხეს ჰკრატონ.

უსეარიაა ის. მარიაამა.

უსეაწურელ ჩაუქდევებელი.

უსეულ ტუჩზე, ბაგეზე გამონაყარი გაციების ან შიმშილობის შედეგად.

უსეურ ტაპარაა-ს (ის.) თამაშის პირველი საფეხური: დანის ან კალმის-ტრის სამკერ ქვევიდან ზევით შემოქნევით მიწაში ჩასობა. ამ თამაშის დამთავრების ბოლოს გასული კი უსეურ-ია.

უსეან უცუნა, ძირნაყოფაა, ხახვის ბოლქვივით ნაყოფი აქვს, შხამიანია. ძალღების და ნადირის მოსაშხამავად ხმარობდნენ. ადამიანს წყევლით ეუბნებიან: „უსეან ჰამ“.

უსეან დროზე ის. ზრლ დროზე.

უსეაშარევეს გლუვეს სწორს ხდის, აშალაშინებს: ვარცხლი თავევეს უჰამ უარევედ ენ.

უსე! შორისდ. ტკივილის გრძნობის გამომხატველი: უვ. ეკალ შემერკო!

უსეაოა უთო. ძველად ქაფრის მსგავსი რკინა იყო, აცხელებდნენ ნალვერ-დალზე და აუთოებდნენ.

უსეაშამ ის. ისარი.

ფათავა (მრ. ფათავავე) წვივებზე შემოსახევევი, ბაწრით ნაქსოვი ზოლივით ლენტი, კაცები ზამთარში შემოიხვევდნენ ხოლმე მუხლებზე.

ფათათურ ხელთათმანი.

ფათა 1. ბელი: დათი ფათა; 2. თათი, ფეხი.

ფათალ ის. ფათამ. ფათალ მოგდევამ ჭიდაობის დროს ფეხის გამოკვრა.

ფათახ ის. ფათალ.

ფაიზ შემოდგომა. ფაიზი მატყლ შემოდგომის მატყლი, კარგი მატყლია. ფაიზი კოტოშ 1. შემოდგომისას დათესილი კოტოშ-ი (ის.), რომელიც მომწიფებას ვედარ ასწრებს. თესლები გულში არა აქვს, ცარიელია; 2. გადატ. უჭკულო აღამიანზე იტყვიან: ფაიზი კოტოში, ჰეჩრამ არ იცის.

ფალ საბუღარში მუღმივად არსებული ლაყე კვერცი: ფალ არ ამამლო; ბეჭის ძვალი. ფალ დახედნა (ფალ ხედავს, ფალ დაჰხედა, ფალ დოუხედნო, ფალ დანახედნ). მკითხაობა (ის. საბა: ფალი).

ფალაბახან მკითხავი.

ფალან ვირის კურტანი (ის. მენთ., ჩუბ. პალანი, ფალანი; შდრ. საბა: პალანი); ტვირთი: ვირიზე ფალან ანაკიდევი; აპკიდეს; გადატ. უშნო, ცუდი ტანსაცმელი. ფალან ყაიხ კერვის სახემგვარად ალიანდაგებენ მაჯებს, კისერს.

ფალანქა სპილენძის ფლავის საწურ-რი (ის. მენთ. თუშფალანგი).

ფალასა 1. ფრთებჩამოყრილი ფრინველი; 2. გრძელკალთებიანი, ვი-

საც ჩამოთრეულკალთებიანი კაბა აცვია.

ფამფალაკ ხის გუთნის ნაწილი, რომელიც გაყრილია ღირღიტობაში (ის.), ზედ დევს სასტული (ის.), რახედაც ვირილია (ის.) დადებული და დამაგრებული. მისი მეორე ბოლო მიმაგრებულია შოლტკავზე (ის. საბა, მენთ. ფამფალაკი).

ფანფალაკ ის. ფამფალაკ.

ფანხლიან ხშირი დატოტვილი, მრავალშტოედი.

ფანჯაცამ ბუმბერაზი, უზარმაზარი, ღიდი (ბაეშვის ენაზე).

ფამ წილი, კერძი.

ფამდაამ ხეირი, სარგებლიანობა: მაგივნი რამ ფამდაამ მაქა (ის. მენთ. ფაიდა).

ფარ ის. ცუცქულუ ფარ.

ფარაქალ ვინმეს სახელზე ცალკე შესრულებული საქმე. მაგ., აბრეშუმის ქიას ბაეშვის ან წმინდანის სახელზე გარკვეულ რაოდენობას ცალკე კვებავენ, მის პარკსაც მათ ახმარდნენ: ნამცრუვ ქიათი ანმორიზა დროითივ ჰვენდნენ ფარაქალს ყმაწულებივ ან წმინდა გიორგივ სახელზე.

ფარალათ თავისუფალი, მოცილილი: ფარალათ ქნაში მასლრვარ თქონსა.

ფარაშ 1. ნაადრევი, ადრეული (ფარაშ სამკალ, ფარაშ ქერ, ფარაშ მამბალი); 2. გერი შვილი მამისა. ფარაშ მამბალ მალე მოსაგებ მაკე საქონელზე იტყვიან: „ფარაშ მამბალი“, „მალე დაზოლი“.

**ფარახაზა** ძროხის ფაშვის შიგნითა კანი.

**ფარგალ** 1. ხისგან გაკეთებული, დაახლოებით 3, 4 სმ. სიგანისა და წისქვილის ქვის რადიუსის სიგრძის ხელსაწყო; 2. სწორი და მართალი, ქვეიანი და მოხერხებული ადამიანი: ფარგალ კაც. პატა ფარგალ არ ხარი. ფარგალ ოჟალ მდიდარი, ყველაფრის მქონე ოჯახი: ფარგალ ოჟალი შუღს ექონევოდაყ მურყნი წონ. ფარგლით გემოდევამ წისქვილის ქვის უნულ-ის, ანუ საფქულეს ზედაპირის თანასწორობის შემოწმება ფარგალით; შემოფარგვლა: ფერსოს ფარგლით გგმააქონდნენ, მევლან ჰთლიდნენ.

**ფართალ** ოსაწოლი, ქვეშაგებელი. იგივეა, რაც ფართალ-ფალას. ფართალ დაგევამ საწოლის, ქვეშაგებლის გაშლა. ფართალ აკრეფამ გაშლილი ქვეშაგებლის ალებამ, აკეცვამ ფართლი ჰქქ-ში (იხ.): ფართალ აკრიფ! ფართალ აკეცამ, იგივეა, რაც ფართალ აკრეფამ: ფართალ ჰკეცავს. ფართალ-ფალას ქვეშაგებელი და ზედსახურავი: კამ ფართალ-ფალას აქ. ფართლი ჰქქ ძველად საბნების, ჯემების შესანახი ადგილი.

**ფართო ტოტ** მუქასარი-ი (იხ.), რომლის ტოტები დაპლესილია (აკვიათ ქრისტიან მოხუც ინგილო ქალებს): შდრ. „მიწრო ტოტ“.

**ფართო ფარი** ჰრედ წინდის სახე.

**ფართოფთი** ფართოდ, განივრად.

**ფაროამ** ერთ ჯერზე საჩეჩელზე დაჩეჩილი და დასართავად ბრტყლად გამზადებული მატყლის ფარტენა, ორივე ხელში დაქერილს ერთმანეთზე ადებენ და ხელის გულში აბრტყელებენ.

**ფარფაროვამ** (ფარფაროვს, იფარფარა, უფარფარნი, ნაფარფარ) პრიალი, კრიალი: ჟამეკ კორთეში ფარფაროვდნენ.

**ფარღიათ** ფარღალალად: მამულყოფამ ფარღიათი (იხ. საბამ, ჩუბ. ფარღია).

**ფარჩ** სპილენძის წყლის ჰურქელი: პატარა თუნგივითაა, დაახლოებით იტევს ორ ლიტრამდე: აყარზე ჩემდენთ ფარჩ არის, გიამბე მიაცემევარ (შდრ. საბამ, ჩუბ. ფარჩი).

**ფასალიამ** მაქკატი, თხელი და პატარა ლავაშები ერთში გამომცხვარი.

**ფასალიამ** ის. ფასალიამ.

**ფაფაყ** ბეწვიანი ტყავის მაღალი ჰული, ფაფახი, მწყემსებს ახურავთ ჩვეულებრივ, სხვადასხვანაირია: მურლუზ ტყავი ფაფაყ, ბუხარა ფაფაყ, მანზილა ფაფაყ, ნულამ ფაფაყ, შიმ ფაფაყ, წუწლუტ ფაფაყ, დაჰყა ფაფაყ, ტაჰყა ფაფაყ. ფაფაყ-ი ჰქვია მატერიისაგან შეკერილ ჰულსაც.

**ფაფაჩხალამ** 1. თონეზე მიმხმარი თხელი ჰური, რომელიც მიიღება გულის ჩავარდნის შედეგად (იხ. ჰერაქამ). 2. ფლავის ფსკერში შეწითლებული, შემწვარი თხელი ფენა, რომელიც აუცილებლად უნდა ჰქონდეს კარგად გაკეთებულ ფლავს.

**ფაფაჰყელამ** ის. ფაფაჩხალამ.

**ფაფაჰყელამ** ის. ფაფაჩხალამ.

**ფალარათ** ის. ფარალათ.

**ფალირ** 1. ღარიბი, ღატაკი, საცოდავი, საწყალი; 2. წყნარი, მოკრძალებული. **ფალირ-ფულარამ** ღარიბ-ღატაკი.

**ფაყ** (აღიაბ.) ფეხი.

**ფაყაწამ** ზღარბი.

ფაქაწია მოფერებით ამბობენ ლა-  
მაზ და მსუქან ბავშვზე: ერ ფ ა ყ ა წ ი  
რამი.

**ფაყლა** ლობიო. **ფაყლი ჩენჩ ის.**  
ჩენჩ. **ფაყლიან ფლაე** მწვანე ლობიოს  
ნობარშავენ, ჩაპკრიან ხახეს, შეაზავე-  
ბენ მწვანლით, კერცხსაც უზამენ და  
მოათავსებენ ფლავის ქვაბის ფსკერზე,  
და ზემოდან დააყრიან ბრინჯს და დად-  
გამენ ნელ ცეცხლზე. **ფაყლი წონ** ლო-  
ბიოს სუპი.

**ფაშფაშ** (ფაშფაშოვს. იფაშფაშა.  
უფაშფაშნი, ნაფაშფაშ) პარპაში; მსუ-  
ქანი და დიდმუცლიანი ადამიანის ბაჯ-  
ბაჯით სიარული. **ფაშფაშა** დიდმუც-  
ლიანი და მსუქანი ადამიანი, რომელიც  
ბაჯ-ბაჯით დადის (შდრ. მენტ. ფაშფა-  
შა).

**ფაშფუტარი ის.** ფაშფუშ.

**ფაშფუშ** ფაშვი და სხვა შიგნეუ-  
ლობა, ლუზლ-ისა და ფურჯის (ის.)  
გარდა, ყველაფერი. ესენია: ფაშ, ჩო-  
ბალ. სუქან ნაწლიევ, წრულ ნაწლიევ.  
შირდან, ტარბაკ, ჩოყ ანუ ჩონჩხლ.  
აედლი გელინ ჰუჟმაზ: ფაშფუშ  
წაად, კევზე დარეცხ (შდრ. მენტ. ფაშ-  
ფუში).

**ფაჩა** ნაბიჯი (მრ. ფაჩე).

**ფაჩე** 1. ის. ფაჩა; 2. საქალამნე  
პატარა ტყავები, აკრილი მხარ-ბარკლის  
ბოლოებიდან, ცუდი ხარისხისაა, მის-  
გან ბავშვების ქალამნებს აკეთებენ (ის.  
მენტ. ფაჩა).

**ფახარა** საშარდე ბუშტი.

**ფახილ** 1. შურიანი (ის. ფახილო-  
ვა); 2. სპილენძის ქურჭელზე მოკი-  
დებული ნივთიერება: ფახილ ქობში  
არ მოხარაშო.

**ფახილოვა** (ფახილოვს, იფახილა,  
უფახილნი, ნაფახილ) შურიანობა: ჩემ-  
ზე ფ ა ხ ი ლ ო ვ ს.

**ფახლავა** დასირიღევა უჯრა-უჯრა  
დალიდაგება ტანისამოსის სამაჭური-  
სა (ძველად იტოდნენ ასე).

**ფაჩჩა** ფადიშაი, ხელმწიფე.

**ფებრალ** თებერვალი (ის. საბა, ჩუბ.  
ფებერვალი).

**ფეთ ქნა** ჩახარშვა: კორც ქობში  
ფ ე თ ქ ნ ი ლ.

**ფეთირ** საყ-ზე (ის.) გამომცხვარი  
თხელი პური, რომელიც ხშირად აიწ-  
ვება ხოლმე. მას აცხობდნენ შიმში-  
ლობის დროს, როცა ფქვილი ან ფიჩ-  
ხი ცოტა ჰქონდათ. მწყემსები მუდმი-  
ვად ამას აცხობენ (ის. მენტ. ფათირი).  
**ფელა** წინწამობრილი რქებიანი  
კამეჩი: ფ ე ლ ა კ ა მ ე ჩ .

**ფენუა** კელეულების რაოდენობის  
გამოსახატავად იხმარება, 5 ათეულ-ი,  
ანუ 50 კელეული ერთი ფენუა. ურემ-  
ზე ფენუობით აწყობენ და მიაქვთ კა-  
ლოზე: ორ ფ ე ნ უ ა მ ე რ უ რ ე მ ი . ფენ-  
უას აწყობენ პურისას, ქერისას, ბალა-  
ხისას.

**ფენუარა** 1. ფანჯარა; 2. საარქმელი,  
სინათლის შესასვლელი ძველებური  
სახლის სახურავზე ან კედელში.

**ფეიქან** ის. შუღლ.

**ფერად** სხვადასხვაფერად შეღები-  
ლი ბაწარი ან კედ-ი (ის.): ერ წყულ  
წინდი ფერად (ის. საბა, ჩუბ. ფერადი).

**ფერად** 1. ფარდა კარ-ფანჯრისა,  
შირმა. 2. ხორცის აპკი, თხელი კანი:  
კ ო რ ც ი ფ ე რ ა დ ა .

**ფერვანა** ფარვანა (ის. ჩუბ. ფარვა-  
ნა). **ფერვანასივი** მარდად, მკვირცხ-  
ლად: ფ ე რ ვ ა ნ ა ს ი ვ ი ტ რ ი ა ლ ო ვ ს .

ფეხ (მრ. ფეყეყ) ის. ფაყ. ფეყ მონაჩაი ფეხის მოტეხა. ფეყ გაწადა 1. (ფეყ იწაღს, ფეყ გაწადა, ფეყ ჯაღწაღს, ფეყ განაწაღ) ფეხის გაწაღა, გაწაღათვა. 2. გადატ. გატოლება: ჩემთან ფეყ იწაღს (ის. მენთ. ფეყის გაწაღამა). ფეყ ფათათაი ქათამი, რომელსაც ფეხებზე ბუმბული აქვს. ფეყ დადგომამა გაჩერება: ფეყ არ მიღგევის. ფეყ არ დადგომამა სულ სიარული და მუშაობა: ზაღლი ფეყ დგევის, ჩემ ფეყ არ. ფეყმონომამა იტყვიან, როცა ვინმეს მოსვლა ოჯახს კარგად აუხლებს: ჩემ ფეყ მათუნდაყ. ფეყ მიწაზე მოკრამა გაცემა, გაკვირება, სახტად დარჩენა: მაგი ოინეგ თუ დადნახ, ფეყ მიწაზე მეგეკროვის. ფეყუდადგომელ დიდ სუფრაზე ხალხის მსახური, მიმტან-მომტანი. ფეყი დინგ ბრინჯის საცეხველი, რომელიც ფეხით მოჰყავთ მოძრაობაში. მასში ნაყავენ ნიგოზს, წიწაყას (ის. დინგ).

ფეყსმოზ ფეხსაცმელი.

ფეყსმუზ ის. ფეყსმოზ.

ფეყსომოზ ის. ფეყსმოზ.

ფეყსუმუზ ის. ფეყსმოზ.

ფეყფეყზე მიცემაა ჰობრში ჩადგობა.

ფეყშლაი ფეხშიშველი.

ფეყშშლაი ის. ფეყშლაი.

ფეშაქარ მწყემსი, რომელიც ყოველთვის ცხვარშია.

ფეშმან ის. ფოხფუშმან, ფუშმან.

ფეშმნოვაი ის. ფუშმნოვაი.

ფეყსმოზ ის. ფეყსმოზ.

ფეყსმოს ის. ფეყსმოზ.

ფეყსმუზ ის. ფეყსმოზ.

ფეყსომოზ ის. ფეყსმოზ.

ფეყსუმუზ ის. ფეყსმოზ.

ფეკ ქენ! ეტყვიან მეწველ საქონელს, როცა წველის დროს ფეხს გადადგამს წინ და დაეფარება ძუძუებს.

ფეკშიშლაი ის. ფეყშლაი.

ფეკშლაი ის. ფეყშლაი.

ფიადა ფეხით: ფიადა მოვდა.

ფიადა ფაყლაი დაბალი ლობიო, რომელიც ჩკალს (ის.) არ იღებს.

ფიალაი ხის ღარი, საიდანაც წისქვილს მარცვალი ეძლევა დასაფქვავად. დაკიდებულია ვარცხლზე (ის.) თასმით. ვარცხლ-იდან ხორბალი ცვივა ფიალაში, აქედან კი — ცუტქულუ ყელში (ის.) (მღრ. საბა, ჩუბ. ფიალი, მენთ. ფიალა). ფიალაი კიდ ის. კარკარამ კიდ.

ფიაი ცხელი შექამანდი ბავშვის ენაზე (მღრ. საბა, ჩუბ., ის. მენთ. ფია).

ფილთაბიდ ვისაც გრძელი და განიერი უღვაშები აქვს.

ფილთაი 1. ფითილი, დაგრებილი პატრუქი ლამფაში ჩასადები (ის. ჩუბ. ფილთა, მღრ. მენთ. ფილთა); კარკატან-ის (ის.) შეგრებილი ფითილი თოფისათვის (ის. საბა ფითილა); 2. თოვლის მსხვილი ფიფქი: ფილთა-ფილთა თოვლოვს.

ფინ ფინთი, ცუდი, უვარგისი, ავი, ბრაზიანი.

ფინთ ის. ფინ.

ფინთოლიან ავთვალთან.

ფიი საქონლის მუცლის ქონი და თხის ქონი.

ფიი გუნდამ ძალიან მსუქანი: ფიი გუნდამს ეაზან.

ფიი კორ თეფშივით მრგვალად გაყინული თხის ქონი.

**ფირფიტოა** 1. ხანა-ს (იხ.) ნაწილი; 4 თითის სიგანის ფიკარია, რომელიც იცავს ძაფს გადახლართვისაგან; პატარა ფიკარი ხისა ზედ კედ-ის (იხ.) დასახვევად (იხ. ჩუბ. ფირფიტა); 2. ბაღების (იხ.). საქსოვი მოწყობილობა: ორი ოთხი თითის სიგანის თხელი ფიკრებია, თითოეულს ოთხ-ოთხი ხვრელი აქვს, სადაც ძაფები ეყრება. ამით დაწნული ზონარი ახალუხზე, მუქასარზე ინმარება გასაწყობად.

**ფირფიტოა** ბაღ ფირფიტო-ს (იხ.) ბაღ-ი (იხ.).

**ფიტ** ფუტკრის მიერ უჯრებად გაკეთებული თაფლის ჩასასხმელი ფიჭა (შდრ. საბა, ჩუბ., მენტ. ფიტი).

**ფიტია** ქოთანში გაკეთებული საქმელი: ხორცი და ლობიო შეზავებული მწვანილით, წვნიანად მოხარშული. ერთი ქოთანი ერთის კერძია.

**ფიფია** იარა, გაჭრილი, დამწვარი და საერთოდ მტკივნეული ადგილი ბავშვის ენაზე. **ფიფია** ქნა ატკივება, ავად გახდომა ბავშვის ენაზე: დედა ფიფია ქნის.

**ფიქირ ქნა** (ფიქირ ჩედის, ფიქირ ქნა, ფიქირ უქნი, ფიქირ ნაქნარ) მნიშვნელობის მიცემა, ყურადღების მიქცევა, დარდი: ერდენა ფიქირ არ ქნა.

**ფიჩოჩხ** დაბალ ბუჩქად იზრდება, მრავალტოტიანი, წვრილფოთლებიანი ხეა. მას ორ-სამს ერთად მოჭრიან, შეკარავენ და ეზოს დასაგველ ან კალოს მოსაგველ ცოცხს გააკეთებენ (შდრ. მენტ. ფიჩოჩხი). **ფიჩოჩხი** ჟავ ფიჩოჩხის ჟავ-ი (იხ.) (შდრ. განმ. ლ.).

**ფიწალ** (აღ.) იხ. აბაბა.

**ფოთლევიან წინდა** წინდის სახე, რომელშიც ფოთლია ამოქსოვილი (იხ. მენტ. ფოთლიანი ვარდის ქრელი). **ფოთლი ზურგ** ფოთლის მეორე მხარე.

**ფოთლივი მაცხრტევეს** ფოთლივით მაცხრტევეს (იხ. დაცხრტევეა).

**ფორ ობი.** **ფორ მოგღვეა** ფორ-ის მოკიდება: პურს ერ ტკეველზე ფორ მოტეღი. **ფორიან** ობიანი, ობმოკიდებული: ფორიან პურ.

**ფორმა** მსგავსი, მსგავსად, ნარი. ნაირად: ჩემ ფორმა რამში.

**ფოყოწა** დიდი, უზარმაზარი:

ფოყოწა ქლიავ ჩემი.

**ფოხოხა** 1. დიდრონი, გაბერილი წიწკა: ფოხოხა პირპილ; მსხვილი კიტრი, რომელსაც გული არა აქვს. 2. გააბტ. გაბერილ და არაჯანმრთელ ადამიანზე იტყვიან.

**ფოხრუტა** იხ. ფოხოხა.

**ფოხუნა** იხ. ფოხოხა.

**ფოხფუშმან** დანადგლიანებული, დანადგლიანებული: ფოხფუშმან დაბრუნდა შინ.

**ფტტჷ** ფეტვის ყანა და მისი ჯეჯილი.

**ფრაყუნ** (ფრაყუნოს, იფრაყუნა, უფრაყუნნი, ნაფრაყუნ) მაგარი, ხმელი ქალაღდის ან ტყავის ხმაური: ქერი ფქულით აშლამიშ ნაქნარ ტყავ ფრაყუნოსყ.

**ფრაყუნა** თახთახა ქალაღდი ან ტყავი.

**ფრიალა** ტაპარაღ-ს (იხ.) თამამის მესამე საფეხური: ორ თითში დაიჭერენ დანას წვერის მხრიდან და შემოქნევით დაასობენ მიწაში.

ფრინუი ლაგან ის. ყუთრლ ლაგან.  
ფრუტ ფუტურო, დამპალი ხე:  
ფ რ უ ტ ხეში მატლევ კეპტევეყ (შდრ.  
საბა, ჩუბ. ფრუტი).

ფსელ დაჭერევა მოშარდვის შეწ-  
ყეტი ა. დამიანს ემართება მძიმე ტვირ-  
თის აწევის, სიცხისა და შიშის გამო.  
ფსელ შანახა შარდის შეკავება: ფ ს ე ლ  
ი ნ ა ხ ა ვ ს.

ფულან სიტყვის მასალაა — „მავა-  
ნი“. ფ უ ლ ა ნ კაცმა ფ უ ლ ა ნ დროზე  
ფ უ ლ ა ნ ხაბარ თქო (იხ. მენტ. ფლა-  
ნი). მნიშვნელობის გაძლიერებისათვის  
გაორკეცებული იხმარება: ფულან-ფუ-  
ლან: ფულან-ფულან კაცმა ფულან-  
ფულან დროზე ფულან-ფულან ხაბრეც  
ნაღა.

ფუნე 1. კარტოფილის, ხახვის, ნივ-  
რის ფესვები; 2. თავსაფრის, მაგიდის  
გადსაფარებლის ფუნჯი, ფოჩი.

ფუნტარ ფხვიერი. ფუნტარ ნოხ  
ფხვიერი ნაკელი. ასეთი ჩვეულებრივ  
მხოლოდ ზრლნოხ-ია (იხ.). ფუნტარ  
მიწა ფხვიერი მიწა, რომელშიც კარგი  
მოსავალი მოდის ხოლმე.

ფურ დედალი, მეწველი ძროხა:  
ფ უ რ ჰწოლავს (იხ. საბა, ჩუბ. ფური).  
ფური ქონა ძროხის ერბოსფერიანი,  
კრემის ფერი (ნაჭერზე ან ლობიოზე  
ამბობენ). ფური ფსელაა იხ. ეგრი-უბ-  
რი. ფურკამმეჩ მეწველი კამეჩი.

ფურსუყ მაჩეი

ფურცელ აბრეშუმის ჰიის საკვები,  
თუთის ფოთოლი: ჰიაძბე ფ უ რ ც ე ლ  
მაღეველა წასულ (იხ. მენტ. ფურცე-  
ლი).

ფურცელი სახეა წინდის სახე, შიგ  
ამოქსოვილია აბრეშუმის ჰიის საკვები  
ფურცელი.

ფურცლოვან აბრეშუმის ჰიის საკ-  
ვები ფურცლის მოსატანად წასვლა.

ფუსტარ ის. ფულან (შდრ. მენტ.  
ფსტანი).

ფუსტუყ გაპუტყუნებული, მსუქა-  
ნი, ფუნჩულა: ფ უ ს ტ უ ყ ყმაწულ აქ  
(შდრ. ჩუბ. ფუსტული).

ფუტკარ: ფუტკარ აკლაა თაფლის  
გამოღება: რაფომ ფ უ ტ კ ა რ ა ჰკა-  
და. ფუტკარ დაჭერაა ფუტკრების გე-  
ჯიდან გამოსვლისას მათი ახლოს და  
დაბლა შეგროვება ზარის დარეკვითა  
და წყლის შესხმით; ტყიდან მოყვანა  
ფუტკრისა (თუ ხის ფულუროში სადმე  
წააწყდებოდნენ ფუტკარს, მას მოსჭ-  
რიდნენ და ეხოში მოიტანდნენ). ფუტ-  
კარ ვეჩაა მიცემაა ფუტკრის ნაყარის  
გაყოფა, ახალი ოჯახის შექმნა: ფ უ ტ-  
კ ა რ ვ ე ჩ ა ა ა ხ ლ ე ვ ს. ფუტკრი  
თოლ ფუტკრის ერთი ოჯახი, გეჯა. ფუტ-  
კრი გეჟ ის. ფუტკრი თოლ. ფუტკრი  
გეჟში ყიტ წაცემაა გადატ. გაბრაზება,  
გალიზიანება. ფუტკრი ვეჩაა ფუტკრის  
ნაყარი, ახალი ოჯახი. ფუტკრი ვირ მა-  
მალი ფუტკრები, რომელთაც ზამთარში  
დედა ფუტკრები ხოცავენ, რომ თაფლი  
არ ჰამონ. ფუტკრი დედაა ფუტკრების  
ოჯახის უფროსი, წითელი ფერის მოგ-  
როო ფუტკარია, უმისოდ ოჯახი ილუ-  
პება (იხ. მენტ. ფუტკრი დედა).

ფუფაა ის. ბეიტ.

ფუფუნაა წვრილი და მონაცრისფე-  
რო ქათმის მებენარი, ხშირად თვალით  
დანახეაჰ ჰირს: ჰათმევეს ფ უ ფ უ ნ ა ა  
აჰხენი.

ფულარაა ფუნარა, ღარიბი.

ფუშ თიქარი (იხ. საბა, ჩუბ., მენტ.  
ფუში). ფუშ ჩემოსულაა თიქარის გა-



ჩენა, ჩამოწევა ქვევით. ფუშ ჩამნასულ თიაქრიანი.

**ფუშმან** დაწუნბრებული, ნალვლია-ნი. დარდინი: ფუშმანი ეის წინ. ის. ფოხფუშმანი.

**ფუშმნოვა** (ფუშმნოვს, იფუშმნა, უფუშმნი, ნაფუშმანე) დარდი, სინანული: ყმაწულ დატრა, მევდან ფუშმნოვს.

**ფუშრუკ** ფქვილისაგან გაკეთებული საქმელია: გაცილ ფქვილზე მოასხამდნენ წყალს წვეთებად და ერთმანეთში აურევდნენ, ასრესდნენ, აფურუკავდნენ ისე, რომ ცომი არ გამოსულიყო, შემდეგ მდულარე წყალში ჩაყრიდნენ ერთი მუჭით, მეორე ხელში კი ეპირათ ჩომჩაჲ (ის.) ან ხის კოვზი და მოურევდნენ. რქეში მოხარშულს ზიან ფუშრუკ-ი ერქვა, ერბომოსნაჲულს — ქონიან ფუშრუკ-ი. ვისაც ფქვილი ბევრი ჰქონდა, სქელს გააკეთებდა, ცოტა ფქვილის პატრონი კი თხელს გააკეთებდა და თან შიგ ჩაყრიდა ლობიოსაც (ის. აფურუკულ, საბა, ჩუბ. ფუშრუკი: მენთ., ფურუკვა).

**ფუშტა** 1. წისქვილის შენობის ზემოთ მიწით ამალღებული ადგილი, სადაც რუსხმულია. წყალი სისწრაფით მოდის და ეცემა წისქვილის ღერძის საბრუნებელ ფარ-ს (ის.). მის ნაპირებ-

ში დარგულია ხეები, რომ წყალმა არ წალეკოს მიწა: ცუცქულუ ფუშტაჲ წყალს ჩოტნგრევი (შდრ. საბა: ფშა, ის. ჩუბ. რუსხმული); 2. დახრილი, ფერდობი მიწა: თამრონთმა ფუშტა-ში მენაქ ჩაყარეს.

**ფუჩ** 1. უგულო თხილი, კაკალი: ფუჩ თხილ იყო (ის. საბა, ჩუბ. ფუქი); 2. წამხდარი: მაგი საქმეჲ ფუჩი. ფუჲა ის. ფიამ.

**ფურტ** ფილტვი.  
**ფურტა** ერთგვარი შინდის ჯიშია. პატარა და მოგრძო კურკიანი: ფურტა შუნდ.

**ფქულ** განევაჲ წისქვილში ქერა ტრიალის დროს შექმნილი ნიავის ძალით ფქვილის გადაყრა გვერდზე.

**ფშინი-ფშინი** ფშინვით.  
**ფხიტ** ცქეტი, ყურმახვილი, ყოჩალი, მარჯვე. ფხიტ ყმაწულ (ის. მენთ. ფხიტი).

**ფხიტოვა** ის. ზრინგოვა.  
**ფხლანკუნ** (ფხლანკუნოვს, იფხლანკუნა, უფხლანკუნნი, ნაფხლანკუნ) ფართხალი: ჭიაჲ ფეყქრ ფხლანკუნოვს.

**ფხლანკუნოვა** ის. ფხლანკუნ.  
**ფხრენჯავს** ის. გაფხრენჯავს, დაფხრენჯავს; „თავისყენ ფხრენჯავს“ — თავისკენ ეზიდება, ექაჩება.

ჰ

**ჰარავა** ბალ ყვითელი ფერის მსხვილი ბლის ჯიშია.

**ჰარავა** ჰარეჲ, მძიკ-ჰათაჲ ჰადა.  
**ჰათამ**: ჰათამ არ გაცივდეს კვერცხის-მღებელმა ჰათამმა კვერცხის ღება რომ

არ შეწყვიტოს, ბუღეში მუღმივად ერთი კვერცხი უდევს. ცარიელი ბუღე თუ დახვდა ჰათამს, იტყვიან „ჰათამ გაცივდევ, კორცხ არ დაადოვს“. ჰათმი ეკალ აყაცია, ზედ მამლის ღეზბივით ეკლები ასხია. ჰათმი ჰკოჲ გადატ. სუ-

ლელის, ჩერჩეტის ჰკუა: მაგა ქათმი  
ჰკოა აქ. ქათმი ჰკილაა წინდის სახეა.  
რომელშიც ჩაქსოვილია ქათმის ფეხის  
ბრჭყალეების სახეები. ქათმიან ფლავ  
მონარშული ქათმის წვეწმინდა გაკეთებუ-  
ლი ფლავი. ქათმიზე დანაკარ პური სა-  
ახალწლოდ ქათმის სახელზე თონეში  
გამომცხვარი პური, ქათმის ფეხის ფო-  
რმისაა. ქათმი წონ მისატანებელია: მო-  
შუშავენ ქათამსა და ხახვს, უზამენ  
ქინძს, შეაზავენ, ჩაყრიან წაბლსაც,  
შიგ წვენი უნდა ჰქონდეს ხორცის და-  
წონ (იხ.) მოსხმული ფლავი: დაქრიან  
ხახვს, გოგრას, მწვანეხალს, ჩაყრიან ქვა-  
ბში, ცოტა ბრინჯსაც აურევენ, დაად-  
გამენ ცეცხლზე, ოდნავ მოშუშავენ და  
გადმოდგამენ ისევ, ჩაყრიან ვარცხილ  
ბრინჯს, დაასხამენ ზომავზე მარილიან  
წყალს და ნელა აადულებენ, სანამ არ  
მოინარშება ბრინჯი და წვენი არ დაიშ-  
რობს, ბრინჯი ისევ მთელ-მთელი უნდა  
იყოს, აზელილი არ ვარგა. როცა მოი-  
ხარშება, გადმოდგამენ, შეაციებენ მის  
ფსკერს, მერმე თეფშებში ქაფქირ-ით  
(იხ.) ამოიღებენ, ზევიდან ერბოს ნაც-  
ვლად ქათმი წონ-ს (იხ.) მოასხამენ და  
ნაჭრებს დაადებენ ზედ.

ქალ გოგო, ქალიშვილი გათხოვე-  
ბამდე. „ქალი თუ გადაა“ — ეკითხე-  
ბიან ხოლმე ბავშვის გაჩენისას (მდრ.  
დეკაც). ქალ თაფთაა ზოგადად ქალი,  
დედრობითის წარმომადგენელი: უწინ  
ქალ თაფთაა მარტოკა წყალზე არ  
გოვდიდაყ.

ქალამ კომბოსტო.

ქალაქუაა ქალური ყოფა-ქცევის,  
სულ გოგოებში მოთამაშე, მოამხანაგე  
ბიჭი, ქალაჩუნა, გოგობიჭა (იხ. მენტ.  
ქალაქუა).

ქალაქუვაა იხ. ქალაქუაა.

ქალიმბაღ ქალამნების ფეხზე დასა-  
მაგრებელი ერთფერი ბაწრით დაწნუ-  
ლი და ბოლოებფორიანი (ზოგჯერ ამ  
ფორებზე წვრილი მძივი იყო ასხმუ-  
ლი), თოკი, ზონარი. გასათხოვარი ქა-  
ლის მზითვეში აუცილებელი იყო მისი  
გამზადება. ახალგაზრდებისათვის ამ-  
ზადებდნენ კაპარაშ (იხ.), ყუთოლ ბაწ-  
რით, ხოლო მოხუცებისათვის წითელი  
ბაწრით: ქალიმბაღს წნონ წითელ,  
კაპარაშ, ყუთოლ ბაწრით. ქალიმბაღი ხედა  
სამტოტა, დაახლოებით 70 სმ. სიგრძის  
შინდის ჯოხი, რაზედაც ქსელავენ ქა-  
ლიმბაღ-ს.

ქალიშ ბალახია, სიმინდებში ამო-  
დის, ძნელი გასარჩევია ახლადამოსუ-  
ლი სიმინდისაგან, საქონელს მისი მო-  
ნელება უჭირს, ზოგჯერ კლავს კიდე-  
ვაც. მისი ფორის ნაპირები ბასრია, ჭრის  
კანს.

ქალმან შაქნაა ქალამნის შეკერვა:  
საქალამნეს ფხევენ, თმებს აცლიან,  
ალბობენ წყალში, გამოჭრიან, დახვრე-  
ტენ და შემდეგ ღრდ-ით (იხ.) შეკერა-  
ვენ. მისი კერვის მიხედვით გაირჩევა  
ყოხუე ქალმევე, შაარულ ქალ-  
მევე, ჩონებრა ქალმევე.

ქალში კოპ ქალამნის გვერდითი და  
უკან ქუსლთან არსებული პეტლი ღვე-  
დით შეკრებილი, სადაც გაუყრიან ქა-  
ლიმბაღ-ს (იხ.).

ქალიმბაღ იხ. ქალიმბაღ.

ქალიმბაღი ხედა იხ. ქალიმბაღი ხედა.

ქამანჩაა იხ. ჩალანაა.

ქამლამიშ ქნაა ცხვრის ავადმყოფო-  
ბა, ამ დროს იგი თავჩაიკიდებული და-  
დის, ქამა არ უნდა. მაშინ იცინ ტუჩის  
დადაღვა.

ქამრიან პარკ ის. სარტყელიან პარკ.  
ქან სახლის ბოძების, სვეტების და-  
საყრდენი ბრტყელი კოჭი, ღირე, ზედ  
აწყობდნენ ძველად ლაგან-პაფტოფას  
(ის.), წალდს, საბელს და სხვა ნი-  
თებს (ის. მენტ. ქანი); კარის ქვედა ნა-  
წილი, ჩარჩოს ქვედა მხარე: კარი ქან-  
ზე ტალახიან ფეყევი ნუ დგევ (ის. კა-  
რი ქან).

ქანოვ-ქანოვ თავშეუკავებელი, გა-  
ქანებით სიარული; მთვრალის სიარუ-  
ლი.

ქაი ვაზის რქა, რტო: ზროხამ ვაზი  
ქაი დაკნუტა. სამამულლო ქაი ვაზის  
თავრიალ დაყენევიდან (ის.) ინახვენ  
სამამულლო ქას და ნეკ ქას (ის.):  
სამამულლო ქაი მომავალ წელს  
ამოიყრის რტოებს და მოსავალსაც მოგ-  
ცემს (ის. მენტ. სამამულე რქა).

ქარ ქნაი ზეგავლენა, დაკლება,  
ძლევა: წამალმა ქარ არ უყო.

ქარ-ქულაგ ნიავე-ქარი: აკუშკამ გა-  
ალ, ქარ-ქულაგ შომოვდეს.

ქარა ცხორ ცხვარი უყურო და ყრუ  
(ის. საბა: ქარა); ადამიანზედაც ამბო-  
ბენ, რომელიც ყრუსავით იქცევა: „ქა-  
რ ა-ქარაი რამევე ნუ ჰჩედა“.

ქარსავ თავქარიანი, შტერი. ქარსავ-  
ქარსავ თავქარიანული, შტერული.

ქარტაშ ის. სიბ ქუთა.

ქარქარ (ქარქაროვს, იქარქარა,  
უქარქარანი, ნაქარქარ) ყბედობა, მი-  
ქარვა: რა ქარქაროვა (ის. კარკარ).

ქარქარაი ყბედი (ის. კარკარაი).

ქაუზაი წყლი დინგის (ის.) კლაე-ზე  
(ის.) აცმული კბილანა და ცილინდრუ-  
ლი რკინა, რომელიც ცეხავს ჩალოთქს-  
(ის.), ქერს.

ქაფაქ ქატო, ფქვილის გაცრის შემ-  
დეგ საცერში დარჩენილი მსხვილი  
ფქვილი და მარცვლეულის ქერქები. მას  
ფქულუ ქაფაქსაც უწოდებენ ხი ქაფაქ-  
ისაგან გასარჩევად.

ქაფტარ აფთარი.

ქაფტრა მოქცევა (ქაფტრა ინქცე-  
ვის, ქაფტრა მამნქცივა, ქაფტრა მონ-  
ქციულ, ქაფტრა მანანქციე) ძილის არ  
მოსვლა, უძილოდ ყოფნა: დილამდინ  
არ მეზინა, ქაფტრა მოქციეუ-  
ლუ ყავ.

ქაქოთ მთის ყვავილოვანი ბალახი.  
ქაშან მახმურ სქელი ხავერდი, იმის-  
გან ლაბადა-ს (ის.) იკერავენ.

ქაჩალ ქაჩალი, მელოტი (ის. კეკ-  
რუხ).

ქაჩალ ქერქაშ არწივივით მტაცებე-  
ლი ფრინველია.

ქაცვატ გახუნებული, უფერული,  
ფერწასული (ის. საბა, ჩუბ. ქარცი).

ქაცაც (ქაცქაცოვს, იქაცქაცა, უქაც-  
ქაცი, ნაქაცქაც) ბარბაცი ულონობისა-  
გან, ძალაგამოლეულის, დაქანცულისან  
შიმშილისაგან გამოწვეული უსწორ-  
მასწორო, უწონასწორო სიარული (ის.  
მენტ. ქაცუცელა).

ქაცქაც-ქაცქაც ბარბაციით, წანწა-  
ლით: ამქაცქაცქაცქაცქაც ეტარე-  
ვოდა, ლოკმა მინაცემ არ იყო.

ქაჭტაი ცილინდრული ხის ჭურჭე-  
ლი, იტევს 12 ბაკანს = 10 ვედროს. ამით  
მწყემსები რძეს გამორწყავენ ხოლმე.

ქებ 1. რქა (მრ. ქებევი); 2. საძირ-  
კველი, საფუძველი სახლისა. ქებ მოთ-  
ხრაი სახლის საძირკვლის ამოთხრა.  
ქებ ჩადგმაი სახლის საძირკველის ჩაყ-  
რა, ამოშენება.

ქებევია 1. რქიანი: ქებევია ნ ყოჩ; 2. წინდის სახე, რომელშიც რქე-ბია ჩაქსოვილი.

ქვრ ქვევრი. ქვრე მარანი, სადაც ბევრი ქვევრია. ქვრი თორნეა ქვევრის თონე: გატეხილ ქვევრს ფსკერსა და ნაპირს მოაჭრიან მრგვლად და ფართო ნაწილს ჩადგამენ მიწაში. ამას სჯობია „მიწი თორნეა“, რადგან მალე ცივდება. ქვრი მიწა იხ. ყუთრლ მიწა. ქვერმარან იხ. ქვერეც.

ქევშან იხ. ნაქადა.

ქეთირგან საზამთრო საძოვრის ბა-ლახი.

ქელახ ქელეხი.

ქელაჲ 1. თავი (თავ-იც იხმარება პარალელურად); 2. თავის ქალა; 3. შა-ქრის თავი, ხახვისა და მისთანების თავი.

ქელფათუნ მარწუხი, გაზი, რითაც იღებენ, აძრობენ ლურსმანს (შდრ. მენტ. ქალფათინი).

ქენდირ არაბაწრის თოკი.

ქერაჲა 1. ნესვის ჯიშია, ქერქი დამსკდარი აქვს ხოლმე ზოლებად, ძა-ლიან ტკბილია; 2. ქერქი ხისა (აღიაბ.).

ქერფათუნ იხ. ქელფათუნ.

ქერქ კაკლის ნორჩი ყლორტის ქე-რქი, ლარტაჲ-ს (იხ.) ქერქი.

ქერქ გაჯლაჲ ლარტაზე (იხ.) ქერქის გაცლა. მას წინა წელს აცლიან, კონე-ბად ახმობენ და მეორე წელს ალბობენ და ისე ხმარობენ (ქერქ კლის, ქერქ გაჲ-კლა, ქერქ გოჭკდი, განაჯად ქერქ): წელს ქერქ არ გამიჯდი.

ქექერდიან ფლავ მსუქანი ღორის ხორცის წვეწში მოხარშული ფლავი.

ქეშკელ სათესი ნაკვეთის გარკვეული რაოდენობა, რომელზედაც ძველად იხ-

დიდნენ 5 ბაკან პურს: ერ ქეშკელ მიწაში ვერ ცხვარავს.

ქეშკელავანდ კერძო საქუთრების დროს ბრინჯის ნათესების მოსარწყავად მიჩენილი კაცი: ჩალთუქ მარწყვლა ქეშკელავანდს იჭერდნენ.

ქეშკელოვანდ იხ. ქეშკელავანდ.

ქეჩა ბარამაჲ „ნაბადა პარკი“, ორი ჭიის მიერ ერთად მოქსოვილი პარკი, უშნოდ, შეთელილადაა ნაქსოვი, სქე-ლიცაა, არ ვარგა ძაფის ამოსახვევად.

ქეჩი ემუჲგ ყურძნის ჯიში, ხეზე ადის, გრძელი მარცვლები აქვს, თეთ-რიც არის და შავი ფერისაც.

ქეჩინჩოჲ იხ. ქიჩინჩოჲ.

ქეჩიჲ თხა. ქეჩიჲ ფიჲ თხის ქონი.

ქეჩიჲ ყილ თხის ბეწვი, მისი ნაპარსი. ქეჩიჲ ყახაჲ თხის ყახაჲ-ი (იხ.). ძალიან თხელი გამოდის; აქედან გადატ. გამხ-დარ ადამიანზე ამბობენ „ქეჩიჲ ყახა-ჲ“ ანდა „დერბენდი ყახაჲ“-ი.

ქეჲრიჲ ჯა, ამოთხრილია ღრმა ორ-მო, რომელშიც ჩაუშვებენ წყალს, რომ ცივი იყოს ან კიდევ თუ მღვრიეა, დაი-ლექოს, შიგ მარილსაც ყრიან, რომ ჭიადუა არ გაუჩნდეს (იხ. საბა: ქაჲრი-ზი).

ქეჲტაჲ იხ. ქაჲტაჲ.

ქითილაჲ 1 ან 2 მტკაველის სიგრ-ძის ფოთლებიანი ნორჩი ტოტი თუთი-სა: ხუთმეტ დღის თავზე ქითილას აზლევენ.

ქილიმ ტილოს დიდი ოთხკუთხედი ნაქსოვი, რომელსაც გაშლიდნენ თუთის ქვეშ ტოტების დასარხვევად.

ქინჯა ბირკ სარეველა, წვრილი მა-რცვლებივით ნაყოფი იცის, რომელიც ერჭობა ყველაფერს (იხ. საბა, ჩუბ. ქინძმანძუკა).

**ქინზი:** ქინზი კეჰეჰე ქინძის ტოტეზა გაკვანძული: სურთულიში ქინზი კეჰეჰე ჩააგდ. ქინზი თახტამ ქინძის დათესილი უჭრა. ქინზი ტორ გამხმარი ქინძი და მერმე დაფშენილი ზამთარში სახმარად.

**ქირდა** მიწა, სადაც ჩალთუქი (ის.) ეთესა, დაყოფილია უჭრებად, რომელთაც მეორე წელს თავიდან მოხვნა არ სჭირდება: ჩალთუქი დანათეს ადგილ ქირდა მს.

**ქირიშ** ლარი ცხერის წვრილი ნაწლავისაგან გაკეთებული.

**ქირიშა** ჯარის ბორბლისა და ძაფსახვევი ტარის დამაკავშირებელი თოკი.

**ქიშიშ** 1. ჰანგის სახე; 2. ქიშიში.

**ქიშიშა** ვაზის ჯიში. კურკები არა აქვს, ბევრს ისხამს და გრძელ მტევნებს იკეთებს, თითო მტევანი დაახლოებით იწონის 2,5 კგ., ტკბილია, მისგან აკეთებენ ქიშიშს (იხ. მენთ. ქიშიშის ყურძენი).

**ქიჩინჩო** მბიბლო.

**ქლუნგ** წერაქვი.

**ქნა** (კეპტევის, იქნა, ქნილ, ნაქნარ) გამოცხობა, მოხარშვა: ფლავ ქნილ ჩემადლ: ქმნა (კეპტევის, უყო, უქნი, ნაქნარ): მაგიბე ქნა არ იქნე ე (იხ. საბა: ქნა); 2. კეთება (ჰჩედის, ქნა, უქნი, ნაქნარ): რა ჰჩე დ ი? 3. ყოფნა (არის, იქნა, ქნილ, ნაქნარ): რა იქნა ექამთი; 4. ქონა (აქ, ექონა, ჰქონი, ნაქნარ): ქალს არ აქ შენბეთ სადთი კეპტევისა? ქონება, სიმდიდრე: ქნა მ, არ ქნა არ იციან მაგათ; 5. გარკვეულ შემთხვევაში სახელს ზმნურ მნიშვნელობას აძლევს: ყულლულ ქნა მ, ყულლულ ჩე დ ის — მსახურობს.

**ქნილ(ა).** (კეპტევის, იქნა, კეპტევი-ქნილან) მოხარშულა, გამოცხობილა: 2. ყოფილა: მეც ქნუეარ. ისიც ქნილ ამქ: 3. გამხდარა: რა ქნილ ხარა? 4. მომხდარა: რა ქნილა? 5. მოსულია: რა ქნილა ყმანუტობე?

**ქნიუნახ** 1. სანამ გამოცხვება, სანამ მოიხარშება; 2. სანამ გაკეთდება; სანამ იქნება; 3. ყოფნამდე; 4. გახდომამდე; 5. გაკეთებამდე.

**ქნუა** ის. ქნა მ.

**ქნუეა** ის. ქნა მ.

**ქოჰქო** ღრიანცელი, ყიფინა. „ქოჰქოში ადგდეს“ — ყიფინა დასცეს, ამბობენ, როცა მოხსენება არ მოეწონებათ და ყვირილს ატეხენ.

**ქოთუქ** 1. მორი, მსხვილი შუშა, მას დაადებდნენ ცეცხლზე ბუხარში და ცეცხლს დილამდე ინახავდა; 2. ხის მორი ბრინჯის, ფეტვის, თხილის საღეწად. მას მოუბამდნენ მუშა საქონელს და გააწევიებდნენ. ასეთი ორი იყო საჭირო კალოსათვის.

**ქოლჩალან** ეკლის საჭრელი წალღო, ნახევარკალური პირი აქვს, ხის გრძელ სახელურს უკეთებენ.

**ქომზა** მალალი, ფურნის პური. **ქომზა** ჩსმა ნაღვერდლიან ცხელ ნაყარში ქომზა-ს ჩაფლობა, ჩასობა: აიღებენ ცომის დიდ გუნდას და ჩაფლავენ ცხელ ნაყარში და იქ გამოცხვება.

**ქომზაპირიან** მსუქანლოყებიანი.

**ქომზაპური** ის. ქომზა მ.

**ქომოთ** ქვემოთ: ქომოთ მუედ.

**ქომოთიან** ქვემოთა მხარეს: ზომოთიან ჩონ ჰცხოვროვთ, ქომოთიან ჰეგენ.

ქონ დასხმა 1. ერბოს დასხმა კოვ-  
ხით ფლაკის თევშებზე; 2. გადატ-  
შუდმუე-ზე (იხ.) გაქანების დროს ამ-  
ბობენ, როცა სწორი მიმართულებით  
ვერ შეატოებენ საქანელას და წრიუ-  
ლად დაიწყებს ტრიალს.

ქონდრაცა იხ. ქონდრიცაცა.

ქონდრიგრილოა გადატ. დაბალ ბა-  
ვშვზე იტყვიან ზედმეტსახელად.

ქონდრიცაცა მოფერებით მიმართა-  
ვენ ბავშვებს.

ქორუქ საბერველი, ცეცხლის საღ-  
ვივებელი. აქვთ სამკედლოში და აგ-  
რეთვე ოჯახებშიც იმათ, ვისაც ფუტ-  
კარი ჰყავს.

ქორფინდუყ გარეული თხილის ხე,  
არ ისხამს, საშენ მასალად კარგია.

ქოს დიდი დაფდაფი, ერთი ჩიკ-ით  
(იხ.) უკრავენ, გამოსცემს ბანს: ერიგ-  
ის (იხ.) ან კაკლის ხისაგან გაკეთებულ  
პატარა კასრზე გადაკრულია 4—5 წლის  
მამალი თხის ტყავი (იხ. საბა, ჩუბ.  
ქოსი, ქოს ნაღრამ).

ქოსა ჩალთუქ ადრეულა ჩალთუქი,  
მას უილჩილი-ი (იხ.) არა აქვს, მწიფდე-  
ბა პატარა მარხო-ში (იხ.).

ქოსაა დაბალი და უწვერულვამო,  
სიმაღლეში გაუზრდელი ადამიანი.

ქოსნაღრამ იხ. ქოს.

ქოფუთ 1. კობიტი, უხეშად დამრ-  
გვალეული ხე, გადატ. უზრდელა  
ადამიანი: პატრა შტლ მაგის ქოფუ-  
თი; 2. არამქრელი: ქოფუთ ყბა აქ  
დანას.

ქოფუქ ქაფი. იხ. ნაპერ.

ქოფუქიან ქაფიანი.

ქოშოტა სოკოა იხ. ქოშოტა.

ქოშოტაა სოკოს ჯიში, რუხი ფერი-  
საა, ზედ ნაყვავილარვივითაა ალაგ-ალაგ

დაჩვრეტილი, იცის უფრო ნეხვიან მა-  
წაში: მენაწში ნობ დანაყარ წელს ქო-  
შოტა სოკოა კეპტევაყ.

ქოჩორა ჩიტ ჩიტი, რომელსაც თა-  
ვზე ბუმბულები გაჩეჩილივით აქვს,  
მინდორში, ბალახებში იკეთებს ბუდეს.

ქოცოა პატარა ქვევრი, იტევს და-  
ახლოებით ორ ვედრომდე. 12 ვედროს  
ზევით თუ იტევს, ის უკვე ქვევრია  
(იხ. საბა, ჩუბ., მენთ. ქოცო); გადატ.  
დაბალ ადამიან-ზედაც ამბობენ: ერ  
ქოცო რამი (შდრ. ჩექმა).

ქო (იხ. ქოშ).

ქოვრ იხ. ქვევრ.

ქონდალან 1. გარდიგარდმო: ქონ-  
დალან დედე; 2. სხვა გზით, ამცდა-  
რი გზით: არ უნდ ქონდალან წავ-  
დეს.

ქოფალაუ ხე, იზრდება მდინარე ეგ-  
რის ნაპირებზე, ალაზნის მახლობლად.  
როცა ძროხას მუცელი გაებერება, მის  
სახრეს სამჭერ შემოარტყამენ, თით-  
ქოს მორჩებაო.

ქოფკარ არჩვი, ფსიტი.

ქოშ ქვეშ, დაბლა, ძირს: ქოშ ჩაი.

ქოშაა ქვევითა.

ქოშაითთ ქვევიდან, ქვეშიდან.

ქოშიანა იხ. დაბლითა.

ქოხ იხ. ზროხი სახლ.

ქუაა (მრ. ქუევ) ქვა.

ქუაითი და კირით დანადგამ სახლ  
იხ. ყალა სახლ.

ქუატიხრ 1. მაგარი მიწა: ჰაჩიჩაა  
არ ეგდევის ელასალა ქუატიხრი;  
2. გადატ. ტუნწი ადამიანი.

ქუბ დედალი გოჭი (შდრ. საბა, ჩუბ.  
ქუბი): ერ ქუბ მოკლა.

ქუდევ (მხ. არა აქვს) ურმის ქალებ-  
ზე ზევიდან დაცობილი გრძელი ხეები:

კალევეზე აცემენ თელამთი განათალ, განატუს, დანაჭროტ ქუდევის. ასეთი ორია.

ქუვამ ის. ქუვამ; ქუვამ დაწერამ საფლავის ქვაზე წერა, კვეთა; გაბომ ქუეას წერავს. ქუვამ ჩადგამა საფლავის ქვის ჩადგმა საფლავის თავთან.

ქუილ გამოქვაბული. დათ ჩილლაში ან ქუილში შადის, აქ თავი ფეყს სწოვნის; როცა სულ სახლში ზის ვინნე, ეტყვიან „ქუილში შანაზრომივი ეჩხარა შინ, რამსა, აღარ გომოლოდი?“.

ქულბამ (აღიბეგ.) გარეთ ცეცხლის დასანთები ადგილი: ორ-ორ აგურს გვერდით და ერთსაც უკან დაუდებენ და ცეცხლს დაანთებენ. ამას აკეთებდნენ სამანჯნიკო-ში (ის.).

ქუნთ ღუმელზე გადასახურავი ბაწრის სქელი ნაქსოვი (ხმარობდნენ ლეკები), რომ მალე არ გაცივებულყო ღუმელი (ის. საბა, ჩუბ. ქუნთა).

ქუჟომ ხანამ-ს (ის.) ნაწილი, რომელიც ქსოვის დროს მალა აიწევა და ხანამ აიჭიმება.

ქუჟომ ხემ ის. ქუჟომ.

ქურამ ის. ქულბამ; მცენ. ისხამს მაყელისნაირ ნაყოფს, მოწითალო ფერისაა, დამწიფებისას მისგან აკეთებენ მურაბას, მარგებელია კუჭის აშლილობის დროს.

ქურდი გარამ ჰანგის სახე.

ქურაქ ქურაქი, ცხვრის ბეწვიანი ტყავისაგან შეკერილი გარესამოსი.

ქუსლ 1. ხის გუთნის ნაწილი, რომელიც ენამ-ს (ის.) შემდეგაა.

ქუსლ მოვლწვამ წინდებზე ქუსლის მიქსოვება: ქუსლ ავლრვს.

ქუჭურთ გოგირდი.

ქუშუჰა სკუბით გადახტომა, ადგილიდან გადახტომა.

ქუჩუვ დაძახება ძაღლისა (ის. ტული).

ქუჩქუჩ შეძახილი ძაღლის გასაგდებად.

ქუჭ ის. საბატკენ.

ქუთ 1. კუტი, ქარებისაგან ხელფეხგაყავებული; 2. საქონლისათვის გუნდებზე მოხელილი საქმელი ქატოსა ან მსხვილად დაფქვილი ფქვილისაგან.

ქუშამა 1. საფარი. ქვით ან ხის ტრეტებით აკეთებენ იქ, სადაც უსაფრდებიან ნადირს, აკეთებენ ხეზეც; 2. წყალსადენი მილი, ოთხმხრივ მიწყობილი სიპი ქვები და კირით შეღესილი.

ქსწორამ ის. ქწო.

ქშუჰა ის. ქუშუჰა.

ქცევამ გაღწევის გადაბრუნება ფიწალით, რომ გაულეწავი ზევით ამოვიდეს. ქცევა ორჯერაა საქირო: ჯერ ორთითით, მერმე ნიჩბით (ის. მენტ. ქცევა).

ქწო სწორი, ტოლი, ხელა, ოდენა: რა ქწო რამშია?

ქწოწო ტოლები: რა ქწოწო კელევ აქა?!

## ღ

ღალაცოფამ ბალახია მხალივით, ოლონდ არ იჭმება, გრძელი და ბრტყე-

ლი ფოთლები აქვს (ის. საბა, ჩუბ. ღუალოშმაგა, მენტ. ღოლოცოფა).

**ღაღოი** ღოღო. **ღაღოი** ტოღმაღ  
ღაღოს მოღარშულ ფოთლებს ცხიმში  
შეწვავენ და დაადებენ იარაზე: ღა-  
ღოი ტოღმაღ დაადევ იარაზე.

**ღამედგომიღა** იხ. დაადგომელა.

**ღამევეღ-ღღევე** მთელი ღღე და ღა-  
მეღბი: მეცუტქულია ღამევეღ-ღღე-  
ვე შიგ კეჭტევაყ.

**ღამევეღა** ღამიანად, ჭერ კიღევ რომ  
არაღ გათენებული: ღამევეღა გუთანს  
გაპტანდნენ, გადიოღდნენ საცნავზე.

**ღამეღ-ღღეღ** ღღე და ღამეღ.

**ღამეშულა** იხ. ღამევეღა.

**ღამი** ღამით.

**ღამჩვეღა** იხ. ღამევეღა.

**ღანწიღოღვან** ღანწიღის მოსაყრე-  
ფად ტყეში წასვლა.

**ღარღატ** 1. ორ ფიციარს შორის დარ-  
ჩენილი დარი, სიციარეღუ: პოლი ღა-  
რღატით სიცივეღ ომოღის; 2. დიღი  
ხვრელი: ქოხი ღარღატეღ ნწხით  
გაღღის, სიცივეღ ნუ შოვღდეს.

**ღაჭოღ** ხსენის ხაჭო.

**ღიბიღ** გამოღარშული სართავი-  
ი (იხ.): სართავს მოღარშასუკან ღი-  
ბიღს ეზახიან, წინღი ბაღიბე, ნემს-  
ზე საკმარევეღა კაღს.

**ღიზიღ** ღრძილი.

**ღიჭ** ეკალა.

**ღლიღვანწ** 1. წერილი და მაღალი  
(მცენარეზე იტყვიან ჩვეულებრივ, რო-  
ცა მიწის ზეღმეტი სინოყივრის გამო  
მაღალი იზრღდება): ხახ ღლიღვანწ  
რამ ქნიღ; 2. გაღატ. მაღალ და სუსტ  
აღამიანზედაც იტყვიან.

**ღმერთიბე** ინსაფია იხ. ღმერთიბე  
რეღვანღია.

**ღმერთიბე** რეღვანღია ფიგურ. სიღარ-  
თლეღ განა? ჭეშმარიტებაა? — იტყვი-

ან რისაჲე არასწორად გაკეთებისა და  
უკანონოდ მოქცევის დროს.

**ღმერთიბე** ღმერთის მაღღმა.

**ღმერთისმა** იხ. ღმერთიბე.

**ღმერთო**, შენ შემოკლებითი ვეღ-  
რებაა ღმერთისადმი ყოველი საქმიის  
დაწყების ან დამთავრების დროს, პუ-  
რის ქამის წინ და ბოღოს.

**ღობეღ** გასწევაღ (ღობეღ სწეღს, ღო-  
ბეღ გასწიღა, ღობეღ გოღუსწეღი, განა-  
სწეღ ღობეღ) ღობის შემოვეღბა: რწრღ  
ღრწრღიანით ღობეღ გასწიღა.

**ღორი** ინაღ მხალია. **ღორი** ხაღ საკ-  
მელად არ ვარღა, იშვიათად გაურევეღ  
მხალში, სანამ ნორჩია. აჭმევეღ ღორსა  
და საქონელს. **ღორი** ბირკაღ სარევეღა,  
იკეთებს შინღის კურკის მოყვანიღო-  
ბისა და ზომის ეკლებს.

**ღორმუღ** სარევეღა, ამოღის წყლი-  
ან აღვეღას.

**ღრღ** წერიღად და გრძღად დანიღ  
დაჭრილი ქალამნის შესაკერი ტყავის  
თასმა (იხ. საბა, ჩუბ. ღვეღი, ღუეღი).

**ღრღეღეღ** მცენარე, ბარღებში ამო-  
სულ ხეღბზე ეხვეღა, მისი სწორი ღე-  
როებისაგან ტანკი-ს (იხ.) სწნავენ:  
ღრღეღეღით ზრღ დროზე ტანკის  
სწნავენღენყ.

**ღრი** ღრმა.

**ღრუღ** ღრუ, ხვრელი, ფუღღური:  
კაკი ღრუღეღი შამზროღ.

**ღუღღღ** იხ. ხორკღ.

**ღულ** 1. ხერხივით კბიღანა, ახალი  
ნახეღვარმთვარული მოყვანიღობის ნამ-  
გალი. 2. საახალწლოდ მამაკაცებისთვის  
თონეში გამომცხვარი პური, რომლის  
თხელი მხარე ასტამითაა დაკბიღული,  
„სათიბი უხვი იყოსო“ (იხ. მენთ. ღუ-  
ლი).



ღუღრუტ ის. ღრუე.

ღუზლ ღვიძლი.

ღუზლივი პურ აფუებული ცომი-  
საგან კარგად გამოძეხვარი პური.

ღუზლუვი პურ ის. ღუზლივი პურ.

ღუნეა ღვინო. ღუნეა დაცორაჲ  
თუ ქვევრი ნაკლული დარჩა, ჰაერი და-  
ჰკრავს, შიგ ცვარი ჩნდება და ღვინო  
ფუჰდება: თუ ქვერ მერიმჩულ არ და-

რჩა, ღუნეა არ დაჰცორავს.  
ღუნეა გაწყდომაჲ (ღუნეა წყდევის.  
გაწყდა, გამწყდარ, გაწყრტულ) ღვინის  
გაფუჰება, გრადუსიანობის დაბლა და-  
ცემა, გაწყალება. ღუნეა მოზანდა  
გადატ. ღვინის სულ ამოსხმა, არც ერ-  
თი წვეთის არ დატოვება ქვევრში:  
ღუნეა მოვებანდით. ღუნეა  
ამნაღევ კოტოშ ის. კოტოშ.

## უ

ყაბაჲ კახა, ცული ქცევის ქალი  
და კაცი; გადატ. უსირცხვილო, მაგ-  
რამ არა ცული ქცევისა.

ყაფიაჲ ჰანგის სახე.

ყაბ ქურჭელი ყველანაირი: ტომა-  
რა, ქვევრი, ქვაბი, ჯამი (შღრ. მენტ. ყა-  
ბი). ნაციი ყაბ ძველი ჯამი ან ვატეხი-  
ლი ქილის ფსკერი, რომელშიაც ყრიან  
ნაციარს და ქურჭლის დარეცხვის დროს  
ხმარობენ.

ყაბარ კოყრი, დაყევილობის შედე-  
გად ამობურცული კანი ხელის გულე-  
ბში, რაც ბარის, ცულის ან თოხის ხში-  
რი ხმარებისაგან აჩნდებათ. ყაბარ აღ-  
გომაჲ (ყაბარ დგევის, ყაბარ ადგა, ყა-  
ბარ ამდგარ, ყაბარ ანადგომ) დაკოყრე-  
ბა, კანის ამობურცვა და შიგ სითხის  
ჩადგომა.

ყაბლაჲჲ საკმელია: თიან-ში (ის.)  
ნაჰერ-ნაჰერ ჩააწყობენ ხორცს, ზევი-  
დან ხახვს, მწვანილს ჩააჰრიან, წაბლს  
და მოხარშულ ლობიოს მარცვლებს გა-  
ურევენ, დაასხამენ წყალს და მოურევე-  
ლად ნელა ადუღებენ, სანამ არ მოიხა-  
რშება. აკეთებენ ჩვეულებრივ სულ-  
პურიში (ის.).

ყაბურღაჲ ლარტყი.

ყაბუხ (კაკ.) ხის ან ხილის ქერქი:  
ბროწლი ყაბუხში, ქერაქში ინახიდ-  
